პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მერვე

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის ცენტრალური და თბილისის
კომიტეტების
და
სრულიად საქართველოს
მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდი მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე, გარდა კვირა-უქმეებისა დილის 10 საათიდან ღამის 12 საათამდე.
ტელეფ.: რედაქტორის 14—76, მდივნის 10—68, ღამის მორიგეს 18—80.

მთავარი კანტორა თბილისი რუსთაველის პროსპ., № 84, ტელეფონი № 8-81.

ხელისმომწერთ ფასი: მუშა-მოსამსახურეთათვის, გლეხების წითელ-არმიელების, მოწაფეების და მასწავლებლებისათვის—1 მან., დანარჩენებისათვის—1 მან. და 30 კაპ.

განცხადებები
საქართველოს ფარგლებში— ტექსტის უკან — 60 კ. ნონპარელის სტრიქონი. ტექსტის შიგნით—1 მ. 00 კ., საქართველოს გარეთ— ტექსტის უკან—1 მ. 50 კ., ტექსტში—3 მ.; განცხადებები გარდა განცხადების ფასისა იხდის 10% საქალაქო გადასახადს. თუ განცხადება იბეჭდება ხუთჯერ ტექსტის შეუცვლელად-შეღავათი შეთანხმებით. მთ. კანტორაში განცხადებები მიიღება 9—3½ ს., 3½ ს. შემდეგ განცხადება ღირს 20%-ით მეტი. სამგლოვიარო განცხადებები—15 და 20 მ.

დ ღ ი უ რ ი

- „გერმანიის განახლების კავშირის" დაარსება.
- კამპანია შეერთებული შტატების წინააღმდეგ ლათინურ ამერიკაში.
- ნიკარაგუას „პარლამენტმა" აჯანყებულ ლიბერალების ბელადი სანდინო კანონს გარეშე გამოაცხადა.
- ინგლისის საქონლის ბოიკოტი ინდოეთში.
- ამერიკაში არ არიან კმაყოფილი ბრიანის პასუხით კელლოგის ნოტაზე.
- პოლონეთის დეპეშათა სააგენტოს დირექტორი მოსკოვში.
- ამხ. ბრიუხანოვი ახალი საგლეხო სესხის შესახებ.

სამშაბათი, 10 იანვარი 1928 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 5 კაპ. № 7 (2050)

დღეს, 10 იანვარს, სახალხოს წითელ დარბაზში

შეკრება

საკავშირო კომპარტიის (ბ)
ამ-კავკასიის საოლქო კომიტეტის
მორიგი პლენუმი

ს.კ.პ. (ბ) ა/კ. საოლქო კომიტეტის მდივანი მ. ორახელაშვილი

მტრები მეხუთმეტე პარტყრილობის შესახებ

ჩვენი საერთაშორისო — კაპიტალისტური მოწინააღმდეგენი პროლეტარიატის დიქტატურის 10 წლის განმავლობაში გვარიანად შეეჩვიენ ბოლშევიკურ ყრილობების მნიშვნელობის გაგებას. რამდენადაც ცრუ, მოჩვენებითი, მერყევი და არადამოუკიდებელია კაპიტალისტურ პარლამენტების გადაწყვეტილებები—ნამდვილი პოლიტიკა იქმნება ბურჟუაზიულ პარლამენტების გარეთ, ყოვლის შემძლე ტრესტოკრატიის კაბინეტებში, ფინანსიურ მაგნატების საიდუმლო შეხვედრებზე, საიდუმლო დიპლომატიის კულისებში,—იმდენათ ავტორიტეტული, ქვეყნის პოლიტიკის მიმართულების ნამდვილი გამომხატველი არის ჩვენი პარტყრილობების დადგენილებები. აი რატომ ადევნებდა თვალ-ყურს ასეთი გაფაციცებით და გაძლიერებულის ინტერესით უცხოეთის ბურჟუაზია და მისი დამცველი სოციალ-დემოკრატიული კორპუსი უკანასკნელ ამბებს საკავშირო კომპარტიის შიგნით და ყრილობის მსვლელობას.

მეხუთმეტე ყრილობას საერთაშორისო ბურჟუაზია უკავშირებდა თავის ანგარიშს და იმედებს. ოპოზიციის ანტიპარტიულ გამოსვლებით გამოცოცხლებული ბურჟუაზია ევედრებოდა თავის ღმერთებს „ბოლშევიზმის შემადგენელ ნაწილებათ დაშლის შესახებ", მისთვის სასურველ „მარჯვნით გადახრის" შესახებ ჩვენს პოლიტიკაში, იმის შესახებ, რომ „ისტორიამ" დაასვას, დაბოლოს, საბჭოთა კავშირს თავისი „ტერმიდორიანული" ბეჭედი, რომ შეირყეს პროლეტარული დიქტატურის საფუძვლები, რომ დადგეს „ორი პარტიის ეპოქა" და სხვ. მოვიგონოთ როგორი საზეიმო კილოთი, როგორი ღვარძლიანი სიხარულით აღნიშნავდა მსოფლიოს ბურჟუაზიული პრესა ჩვენს გადასვლას სამხედრო კომუნიზმიდან ახალ ეკონომიურ პოლიტიკაზე, ან მეთოთხმეტე საკავშირო პარტკონფერენციის გადაწყვეტილებებს, რომლებსაც ბურჟუაზიამ ნაადრევად უწოდა „ნეო—ნეპი". რამდენი მყვირალა სიტყვები ითქვა მაშინ „ჩამოგდებულ კერპების" შესახებ, „პრინციპებისთვის ღალატის" შესახებ, „კაპიტალიზმისაკენ დაბრუნების" და ამგვარ სისულელეების შესახებ.

მაგრამ აი დამთავრდა მეხუთმეტე ყრილობა, პარტიის დიდი ისტორიული ყრილობა, რომელიც შეიკრიბა საბჭოთა ხელისუფლების ათი წლის იუბილეის ერთი თვის შემდეგ. ყრილობამ გამოიტანა პირველხარისხოვან მნიშვნელობის გადაწყვეტილებები. მან დასახა შემდგომი პოლიტიკური ხაზი. საერთაშორისო ბურჟუაზია და სოციალ-დემოკრატია იწყებენ ჩვენი ყრილობის „დამუშავებას" თავისი თვალსაზრისით, იხილავენ მას პრესაში, მოწინავე წერილებს უძღვნიან მის შედეგებს და სხვ. და მეტად დამახასიათებელია ის, რომ ბურჟუაზიას არაფერი ან თითქმის არაფერი არ აქვს სათქმელი მეხუთმეტე ყრილობის უმნიშვნელოვანეს პოლიტიკურ გადაწყვეტილებების შესახებ, ყრილობის მიერ დასახულ დადებით კურსის შესახებ.

ბურჟუაზია ამჯობინებს დუმილით აუხვიოს გვერდი მეხუთმეტე პარტყრილობის მიერ დასახულ კურსის ბუნებას. ეს არ არის შემთხვევითი. ვინაიდან, რასაკვირველია, არავითარი მოხერხებული მახინაციებით არ შეიძლება „ჩააკვეხო" „ბურჟუაზიულ-ბონაპარტისტულ გადაგვარების" და „კაპიტალიზმისაკენ უკან დახევის" უბადრუკ სქემაში არც ცაკის ოქტომბრის მანიფესტი, არც შვიდი საათის სამუშაო დღეზე გადასვლა, არც ჩვენი მუშათა კლასის აქტივობის ზრდა, არც კოლექტიურ მიწადმოქმედებაზე გადასვლისაკენ მიმართული ხაზი, არც ჩვენ მბრძანებელ მწვერვალების ძლევამოსილი წინსვლა, არც კაპიტალისტურ ელიმენტების პროგრესიული შევიწროება, არც სოციალისტურ აღმშენებლობის მთელი ჩვენი გაფართოებული პროგრამა. „ცვლილება" მართლაც ხდება ჩვენს ცხოვრებაში და პოლიტიკაში, მაგრამ ხდება არა იმ მიმართულებით, საითკენაც მოელოდენ ჩვენი მტრები. არამედ ჩვენი უშუალო სოციალისტური ამოცანების კიდევ უფრო მტკიცედ და ენერგიულად გადაჭრის მიმართულებით. და, რასაკვირველია, უბადრუკად გამოიყურება სოციალ-დემოკრატიული პრესის მტკიცება, —რომელიც როგორც წყლის ორი წვეთი ჰგავს ჩვენი ყოფილი ოპოზიციის ხერხს,— რომ, თითქოს, მეხუთმეტე ყრილობის მიერ გამოქვეყნებული კურსი არის მხოლოდ „დროებითი კომმასკარადი". „მემარცხენე მანევრი", „სტალინის დემაგოგია" და სხვა.

ბურჟუაზია და სოციალ-დემოკრატია ინერციით განაგრძობენ ლაყბობას „ტერმიდორიანობის" შესახებ. მაგრამ ეს მათ გამოუდით გაუბედავათ და დაუსაბუთებლად და ამავე დროს მეტად მინორული ტონით. ხოლო „ახალი იმედები", რომ შეიძლება „დეკადამ", ე. ი. პროლეტარული დიქტატურის მეორე ათ წელმა მათთვის მოიტანოს „ხსნა", შეიძლება საბჭოთა კავშირი გადავიდეს „რეალისტურ კომუნიზმის" ფაზისში, შეიძლება მასები, რომლებიც ბრმად მიჰყვებიან ცეკას" გახდენ პასიური — ასეთი იდეები კიდევ უფრო სასაცილო და უბადრუკია.

ვიმეორებთ, ჩვენი ყრილობის დადებით გადაწყვეტილებებს თითქმის ყველა ჩვენი მოწინააღმდეგენი დუმილით გვერდს უვლიან. ეს სავსებით გასაგებია: ლაპარაკი შვიდი საათის სამუშაო დღის შესახებ, საბჭოთა კავშირის სოციალისტურ აღმშენებლობის ფრონტზე წარმოებულ ინტენსიურ მუშაობის შესახებ, ხუთწლიანი გეგმის ან სასოფლო-სამეურნეო წარმოების კოლექტივიზაციისაკენ მიმართულ გეზის შესახებ იქნებოდა უნებლიე აგიტაცია საბჭოთა კავშირის სასარგებლოთ დასავლეთ ევროპის მუშებს შორის. აი, რატომ არის, რომ „იმ მხარის" ყურადღების ცენტრში სდგას მხოლოდ საკავშირო კომპარტიის შინაპარტიული ურთიერთობა. მართალია აქაც მტრებმა იგემეს იმედის გაცრუება. მთლიანი, კიდევ უფრო განმტკიცებული და კიდევ უფრო შემჭიდროებული პარტია, რომელსაც მოემატა მოწინავე მუშების ასი ათასიანი არმია, ეს სრულებითაც არ ჰგავს იმას, რის იმედიც ჰქონდათ „მათ". ეს არა ჰგავს ორ პარტიათ გათიშვას და ბურჟუაზიულ დემოკრატიას. და ბურჟუაზია სევდიანად აღნიშნავს „ოპოზიციის დამარცხებას", „ტროცკიზმის იზოლიაციას", „უჯარო გენერლებად" დარჩენილ ოპოზიციის ბელადების „ტაქტიკურ შეცდომებს", „შემცდარ ანგარიშს",— ე. ი. ბოლშევიზმის გახრწნის იმედი სასტიკად გაუცრუვდათ და ბურჟუაზიულ-სოციალისტურ გაზეთებს ის ღა დარჩათ, რომ გადაიტანონ საკითხი ცალკე „პირებზე", ყოფილ „ბელადებზე", მათ წარსულ დამსახურებებზე, და აღშფოთება გამოაცხადონ ტროცკისაგან ზინოვიევის ჩამოშორების გამო, მოათავსონ პერსონალური ხასიათის „სენსაციები" და სხვა.

ვენის „არბეიტერ ცეიტუნგ" სასაცილო მზრუნველობას იჩენს „ბოლშევიზმის ძველი გვარდიის" მიმართ (ეს არის ტროცკი და კამპანია —„ძველი გვარდია"?) და აშენებს რაღაც ბუნდოვან იმედებს. მენშევიკური „ვესტნიკ"-ი ერთად ერთ პლიუსს თავის თავისთვის და ოპოზიციის ერთად ერთ „ისტორიულ დამსახურებას" ხედავს იმაში, რომ ოპოზიციის ბრძოლა მიუახლოვდა გამოსვლას „ბოლშევიკური დიქტატურის" წინააღმდეგ, არაფერს ამბობს რა იმის შესახებ, რომ ეს გამოსვლა „სასტიკად დამარცხდა" და რომ ყრილობა ნიშნავს ტროცკიზმის ლიკვიდაციას და დეზორგანიზატორულ დისკუსიის პერიოდის დამთავრებას.

ბერლინის „ფორვერტსი" უთავბოლოდ ლაყბობს საბჭოთა კავშირის ვითომდა „ბონაპარტისტულ-ტერმიდორიანულ დასასრულის" შესახებ, აგრეთვე იცავს: საბჭოთა კავშირის მუშების მიერ „გაძევებულ" „ტროცკისტულ გვარდიას და, სხვათა შორის, სწერს შემდეგს: „დასავლეთ ევროპის სოციალისტ მუშების წრეებში საკმაოდ ფართოდ არის გავრცელებული არაკრიტიკული ილიუზიური წარმოდგენა საბჭოთა რუსეთის შესახებ. ზოგიერთებს ჯერ კიდევ სწამთ „რუსეთის სოციალისტური ექსპერიმენტი".

ვარწმუნებთ „ფორვერტსის" პატივცემულ რედაქტორს, რომ როცა სოციალ-დემოკრატი მუშები, მიუხედავად სოციალისტი ბელადების საზიზღარი ცილისწამებისა, გაიგებენ მთელს სიმართლეს მეხუთმეტე პარტყრილობის გადაწყვეტილებათა შესახებ, კიდევ უფრო განმტკიცდება მათი „ილიუზიური", ე. ი. წმინდა და რევოლიუციონური წარმოდგენა იმის შესახებ, თუ რა ხდება საბჭოთა კავშირში.

ჩვენი პარტია და მთელი ჩვენი მუშათა კლასი ნაკლებ ყურადღებას აქცევს მტრების ლაყბობას „წარსულის ხალხის", (რომელთაც ისინი სთვლიდენ „მომავლის ხალხათ") ღალატის შესახებ, ჩვენ საქმიანი მუშაობის ნიადაგზე ვდგევართ. მეხუთმეტე ყრილობამ ჩააქრო ოდნავ მბჟუტავი ოპოზიციონური ცეცხლი. ოპოზიციის საქმე გათავდა. ხოლო საბჭოთა კავშირის კომუნისტი მუშები მთელ თავის ძალას და ენერგიას მოახმარებენ იმას, რის შესახებაც ჯერ-ჯერობით სდუმს საერთაშორისო ბურჟუაზია: მეხუთმეტე ყრილობის დიად გადაწყვეტილებების პრაქტიკულ განხორციელებას. ეს გადაწყვეტილებები გატარებული იქნება ცხოვრებაში, მიუხედავად ყოველგვარ დაბრკოლებებისა.

„პრავდა", 9 იანვარი.

გერმანელი მელითონეები გაფიცვისათვის ემზადებიან

ლიტვის საგარეო საქმეთა მინისტრი პოლონეთ-ლიტვის ურთიერთობის შესახებ

„ლიტვა პოლონეთის ელჩს მიიღებს მხოლოდ ვილნოში".—შეტაკება პოლონეთ-ლიტვის საზღვარზე

ინდოეთის მოსახლეობა ინგლისის სამხედრო ავანტიურების წინააღმდეგ

ბრძოლა გერმანიის ლითონის მრეწველობაში

მასების ზეგავლენით

ბერლინი, 8 იანვარი. შუა გერმანიის ლითონის მრეწველობის წარმოებათა მუშების ზეგავლენით, **გერმანიის მელითონეთა რეფორმისტულმა კავშირმა გააფრთხილა მწარმოებლები, რომ 14 იანვრიდან ის აუქმებს კოლექტიურ ხელშეკრულებებს გალეს, მეკლენბურგის და ანგალტის სამრეწველო რაიონებში. ეს კოლექტიური ხელშეკრულებები ეხებოდა 50.000 მელითონეს.**

მუშები გაფიცვისათვის ემზადებიან

ბერლინი, 8 იანვარი. რურის ოლქიდან და საქსონიიდან მიღებული ყველა ცნობები ადასტურებენ, რომ **მუშა-მელითონეებში ძლიერდება ბრძოლისათვის საჭირო სულიერი განწყობილება და მათ შორის ფართოვდება მოძრაობა. ბოხუმის რაიონში სხვადასხვა ახალ საწარმოო დაწესებულების მუშებმა დაადგინეს, ორშაბათიდან ქარხნები დასტოვონ 8 საათის მუშაობის შემდეგ.** ხამბორნში ტისენის საწარმოო დაწესებულებათა საქარხნო კომიტეტის პლენუმის სხდომაზე, რომელზედაც მსჯელობდენ სამედიატორო სასამართლოს განაჩენის ასრულების საკითხის შესახებ, მივიდენ მუშები და მოითხოვეს, რომ დაუყოვნებლივ განხორციელებულიყო რვა საათის სამუშაო დღე. მუშებმა განაცხადეს, რომ წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი ბრძოლას განაახლებენ. საქარხნო კომიტეტის თავმჯდომარემ (სოციალ-დემოკრატია) მუშების ულტიმატუმი უარჰყო.

კრუპის საწარმოო დაწესებულებათა ადმინისტრაციამ უარი განაცხადა საქარხნო კომიტეტთან დადებულ შეთანხმების შესრულებაზე, საწარმოო დაწესებულებებში გამოკრულია განცხადება, რომ შეწყვეტილია მოლაპარაკება ადმინისტრაციასა და საქარხნო კომიტეტს შორის. (ადს)

„ლიტვა პოლონეთის ელჩს მიიღებს

მხოლოდ ვილნოში"

პოლონეთ-ლიტვის სადემარკაციო ხაზზე

კოვნო, 8 იანვარი. კოვნოდან მიღებული ცნობებით, პოლონეთ-ლიტვის სადემარკაციო ხაზზე უციანის მაზრაში 4 იანვარს ადგილი ჰქონდა სროლას პოლონეთისა და ლიტვის სანაპირო რაზმებს შორის. ლიტვის დეპეშათა სააგენტოს „ელტას" ცნობით, სროლა დაიწყეს პოლონელებმა იმ დროს, როცა ლიტვის მცველი რაზმი შეეცადა ძველ ადგილებზე გადაეტანა საზღვარის ნიშნები, რომლებიც პოლონეთის მცველმა რაზმმა ლიტვის ტერიტორიაზე გადაიტანა.

ვოლდემარასი პოლონეთ-ლიტვის ურთიერთობის შესახებ

ვარშავა, 8 იანვარი. პოლონეთის დეპეშათა სააგენტო იუწყება, რომ ვოლდემარასმა მიიღო კოვნოში ჩამოსული სააგენტოს კორესპონდენტი და ესაუბრა მას. პოლონეთ-ლიტვის მოლაპარაკების დაწყების ვადის შესახებ ვოლდემარასმა განაცხადა, რომ ის მოელის პოლონეთის წინადადებებს. საუბარში ვოლდემარასი შეეხო საკითხს იმის შესახებ, რომ ლიტვა მოითხოვს გენერალ ჟელიგოვსკის მიერ ვილნოს დაკავების დროს მიყენებულ ზარალის ფულად ანაზღაურებას. მაგრამ თუ პოლონეთი, —განაცხადა ვოლდემარასმა, —არ დასთანხმდება ვილნოს საკითხის განხილვაზე, მაშინ შესაძლებელია დაიწყოს მოლაპარაკება ორივე ერის მეზობლური ცხოვრების ტეხნიკურ მხარის შესახებ. ვოლდემარასი სთვლის, რომ სავაჭრო ურთიერთობის განმტკიცების საკითხი შეიძლება მოწესრიგებულ იქნეს, ვინაიდან არ არსებობს არავითარი დაბრკოლება იმისათვის, რომ ლიტვამ პოლონეთში შეისყიდოს ნავთი, ნახშირი და საფეიქრო საქონელი. ამავე დროს პრემიერს შეუძლებლად მიაჩნია იმ საქონლის შემოტანა ლიტვაში, რომელიც ვილნოს ოლქის პროდუქციის ნაწილს შეადგენს. ამ პირობით ვოლდემარასს შესაძლოდ მიაჩნია საფოსტო ურთიერთობის აღდგენა. ვოლდემარასმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ პოლონეთსა და ლიტვას შორის შეიძლება დაწესდეს ფართო ტეხნიკური ხასიათის ურთიერთობა, თუ ორივე სახელმწიფოს შორის დადებულ შეთანხმებათა უპირატესობანი არ გავრცელდება ვილნოს ოლქზე.

დასასრულ ვოლდემარასმა განაცხადა, რომ არავის არ სურს ლიტვაზე უფრო კეთილმეზობლური დამოკიდებულების აღდგენა ძლიერ პოლონეთთან. სამ მხრივ უძლიერესი მეზობლებით გარშემორტყმულ ლიტვას, ვოლდემარასის სიტყვით, სურს პოლონეთი იყოს ძლიერი, ვინაიდან პოლონეთის სიძლიერით რამოდენიმეთ განისაზღვრება ლიტვის არსებობა. სააგენტოს წარმომადგენლის კითხვაზე —როგორ უყურებს ვოლდემარასი დიპლომატიური ურთიერთობის აღდგენას პოლონეთთან—ლიტვის პრემიერმა უპასუხა: **„ლიტვა პოლონეთის ელჩს მიიღებს მხოლოდ ვილნოში"**. (ადს)

რაზე თათბირობდენ?

კოვნო, 8 იანვარი. ვინაიდან საზღვარგარეთის პრესაში გამოქვეყნდა ცნობები, რომ საფრანგეთის და ინგლისის დიპლომატიურმა წარმომადგენლებმა ინახულეს პრემიერი ვოლდემარასი პოლონეთ-ლიტვის ურთიერთობის შესახებ მოსალაპარაკებლად, და აგრეთვე იმ ცნობების გამო, თითქოს ინგლისი ზეგავლენას ახდენს ლიტვის მთავრობაზე და ურჩევს მას რაც შეიძლება საჩქაროდ დაუახლოვდეს პოლონეთს, ლიტვის დეპეშათა სააგენტო იუწყება, რომ საფრანგეთის და ინგლისის ელჩების საუბარი პრემიერ ვოლდემარასთან სრულებითაც არ ეხებოდა პოლონეთ-ლიტვის ურთიერთობას. (ადს)

ინდოეთი ინგლისის წინააღმდეგ

ინგლისის ავანტიურების წინააღმდეგ

ქაბული, 8 იანვარი. ინდოეთის ნაციონალური პრესის ცნობით, სრულიად ინდოეთის ნაციონალურმა კონგრესმა მიიღო რეზოლიუცია, რომელშიაც ნათქვამია, **რომ ინდოეთი უარს ამბობს მონაწილეობა მიიღოს რაიმე ომში, რომელსაც გამოაცხადებს ინგლისი.** რეზოლიუცია შეიტანა მოტილალ ნერუმ, რომელმაც მისი დაცვის დროს განაცხადა, რომ ევროპა ამჟამად უფრო მეტად წარმოადგენს თოფის წამლის სარდაფს, ვიდრე მსოფლიო ომის წინ. ამის დასამტკიცებლად ნერუმ მიუთითა ყრილობას ინგლისის სამხედრო ავიაციის თავმოყრაზე ინდოეთის ჩრდილო-დასავლეთ საზღვარზე და ინგლისის სამხედრო სამინისტროს ცირკულიარზე, რომელიც წინადადებას აძლევს სამოქალაქო [illegible] მზად იყონ სამხედრო სამსახურისათვის. **„ინგლისი, —განაცხადა ნერუმ,— უდიდეს დაბრკოლებას წარმოადგენს განიარაღების გზაზე.** მან სინგაპურში შექმნა უძლიერესი საზღვაო ბაზა, რომელიც მას აძლევს საშუალებას თავი მოუყაროს ჯარებს თავის აგრესიულ პოლიტიკის განსახორციელებლად ცენტრალურ აზიაში".

ამას გარდა მიღებულია **რეზოლიუცია, რომელშიაც კონგრესი გამოსთქვამს თავის აღშფოთებას ინგლისელების დამსჯელ ექსპედიციის გაგზავნის გამო ჩრდილო-აღმოსავლეთის პროვინციებში, კაკორის ტომის წინააღმდეგ, რომელიც აჯანყდა, ვინაიდან ვერ განახორციელა თავისი კანონიერი მოთხოვნილებანი.**

ცალკე რეზოლიუციაში კონგრესი პროტესტს გამოსთქვამს იმის წინააღმდეგ, რომ ინგლისის მთავრობამ თემთა პალატის კომუნისტ დეპუტატ საკლატვალას უარი უთხრა ინდოეთში შესასვლელ ვიზის მიცემაზე. (ადს)

ინგლისის საქონლის ბოიკოტი ინდოეთში

ლონდონი, 8 იანვარი. რაუნგუნიდან (ინდოეთი) მიღებულ ცნობებით, **ბურმის სავაჭრო პალატამ დაადგინა ბოიკოტი გამოუცხადოს ინგლისის საქონელს პროტესტის ნიშნად იმის გამო, რომ ინგლისელმა მრეწველმა ბურმის მთავრობასთან გაილაშქრა გადასახადების შემცირების წინააღმდეგ**

სან-გოტარდის ინციდენტის გარშემო

ვენა, 8 იანვარი. ავსტრიის ზოგიერთი გაზეთები კომენტარიებს უკეთებენ სან-გოტარდის ინციდენტს, რომელმაც ფარდა ახადა იარაღის საიდუმლოდ გატანას ავსტრიის ტერიტორიით და ბეჭდავენ პრაღის გაზეთ „ლიდოვე ნოვინი"-ს ცნობას, რომელშიაც ნათქვამია, რომ იარაღის ტრანსპორტი, რომელიც აღმოჩნდა სან-გოტარდში, უკვე მეორე შემთხვევაა იარაღის გაგზავნისა იტალიიდან. წინა ტრანსპორტი ყალბი დოკუმენტებით იგზავნებოდა ვერონიდან სლოვაკიაში. (ამ ქალაქში სადგური ეკუთვნის უნგრეთს, ტერიტორია კი ჩეხო-სლოვაკიას).

უნგრეთის პრესაში გამოქვეყნებულია ოფიციალური ცნობა ინციდენტის გამოძიების შედეგების შესახებ. ცნობაში ნათქვამია, რომ ტყვიისმფრქვეველების ნაწილებს გზავნიდა ვერონის ანონიმური საზოგადოება; ტვირთი იგზავნებოდა ბერკოვიჩის მისამართით ნოვო-მესტოში სლოვაკიაში. ზედნადებში ვითომ აღნიშნულია, რომ ნოვო-მესტოდან ეს ტრანსპორტი გადატვირთვად უნდა გაგზავნილიყო ვარშავაში. უნგრეთის ხელისუფლების ორგანოები ფიქრობენ, რომ ბერკოვიჩს უნდა ეჩვენებინა ტვირთის შემდგომი მსვლელობის მისამართი (ადს).

მცირე ანტანტის გაფრთხილება

ვენა, 8 იანვარი. ბუქარესტიდან მიღებულ ცნობებით მცირე ანტანტის სახელმწიფოების წარმომადგენლებმა უნგრეთში უკვე მისცეს გაფრთხილება ბეტლენის მთავრობას სან-გოტარდის ინციდენტის გამო. რუმინეთის ზოგიერთი გაზეთები ამტკიცებენ, რომ მცირე ანტანტის მორიგი კონფერენცია გადაიდება, ნაწილობრივ იმის გამო, რომ აღმოჩენილ იქნა იარაღის კონტრაბანდული წესით შეტანა უნგრეთში (ადს).

საფრანგეთ-ამერიკის მოლაპარაკება „მუდმივი ზავის შესახებ"

ბრიანის პასუხი კელლოგის ნოტაზე

პარიზი, 8 იანვარი. გამოქვეყნებულია ბრიანის პასუხი კელლოგის ნოტაზე. ბრიანი აღნიშნავს, რომ კელლოგის მიერ წამოყენებული წინადადებები ეთანხმება საფრანგეთის მთავრობის შეხედულებებს. ბრიანი ფიქრობს, რომ ძლიერ სასარგებლო იქნებოდა ამ აქტის ეხლავე განმტკიცება მისი ხელმოწერით საფრანგეთისა და შეერთებულ შტატების მიერ. საფრანგეთის მთავრობა მზად არის ჩრდილო-ამერიკის შეერთებულ შტატების მთავრობასთან ერთად წინადადება მისცეს ყველა ხალხებს შეუერთდენ იმ აქტს, რომელიც უკვე ხელმოწერილია საფრანგეთისა და შეერთებულ შტატების მიერ და რომელიც აუწყებს, რომ ხელშეკრულების დამდები მხარეები უარს ამბობენ შეტევით ომებზე და გამოიყენებენ ყველა მშვიდობიან საშუალებებს იმ კონფლიქტების გადასაჭრელად, რომლებიც შეიძლება წარმოიშვას. ხელშეკრულების დამდები მხარეები კისრულობენ ეს აქტი აცნობონ ყველა სახელმწიფოებს, და მოუწოდონ მათ შეუერთდენ ამ აქტს.

არ არიან კმაყოფილი ბრიანის პასუხით

ვაშინგტონი, 8 იანვარი. ვაშინგტონში არ არიან კმაყოფილი ბრიანის პასუხით, რომ ფარგლები საფრანგეთ-ამერიკის მომავალი ხელშეკრულებისა მუდმივი ზავის შესახებ განისაზღვროს შეტევითი და თავდაცვითი ომების შორის განსხვავების აღნიშვნით. შეერთებული შტატების მთავრობა ვერ იკისრებს იმ პასუხისმგებას, რომელიც აუცილებლად მოჰყვება „შეტევითი ომის" ცნების განსაზღვრას. გარეშე საქმეთა სამინისტრო კვლავ წინააღმდეგია, რომ ხელშეკრულება მუდმივი ზავის შესახებ მხოლოდ საფრანგეთსა და ამერიკას შორის დაიდოს; იგი მოითხოვს, რომ ხელშეკრულებას სხვა სახელმწიფოებიც შეუერთდენ. (ადს)

სასამართლოს დაახლოვება მასებთან

(საჭიროა ადგილობრივ საბჭოებთან დაარსდეს სასამართლოს სექციები)

სახალხო სასამართლოების აპარატის გაჯანსაღების საკითხი დღეს რეალურად არის დაყენებული. ამის მაჩვენებელია ის ნაწილობრივი, მაგრამ მნიშვნელოვანი კონკრეტიული ღონისძიებანი, რომელიც შეიმუშავა საკავშირო მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატმა სასამართლოს მუშაობის გაუმჯობესების, მის საქმის წარმოების გამარტივების, სასამართლოს „ვოლოკიტასთან" ბრძოლის მიზნით, —რასაკვირველია, სასამართლოების ადგილობრივ დათვალიერების შემდეგ. აგრეთვე განსაკუთრებით აღსანიშნავია ის ინტერესი, რომლითაც მე-15 პარტყრილობა მოეპყრო სასამართლოს დღევანდელ მდგომარეობას, მის მუშაობის უარყოფ მხარეების გამოაშკარავებას, და მისივე როლის და მნიშვნელობის დაფასებას ჩვენი კულტურული და სამეურნეო აღმშენებლობის განვითარების დღევანდელ პირობებში, განსაკუთრებით სოფლათ. თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ სახალხო სასამართლოს არსებობის და მუშაობის პირობები ყველა საკავშირო რესპუბლიკებში თითქმის ერთნაირია, უნდა ვსთქვათ, რომ ის, რაც შეიმუშავა საკავშირო მუშათა და გლეხთა ინსპექციამ და რაც სთქვა სასამართლოების შესახებ მე-15 ყრილობამ, ეხება საბჭოთა საქართველოს სასამართლოებსაც და უმაღლეს პარტიულ საბჭოთა ორგანოების ახალი დირექტივების მიხედვით საჭიროა ჩვენშიც გადადგმული იქნეს სათანადო ნაბიჯები. ამ მხრივ საქართველოს იუსტიციის და მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატებმა უკვე შეიმუშავეს პირველი სანიმუშო გეგმა, სადაც გათვალისწინებულია მთელი რიგ ღონისძიებათა გატარება, რომლებმაც უნდა გააჯანსაღონ და გაამარტივონ ჩვენი სახალხო სასამართლოს დღემდე კახდელი რთული, ფორმალურ მხარეებით სავსე, საქმეთა წარმოება.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ თითქმის ყველა რესპუბლიკებში დღეს პრაქტიკულად დასმულია საკითხი მთელ რიგ კატეგორიის სასამართლოს საქმეების, სათემო, სარაიონო და სხვ. აღმასკომებისადმი განსახილველად გადაცემის შესახებ. და ზოგ რესპუბლიკებში ეს ღონისძიება ნაწილობრივ კიდეც გატარებულია. საბჭოთა საქართველოშიც უკვე გატარდა ეს ღონისძიება, რაც გამოიხატა წიხაძულების და ტყის გაჩეხვის, ირგვლივ აღძრულ საქმეების თემაღმასკომებისადმი გადაცემაში. იუსტიციის კომისარიატი სულ ახლო ხანებში წარუდგენს ჩვენს უზენაეს საკანონმდებლო ორგანოს განსახილველად პროექტს თემაღმასკომებთან სასამართლო კომისიების დაარსების შესახებ უფრო გაფართოებული ფუნქციებით. აქვე აღსანიშნავია ისიც, რომ უკვე პრაქტიკულად დასმულია იუსტიციის კომისარიატების ხაზით საკითხი საპროცესო კოდექსების საგრძნობლად გამარტივების შესახებ იმნაირად, რომ მათში დარჩეს დაკანონებულად მხოლოდ ისეთი მუხლები, რომელნიც აუცილებელ გარანტიას უნდა წარმოადგენდენ მართლმსაჯულებისათვის. დანარჩენი, ნაკლებ მნიშვნელოვანი ფორმალური მუხლები განზრახულია მიეცეს სასამართლოს დირექტივის სახით მხოლოდ იუსტიციის კომისარიატის ხაზით. ამრიგად ჩვენ ვხედავთ, რომ სასამართლოს პრაქტიკაში ჩვენ მოგველის საგრძნობი ცვლილებანი, რომელთა მიზანშეწონილი გატარება განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს არა მარტო იუსტიციის მუშაკების მხრივ, არამედ მოითხოვს მშრომელთა ფართო მასების ყურადღებასაც.

მართლაც დროა, რომ ეს მნიშვნელოვანი დარგი ჩვენი სახელმწიფოებრივი მართვა-გამგეობებისა ჩავაყენოთ სათანადო პირობებში. დროა დავანებოთ თავი იმ შეხედულებას, რომ სასამართლო ჩინოვნიკური", „მეორე ხარისხის" აპარატია და მუდამ შეიძლება „დაბალ ღობით" იქნეს გამოყენებული. განა სახალხო სასამართლოს ყოველდღიური მუშაობა არ გვიჩვენებს ჩვენ, რომ მუშურ-გლეხურ ქვეყანაში ის თამაშობს დიდ საზოგადოებრივ და პოლიტიკურ როლს. ვის შეუძლია უარყოს, რომ დღეს: 1) სახალხო სასამართლო მომქმედი ტრიბუნაა საბჭოთა წესწყობილების პროპაგანდისათვის; 2) რომ ის ყოველდღიური სკოლა არის პროლეტარული-რევოლიუციონური უფლების გავრცელებისათვის ფართო მოსახლეობაში; 3) რომ ის ამრიგად რაზმავს და ამტკიცებს ახალ საბჭოთა საზოგადოებრივობას მშრომელ მასების ფენებში; 4) რომ სახალხო სასამართლო მებრძოლი (რეპრესიის) ორგანოა საბჭოთა კანონების და რევოლიუციონურ წესების დამრღვევთა მიმართ; 5) რომ ს. სასამართლო, იჭრება რა მუშათა და გლეხთა მასების ყოველდღიურ ყოფა-ცხოვრების საკითხებში, სწყვეტს მათ რევოლიუციონური კანონების მიხედვით და სოციალისტური შეგნებით და თვალსაზრისით; 6) რომ სასამართლო მჭიდრო კავშირს ამყარებს სახელმწიფოს და მოსახლეობის შორის იმდენათ, რამდენადაც ათი ათასობით მშრომელი ხალხი უშუალო მონაწილეობას იღებს სახალხო მსაჯულების სახით მართლმსაჯულების განხორციელებაში, ე. ი. ს. სასამართლო აბამს მშრომელ მასას სახელმწიფოებრივ მართვა-გამგებლობის საქმეში. ასეც ჰქონდა წარმოდგენილი სახალხო სასამართლოს მნიშვნელობა მუშურ-გლეხურ სახელმწიფოში ამხ. ლენინს, როდესაც ის ამბობდა: „სასამართლო არის ისეთი ორგანო, რომელიც აბამს განსაკუთრებით ღარიბ მოსახლეობას სახელმწიფო მართველობის საქმეში, სასამართლოს მოღვაწეობა სახელმწიფოებრივი მმართველობის ერთ-ერთ ფუნქციას წარმოადგენს, სასამართლო არის პროლეტარიატის და ღარიბების ხელისუფლების ორგანო, სასამართლო არის მასების დისციპლინის აღზრდის იარაღი". (ლენინის სიტყვა 29 აპრ. 1918 წ.) მაშასადამე, სახ. სასამართლო მშრომელთა მასების პოლიტიკურად და კულტურულად აღმზრდელი ორგანოა.

სახ. სასამართლოს სწორი, რევოლიუციონურად მიზანშეწონილი და პოლიტიკურად საღი მოღვაწეობა მშრომელი მასების და პირველყოვლისა მათ მოწინავე ფენების უშუალო მონაწილეობის გარეშე ძნელი წარმოსადგენია. ამას ადასტურებს სახალხო სასამართლოს საკავშირო მასშტაბით ათი წლის და ჩვენში კი შვიდი წლის ისტორია. განა შესაძლებელია გავკურნოთ ჩვენი სასამართლო სხვადასხვა სენისაგან, განა შეგვიძლია ამოვფხვრათ მასში დარჩენილ ბიუროკრატიული ნაშთები, განა შეგვიძლია გავატაროთ სწორი კლასიური ხაზი სასამართლოში ან და მით უმეტეს იმ ორგანოებში, რომლებსაც დღეს მინდობილი აქვთ სასამართლოს ფუნქციები (თემაღმასკომებში), განა შეგვიძლია მივცეთ სასამართლოს ის მნიშვნელობა, რომელსაც აძლევდა ამხ. ლენინი,— თუ ყველა ამ საქმეში არ დაგვეხმარება თვით მშრომელი მოსახლეობა, პირველყოვლისა მუშები და გლეხები, თუ ფართო მშრომელთა საზოგადოებრიობა სათანადო ხელმძღვანელობის ქვეშ არ გაუწევს სასამართლოს ყოველდღიურ კონტროლს.

მასების მონაწილეობა სასამართლოში, თუმცა ნაწილობრივ, მაგრამ ცხოველი სახით შეიძლება განხორციელდეს ადგილობრივ საქალაქო და სათემო საბჭოებთან სექციების დაარსების საშუალებით ისე, როგორც ეს უკვე შემოღებულია სხვა რესპუბლიკებში. იუსტიციის ადგილობრივ მუშაკების პრაქტიკულ ხელმძღვანელობით საბჭოს წევრები ამ სექციებში შეისწავლიან სასამართლოს მუშაობის ავს და კარგს, დაუახლოვებენ მას მოსახლეობას, პრაქტიკულად დაეხმარებიან ხელისუფლებას სასამართლოების ორგანოების გაჯანსაღების საქმეში, რაც, თავისთავად ცხადია, მისცემს სასამართლოს საშუალებას სისწორით და სავსებით შეასრულოს თავისი დიდი პოლიტიკური და საზოგადოებრივი ამოცანები.

ცეკას საორგანიზაციო განყოფილებამ და ადგილობრივ აღმასკომებმა საჭიროა გადასდგან ამ მხრივ პრაქტიკული ნაბიჯები, ხოლო სასამართლოს მუშაკებმა აღმოუჩინონ ადგილობრივ ორგანოებს სათანადო დახმარება და ამ საკითხში გამოიჩინონ საჭირო უნარიანობა.

ი. ფარქიელი.

უკანასკნელი ცნობები

კომუნისტური მოძრაობა შანხაის მიდამოებში

შანხაი, 9 იანვარი. შანხაის გაზეთების ცნობით შანხაის ახლო-მახლო სოფლებში „ძლიერდება შეიარაღებულ კომუნისტების მოქმედება". გუანდუნის პროვინციაში, ხოილუნფინის მაზრაში გამოჩნდნენ გლეხთა რაზმები, რომლებშიაც რამდენიმე ათეული ათასი კაცია და აგრეთვე რეგულიარული რევოლიუციონური ჯარების სამი ათასიანი რაზმი. (ადს).

შანხაიში შეპყრობილნი

შანხაი, 9 იანვარი. გაზეთების ცნობით, განთავისუფლებულია ხანკოუში შეპყრობილი ყველა რუსი, გარდა შორეული აღმოსავლეთის ბანკის განყოფილების წარმომადგენლისა და საელჩოს წარმომადგენლისა. (ადს).

ბეხერის პროცესი

ბერლინი, 9 იანვარი. 15 მარტისათვის გადაიდო მწერლის ბეხერის პროცესი; მას ბრალად ედება „მზადება სახელმწიფო ღალატისათვის". (ადს).

პროტესტი ბეხერის საქმის წინააღმდეგ

ბერლინი, 9 იანვარი. პისკატორის თეატრში გაიმართა მრავალრიცხოვანი კრება პროლეტარული პოეტის ბეხერის მომავალი პროცესის წინააღმდეგ პროტესტის გამოსაცხადებლად. ლედებური ლაპარაკობდა ბეხერისადმი წარდგენილ საბრალმდებლო აქტის კლასობრივ ხასიათის შესახებ. მწერალმა ჰოლიჩერმა აღნიშნა, რომ **ყველა რევოლიუციონერი პოეტისათვის ნამდვილ სამშობლოს საბჭოთა კავშირი წარმოადგენს.** კრებაზე წაიკითხეს მრავალი წერილი, სადაც გამოთქმული იყო რამდენიმე ქვეყნის მწერლებისა და მხატვრების სოლიდარობა. წაკითხულ იქნა აგრეთვე მაქსიმ გორკის წერილი და მოსკოვის სტუდენტობის პროტესტი. კრების მსვლელობას სწყვეტდა სიმპატიების დემონსტრაციები საბჭოთა კავშირის მიმართ. (ადს).

ბოხუმის მელითონეთა გამარჯვება

ბერლინი, 9 იანვარი. კონფლიქტი ბოხუმში მელითონეთა და კონცერნის „ფერეინ დეიტჩერ შტალვერკე"-ს შორის მუშების გამარჯვებით დამთავრდა. კონცერნის საწარმოო ადმინისტრაციამ განაცხადა, რომ თანახმაა შეასრულოს სამედიატორო განაჩენი სამუშაო დღის ხანგრძლივობის შესახებ. (ადს).

ტრეველიანის განცხადება

ლონდონი, 9 იანვარი. უნივერსიტეტების მუშათა კონფერენციაზე გამოვიდა მუშათა პარტიის წევრი ტრეველიანი (პარლამენტის წევრი, სახალხო განათლების მინისტრი მაკდონალდის კაბინეტში) და განაცხადა: „ამჟამად არსებული ომის საფრთხის მთავარი მიზეზია წინააღმდეგობა ერთის მხრივ საბჭოთა კავშირსა და მეორე მხრით ინგლისსა და დასავლეთ ევროპას შორის; ეს საფრთხე არსებობს იმის წყალობით, ვინც ინგლისს განაგებს. უახლოესი მუშათა მთავრობის პოლიტიკა პირველ ყოვლისა იქით უნდა იყოს მიმართული, რომ საბჭოთა კავშირთან გულითადი ურთიერთობა აღსდგეს. უნდა დაიდოს ხელშეკრულება, რომელიც მოაწესრიგებს ყველა გადაუჭრელ საკითხებს; ეს ხელშეკრულება დაფუძნებული უნდა იყოს რუსეთის რევოლიუციის ნამდვილ ცნობაზე და მოსკოვში ისეთი ელჩი უნდა გაიგზავნოს, რომელიც ამ რევოლიუციას თანაუგრძნობს. ამავე დროს ხელი უნდა შეეწყოს ისეთ სესხს, რომლის დანიშნულებასაც საბჭოთა ვაჭრობის აღდგენა შეადგენს". (ადს).

ერთა ლიგის ინსპირაცია

ბერლინი, 9 იანვარი. შვეიცარიის დეპეშათა სააგენტომ გამოაქვეყნა ცნობა, რომელიც, როგორც ჩანს ჟენევის ინსპირაციას უნდა წარმოადგენდეს და იქიდან უნდა იყოს გამოგზავნილი; ცნობაში ნათქვამია: „მცირე ანტანტის მიმართვა ერთა ლიგისადმი და დიდ სახელმწიფოებისადმი უნგრეთში არალეგალური იარაღის შეტანის გამო სასურველად არ არის ცნობილი. ჟენევის დიპლომატიურ წრეებში—ნათქვამია ცნობაში—ფიქრობენ, რომ არც ერთი დაინტერესებული მთავრობა არავითარ ნაბიჯს არ გადასდგამს, ვიდრე არ გამოირკვევა გამოძიების შედეგები". (ადს).

ამსტერდამისაკენ

რეველი, 9 იანვარი. მხურვალე კამათის შემდეგ ესტონელ პროფკავშირების ყრილობამ 77 ხმის უმეტესობით წინააღმდეგ 27 ხმისა დაადგინა შეუერთდეს ამსტერდამის ინტერნაციონალს. დელეგატი გრიპელი (სეიმის დეპუტატი), რომელიც შეერთების წინააღმდეგ გამოვიდა, სხდომის დარბაზიდან გააძევეს პოლიციის საშუალებით. (ადს).

ღირსეული პასუხი

ლონდონი, 9 იანვარი. „დეილი მეილის" კორესპონდენტი ფილიპსი თან ახლავს ავღანისტანის ფადიშაჰს ბომბეიდან ევროპაში მოგზაურობის დროს; კორესპონდენტი ნეაპოლიდან იუწყება, რომ მან სთხოვა ფადიშაჰს გაეკეთებინა მეგობრული განცხადება ინგლისის მისამართით. ფილიპსმა რომ დაინახა, ფადიშაჰი ყოყმანობს, უთხრა: „გთხოვთ ნება მომცეთ ის მაინც დავსწერო, რომ ავღანისტანი ინგლისის მიმართ მეგობრულად განწყობილი სახელმწიფოა". ფადიშაჰმა უპასუხა: „დავიცადოთ და ვნახავთ, რა შედეგებს მივიღებთ, როცა მე საშუალება მექნება რომ თქვენს გარეშე საქმეთა მინისტრს მოველაპარაკო ლონდონში." (ადს).

გერმანიის ბურჟუაზია ირაზმება

„სახელმწიფოს განახლების კავშირის" დაარსება

ბერლინი, 8 იანვარი. ვოლფის სააგენტო იტყობინება: „დაარსებულია „გერმანიის სახელმწიფოს აღდგენის კავშირი", რომლის თავმჯდომარეთ არჩეულია ყოფილი რეიხსკანცლერი **ლუტერი**. ამ ახალი ორგანიზაციის მოწოდებაში, რომელსაც ხელს აწერს პოლიტიკურ სახალხო მეურნეობის და გერმანიის მუშათა მოძრაობის ასპარეზზე მომუშავე 200 გამოჩენილი მოღვაწე, ხაზგასმით აღნიშნულია, რომ „ისტორიამ გერმანიის წინაშე დააყენა ამოცანა სახელმწიფოს განახლებისა მმართველობის ორგანიული გადახალისების გზით".

მოწოდება მოითხოვს საერთო სახელმწიფოებრივი აპარატის უფლებების გაფართოებას, რითაც შესაძლებელი იქნება საგრძნობი ეკონომიის დაცვა და გადასახადების შემცირება. (ადს)

გერმანიის „განმაახლებელნი"

ბერლინი, 8 იანვარი. „გერმანიის სახელმწიფოს განახლების კავშირის" მოწოდებაზე ხელის მომწერთა უმრავლესობა არის ნაციონალისტები, სახალხო პარტიის და ცენტრის პარტიის წევრები, მათ შორის უდიდესი მრეწველები ტისენი, კრუპი და სხვანი, აგრეთვე გერმანიის პროფესიონალურ კავშირთა ნაციონალური გაერთიანების წარმომადგენლები. რეფორმისტულმა თავისუფალმა პროფკავშირებმა, რომელთაც მისცეს წინადადება მოეწერათ ხელი მოწოდებაზე, უარი განაცხადეს ხელის მოწერაზე. საერთო ყურადღებას იქცევს სოციალ-დემოკრატიის ორჭოფობა. იმ დროს, როცა სოც.-დემოკრ. პარტიის წევრმა ნოსკემ მოაწერა ხელი მოწოდებას, პარტიის ცენტრალური ორგანო „ფორვერტსი" აკრიტიკებს როგორც „გერმანიის სახელმწიფოს განახლების კავშირს", ისე მის მიერ გამოქვეყნებულ განცხადებას. გერმანიის კომპარტიის ორგანო „როტე ფანე" აცხადებს, რომ „გერმანიის სახელმწიფოს განახლების კავშირის" დაარსება გააძლიერებს ბურჟუაზიულ ბლოკს. **გაზეთი მოუწოდებს ყველა მშრომელთ დაირაზმონ ბურჟუაზიული ბლოკის მთავრობის ჩამოსაგდებად, ბრძოლის გასაფართოებლად ს.-დემ. პარტიის პოლიტიკის წინააღმდეგ, რომელიც ბურჟუაზიული ბლოკის ინტერესებს ემსახურება.** (ადს)

მდგომარეობა ჩინეთში

ჩო-ჩჟოუ აღებულია

პეკინი, 8 იანვარი. ჩო-ჩჟოუს ჩაბარება მუკდენელებისათვის — მომხდარი ფაქტია. საერთო აზრით, ჩო-ჩჟოუს ჩაბარება აუცილებლად გავლენას მოახდენს ჩრდილოეთ ჩინეთის სამხედრო პოლიტიკურ მდგომარეობაზე. ფიქრობენ, რომ ქალაქის ჩაბარება — პირველი ნაბიჯია ჩან-ძო-ლინის და ენ-სი-შანის შერიგების გზაზე. (ადს).

ჩან-ფა-გუას უკან დახევა

შანხაი, 8 იანვარი. გაზეთ „შუნ-ბაო"-ს ცნობით, ჩან-ფა-გუის არმიის ზოგიერთმა ნაწილებმა ლაოლუნისაკენ (ცზიან-სის პროვინციის სამხრეთ ნაწილში) დაიხიეს. (ადს)

გაფიცვა ხანკოუში

შანხაი, 8 იანვარი. 31 დეკემბერს ხანკოუში გაიფიცა იუვის საფეიქრო ფაბრიკის 4.000 მუშა. (ადს)

კომუნისტური მოძრაობა იზრდება

შანხაი, 8 იანვარი. „სიხ-ვან-ბაო"-ს ცნობით, **ვანანსიანში**, ცზიანსის დასავლეთ ნაწილში შესდგა კომუნისტური მთავრობა. **ხუბეის პროვინციაშიაც კომუნისტების მუშაობა გრძელდება. ერთ-ერთ სოფელში ვუზუნის ახლოს თითქოს აღმოჩენილია კომუნისტური შტაბი, გაზეთი იუწყება კომუნისტების დაპატიმრების შესახებ ნანჩანში. ზოგიერთი დაპატიმრებული დახვრეტილია.** (ადს)

ჩან-კაი-ში — მთავარსარდალი

პეკინი, 8 იანვარი. შანხაიდან მიღებული ცნობებით, ჩან-კაი-შიმ დაგზავნა ცირკულიარული დეპეშები მისი დაბრუნების შესახებ ჩრდილოეთ ექსპედიციის ჯარების მთავარსარდლის თანამდებობაზე. (ადს).

ომი ნიკარაგუაში

დეზერტირობა ამერიკის დამსჯელ რაზმში

ნიუ-იორკი, 8 იანვარი. ნავთსადგურის მუშების გაფიცვა კორინტოში (ნავთსადგური, რომელიც ნიკარაგუას დედაქალაქ მანაგუას აერთებს ზღვასთან) აღელვებს ამერიკელებს. ამერიკელები შიშობენ, რომ გაფიცვასთან დაკავშირებით შესწყდება სარკინიგზო მიმოსვლა მანაგუასთან. ამერიკის ხელისუფლების ორგანოები ადასტურებენ, რომ ამერიკის საექსპედიციო რაზმის ორი ჯარისკაცი გაიქცა, მაგრამ უარყოფენ „ასოშიეიტედ პრეს"-ის ცნობას იმის შესახებ, რომ დეზერტირები შეუერთდენ ლიბერალ სანდინოს ჯარებს. ამასთან დაკავშირებით „ასოშიეიტედ პრეს"-ი ისევ იუწყება, რომ ამერიკელი დეზერტირები მსახურებენ სანდინოს ჯარებში.

ლინდბერგი, რომელიც გამოფრინდა მანაგუადან, მიფრინდა სან-ხოზეში (კოსტარიკო). ლინდბერგის გაფრენის წინ, მანაგუაში მიფრინდენ ამერიკის ჰაეროპლანები, რომლებმაც ჩაიყვანეს იქ სანდინოს ჯარებთან უკანასკნელ ბრძოლებში დაჭრილი ჯარისკაცები

სანდინო კანონს გარეშე გამოცხადებული

ნიუ-იორკი, 8 იანვარი გაზეთების ცნობით ნიკარაგუას სენატმა კანონს გარეშე გამოაცხადა ლიბერალების ბელადი გენერალი **სანდინო** და შეერთებულ შტატებს ნება მისცა კონტროლი გაუწიოს ნიკარაგუას საპარლამენტო არჩევნებს, რომელიც დანიშნულია შემოდგომისათვის.

წარმომადგენელთა პალატას ეს დადგენილება ჯერ არ დაუმტკიცებია, რადგან დეპუტატების ნაწილმა გაილაშქრა მის წინააღმდეგ. შეერთებული შტატები კი გადაჭრით მოითხოვენ ამ დადგენილების დაუყოვნებლივ დამტკიცებას. თუ წარმომადგენელთა პალატამ დაადასტურა ეს მოთხოვნილება ოკუპაცია ნიკარაგუაში დაკანონებული იქნება ჯერ კიდევ პანამერიკული კონფერენციის გახსნამდე. (ადს)

იმპერიალისტების წინააღმდეგ

ნიუ-იორკი, 8 იანვარი. გავანიდან იტყობინებიან რომ ადგილობრივი პრესა კვლავ განაგრძობს კამპანიას ჩრდილო-ამერიკის შეერთებული შტატების წინააღმდეგ, მიუხედავად იმისა, რომ კუბის პრეზიდენტმა მაჩადომ აკრძალა ამერიკის საწინააღმდეგო კამპანია.

კონსერვატიული „ელ-მუნდო" ლათინური ამერიკის გაზეთების მსგავსად ჩრდილო-ამერიკის შეერთებულ შტატებისაგან მოითხოვს თავის სამშვიდობო დეკლარაციების გულწრფელობის დადასტურებას პანამერიკულ კონფერენციის გახსნამდე. (ადს)

ეროვნული ბიბლიოთეკა

რუსი მონარქისტების „მუშაობა“ ფინეთში

ბარონ გრევენიცის წერილები

„პრავდა“-ში გამოქვეყნებულია ბარონ გრევენიცის ორი წერილი გირსის მიმართ 1927 წლის 23 ნოემბრის და 15 დეკემბრის თარიღით. წერილები გრევენიცის მიერ გაგზავნილია ვიბორგიდან. გრევენიცი არის ოფიციალური მონარქისტების „წარმომადგენელი“ ფინეთში, მონარქისტების, რომელნიც გაერთიანებული არიან დიდი მთავრის ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე რომანოვის გარშემო. გირსი—ყოფილი მეფის ელჩია.

პირველ წერილში ნათქვამია:

„მონარქისტულ გაერთიანების ზოგიერთ წევრთა მოქმედების გამოძიების საქმესთან დაკავშირებით მე ვინახულე ფინეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი. ჩემთან საუბარში პრეზიდენტი რელანდერი შეეხო საკითხს მომავალ რუსეთის შესახებ და, კერძოდ, იმას, თუ როგორი იქნება მისი პოლიტიკა და დამოკიდებულება მის ყოფილ ტერიტორიაზე დაარსებულ ცალკე სახელმწიფოების მიმართ. პრეზიდენტმა განაცხადა, რომ საყოველთაო მშვიდობიანობის და ყოფილ რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში შემავალ ცალკე ეროვნებათა ინდივიდუალობის კულტურულ განვითარების ინტერესებისათვის, სასურველია, რათა მომავალი ახალი რუსეთი არ იყვეს ძლიერი სახელმწიფო. ასეთი რუსეთი, პრეზიდენტის აზრით, განსაკუთრებულ საფრთხეს წარმოადგენს იმპერიის დასავლეთ საზღვარზე ჩამოყალიბებულ ცალკე სახელმწიფოებისათვის. მე, თავის თავად ცხადია, შევეცადე დამერწმუნებია პრეზიდენტი, რომ მისი მოსაზრება შემცდარია და დამემტკიცებია, რომ, პირიქით, მხოლოდ თავის საზღვრების ძლიერ შემცირებით შეურაცყოფილი რუსეთი წარმოადგენს საფრთხეს საყოველთაო მშვიდობიანობისათვის, რომ ამიტომ ცუდ სამსახურს უწევენ ამ საქმეს ის პოლიტიკური მოღვაწენი, რომელნიც ცდილობენ ჩვენი სამშობლოს ეხლანდელი მძიმე მდგომარეობა გამოიყენონ იმისათვის, რომ მის შიგნით ხელი შეუწყონ ცენტრიდან ჩამოშორების მისწრაფებებს, და, მაშასადამე, ცალკე ტერიტორიების ჩამოშორებას მისგან. განსაკუთრებით დაწვრილებით პრეზიდენტი შეეხო საკითხს მომავალ ურთიერთობის შესახებ რუსეთსა და ბალტიის განაპირა სახელმწიფოებს შორის. სისწორით ვიცავდი რა თქვენ მაღალ აღმატებულებისაგან მიღებულ დირექტივებს (5 აგვისტოს გამოგზავნილ წერილში), მე აღვნიშნე ერთგვარი განსხვავება ერთის მხრივ ლატვიისა და ესტონეთის მიმართ და მეორეს მხრივ ფინეთის მიმართ დამოკიდებულებაში. მე განვაცხადე, რომ დასახელებულ სახელმწიფოების მიმართ რუსეთის მხრივ არ იქნება მიღებული არავითარი ძალმომრეობითი ზომები, მაგრამ განსაზღვრულ დროის შემდეგ, ალბათ, ლატვია და ესტონეთი ეკონომიურ მოსაზრებებით და საკუთარი ინიციატივით მოისურვებენ რუსეთთან შეერთებას ამა თუ იმ პირობის დაცვით. პრეზიდენტმა განაცხადა, რომ საეჭვოა ესტონეთმა უარი სთქვას მომავალში თავის დამოუკიდებლობაზე, მაგრამ ამავე დროს მან აღნიშნა, რომ მას განსაკუთრებით აინტერესებს ფინეთისადმი დამოკიდებულება და რომ ის შიშობს, რომ ძლიერი რუსეთი არ შეურიგდება ფინეთის დამოუკიდებლობას. ჩემს ახალ არგუმენტებზე მისი შიშის უსაფუძვლობის შესახებ მან მიპასუხა, რომ მოხარული იქნება, თუ ჩემ მიერ გამოთქმული მოსაზრებები გამართლდება და აგრესიულ მოქმედებებს ფინეთის მიმართ არ ექნება ადგილი, მაგრამ ეს ნათქვამი იყო ისეთი ტონით, რომელშიაც მოისმოდა ერთგვარი ეჭვი. აი ეს უკანასკნელი გარემოება მაიძულებს მე აღვძრა თქვენ მაღალ აღმატებულების წინაშე საკითხი: შესაძლოა თუ არა, ჩემ მიერ გამოთქმული მოსაზრებები მომავალ რუსეთის და დამოუკიდებელ ფინეთის ურთიერთობის შესახებ დადასტურებულ იქნეს რაიმე უფრო ავტორიტეტული და დამარწმუნებელი განცხადებით. შესაძლოა თუ არა, მაგალითად, რომ მე გადავსცე პირადათ პრეზიდენტს რაიმე დოკუმენტი ამ საკითხზე, ხელმოწერილი თქვენი მაღალაღმატებულების მიერ. თუ ეს უხერხულია, მაშინ შეიძლება ეს იქნეს თქვენ მაღალამღატებულების პირადი წერილი ჩემთან. ამ წერილის ასლს მე დაუტოვებდი პრეზიდენტს. ვალდებულათ ვრაცხ თავის თავს მოვახსენო თქვენ მაღალაღმატებულებას ზემოაღნიშნულის შესახებ და გთხოვთ მაპატიოთ, თუ მე აღვძარი საკითხი, რომელიც თანამედროვე პირობებში საკმაოდ საძნელოა“.

მეორე წერილში ნათქვამია:

„სამწუხაროდ, ჩემ მიერ გადადგმულმა ნაბიჯებმა ფინეთიდან პოლკოვნიკ გრიგორიევისა და პორუჩიკ შველცოვის გადასახლების შესაძლებლობის თავიდან აცილებლად, მიზანს ვერ მიაღწიეს: მათ ორივემ მიიღო შინაგან საქმეთა სამინისტროს მიწერილობა ორი კვირის განმავლობაში დაეტოვებიათ ამ ქვეყნის საზღვრები. რაც შეეხება ლარიონოვს, რომლის შესახებაც წარსულ 4 ნოემბრის ჩემს წერილში თქვენს მაღალაღმატებულებას ვსწერდი, რომ შინაგან საქმეთა სამინისტრომ აღმითქვა ჩემი შუამდგომლობის დაკმაყოფილება მისი სატუსაღოდან განთავისუფლების შესახებ იმ პირობით, რომ ის დასახლებულიყო სადმე ქვეყნის ცენტრალურ რაიონში, —საკითხი მის შესახებ საბოლოო განხილვის დროს სახელმწიფო საბჭოში გართულდა და დამთავრდა მით, რომ ლარიონოვი გადასახლებულ იქნა დანციგში, იქ გასამგზავრებლად ვიზა არაა საჭირო მაგრამ მის პასპორტზე ჩემი თხოვნით, დასმულ იქნა ფინეთში უკან დასაბრუნებელი ვიზა, რომელ ვიზითაც მან ისარგებლა და ამჟამად კვლავ ჰელსინგფორსში იმყოფება. საგარეო საქმეთა სამინისტრომ საკითხის ამგვარად გადაჭრა ახსნა მხოლოდ აუცილებლობით შესაძლებლობა მისცემოდა საბჭოთა კავშირის წარმომადგენლობისათვის ეცნობებია, რომ ლარიონოვი გადასახლებულია ამ ქვეყნიდან (ლარიონოვმა პეტროგრადში ყუმბარა გადისროლა კომუნისტურ კლუბში). მაგრამ შინაგან საქმეთა სამინისტრო მეტად უკმაყოფილოა ლარიონოვის დაბრუნებით და მოითხოვს მის ხელმეორედ გადასახლებას. ამავე დროს მესამე ინტერნაციონალის მოღვაწეობა წარმატებით გრძელდება. საბჭოთა კავშირიდან დიდი რაოდენობით მოდის არალეგალური ლიტერატურა და აგრეთვე საშუალებები არალეგალური მუშაობის საწარმოებლად და ფარული უჯრედების მოსაწყობად იმ ცნობების მიღების მიზნით, რომლებიც შიუტცკორს ეხება“.

„პრავდა“-ს კომენტარიები

ამ წერილების შესახებ „პრავდა“ სწერს:

„საბჭოთა პრესის მტკიცებას იმის შესახებ, რომ ბალტიის ზოგიერთი სახელმწიფოები მფარველობას უწევენ ემიგრანტების აქტიურ მოღვაწეობას, კატეგორიულად უარყოფდენ ამ სახელმწიფოების პრესა და მთავრობის წრეები. ჩვენს პრესაში მოყვანილი საბუთები, დაბოლოს, ჩვენს საზღვარზე გადმოსულ ტერორისტების გასამართლებანი, ყოველივე ეს ცხადდებოდა იმ „საზიზღარი“ ბოლშევიკების მახინაციობად, რომლებიც სდევნიან საბრალო ემიგრანტებს და თითქმის ისე ხსნიდენ, რომ ჩვენ ვცდილობთ ბალტიის სახელმწიფოები „საბჭოთა გავლენას“ დაუმორჩილოთ. მაგრამ მახათი ტომარში არ დაიმალება. შეიძლება ითქვას, რომ ამა თუ იმ სახელმწიფოს საბჭოთა კავშირისადმი მტრული განწყობილების ხარისხი განიზომება ამ სახელმწიფოს დამოკიდებულებით ემიგრაციის მოღვაწეობისადმი. და აქ უნდა ითქვას, რომ ინგლისის გავლენით ბალტიის ზოგიერთი სახელმწიფოები ამ ბოლო დროს სულ უფრო და უფრო მტრულ პოზიციას იკავებენ საბჭოთა კავშირის მიმართ. ამის და მიხედვით, მათი დამოკიდებულება ემიგრაციისადმი სულ უფრო და უფრო მეგობრული ხდება. ეს პირველ რიგში ეხება ესტონეთსა და ფინეთს. იყო დრო, როცა ფინეთი ბალტიის სახელმწიფოებს შორის ყველაზე უფრო ფრთხილ და გონივრულ პოლიტიკას აწარმოებდა თავისი აღმოსავლეთ მეზობლის მიმართ, მაგრამ ეს დრო ისტორიას ჩაბარდა. ამ უკანასკნელ ხანებში ფინეთი იქცა ემიგრაციისა და საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ მიმართულ ტერორისტული მოღვაწეობის დასაყრდენ პუნქტად. ეს საკმაოდ გამოააშკარავა ელვენგრენის საქმემ და სოლსკისა და ბალმასოვის პროცესებმა. საბჭოთა კავშირის მთავრობამ ფინეთის ყურადღება მიაქცია ემიგრაციის მუშაობაზე. ფინეთის მთავრობამ განაცხადა, რომ ის გმობს ამ მუშაობას და მიიღებს გადამჭრელ ზომებს, რომ ბოლო მოუღოს მას. მაგრამ ეს დაპირება დღემდე არ შესრულებულა. გამოქვეყნებული დოკუმენტები ნათელ შუქს ფენენ ამ საქმეს. ამ დოკუმენტებს არ სჭირდება განსაკუთრებული კომენტარიები. ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე რომანოვის ირგვლივ გაერთიანებულ რუს მონარქისტების „წარმომადგენელი“ ბარონი გრევენიცი, ეს თავისებური მონარქისტული „სრულუფლებიანი წარმომადგენელი“ თავის უფროსს, მეფის ყოფილ ელჩს გირსს მოახსენებს იმ საუბრის შესახებ, რომელიც მას ჰქონია ფინეთის პრეზიდენტ რელანდერთან როგორც ვიცით, უცხოეთის წარმომადგენლები საქმისათვის მიმართავენ საგარეო საქმეთა მინისტრებს, და მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში ღებულობს მათ (წარმომადგენლებს) სახელმწიფოს მეთაური. რუსი მონარქისტების წარმომადგენელი კი თავისუფლად ნახულობს ფინეთის რესპუბლიკის პრეზიდენტს. კიდევ მეტი, პრეზიდენტი ფინეთის სულთამხუთავ რომანოვების წარმომადგენელს ეკითხება, თუ როგორ მოეპყრობა „მომავალი რუსეთი“ ფინეთის დამოუკიდებლობას. ამავე დროს პრეზიდენტმა კარგად იცის, რომ საბჭოთა მთავრობის ერთ-ერთი პირველი აქტთაგანი ფინეთის დამოუკიდებლობის გამოცხადება იყო. ამასთანავე, ფინეთი როგორც ვიცით, საბჭოთა კავშირთან ნორმალურ დიპლომატიურ ურთიერთობაშია. მაგრამ პრეზიდენტს აღებული აქვს კურსი „მომავალ რუსეთზე“. მას სურს იცოდეს, — პატივისცემით მოეპყრობა თუ არა ეს მომავალი რუსეთი ფინეთის დამოუკიდებლობას. საკმაოდ უცნაური კითხვაა. როგორ უნდა შევაფასოთ ფინეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის ასეთი მოლაპარაკება იმ ემიგრანტების წარმომადგენელთან, რომლებიც ხელმძღვანელობენ ტერორისტულ მუშაობას იმ სახელმწიფოს წინააღმდეგ, რომელთანაც ფინეთი ნორმალურ დიპლომატიურ დამოკიდებულებაშია? ამ კითხვაზე პასუხის გაცემას თვით ფინეთის მთავრობას ვანდობთ.

გრევენიცის მეორე წერილი დაწვრილებით გვაწვდის საინტერესო ცნობებს ფინეთის ხელისუფლებისა და ემიგრანტ - ტერორისტების ურთიერთობის შესახებ. ფინეთის უზენაესი ხელისუფლება დიდ მზრუნველობას იჩენს ლარიონოვის მიმართ, რომელმაც, როგორც გრევენიცი იუწყება, „ყუმბარა ისროლა პეტროგრადის კომუნისტურ კლუბში“. შინაგან საქმეთა სამინისტრო დაპირებას იძლევა, რომ გაანთავისუფლებს მას ციხიდან და ნებას დართავს დარჩეს ფინეთში. მართალია, მისი გადასახლება მაინც საჭირო შეიქნა, მაგრამ მას დაუყოვნებლივ ეძლევა ვიზა, რომ მან დამშვიდებით შესძლოს დაბრუნება ჰელსინგფორსში. მთელი ეს მოხერხებული კომბინაცია მოწყობილია იმისათვის, რომ გარეშე საქმეთა სამინისტროს ჰქონდეს საშუალება „აცნობოს საბჭოთა კავშირის წარმომადგენლობას იმის შესახებ, რომ ლარიონოვი გადასახლებულია ფინეთიდან“. სურათი საკმაოდ ნათელია. რაღა ფასი აქვს ამის შემდეგ ფინეთის მთავრობის მშვიდობიანობის მოყვარეობის დეკლარაციებს და მის „გადაჭრილ ზომებს“ ემიგრაციის წინააღმდეგ? ფინეთი გარეშე ძალის ზეგავლენით შესდგა სახიფათო გზაზე — თავის მეზობლებთან, ავანტიურისტების ჯგუფთან კავშირის გზაზე, იმ სახელმწიფოს წინააღმდეგ, რომელმაც საკმაოდ დაამტკიცა თავისი მშვიდობიანობის მოყვარეობა ყველა მეზობლების მიმართ. ეს გზა კარგ შედეგს არ უქადის ფინეთის სახელმწიფოს და ეწინააღმდეგება თვით ფინეთის ხალხის საარსებო ინტერესებს. საბჭოთა კავშირი ვერ მოითმენს, რომ მის საზღვრებზე ემიგრანტ ავანტიურისტებმა მოამზადონ ტერორისტული აქტები ჩვენი სახელმწიფოს წინააღმდეგ. პასუხისმგებლობა ამ ბოროტმოქმედობითი მუშაობისათვის ეკისრება იმ ქვეყნებს, რომელნიც ამ ავანტიურისტებს უწევენ მფარველობას და დახმარებას (ადს).

ტერორი ლიტვაში

სოციალ - დემოკრატიული ორგანიზაციების დახურვა

კოვნო, 8 იანვარი. კოვნოს გაზეთების ცნობით, ხელისუფლების ორგანოების განკარგულებით პონევეჟის მაზრაში დაიხურა სოციალ - დემოკრატიულ პარტიის 8 ადგილობრივი ორგანიზაცია და ხუთი პროფკავშირი. ტელშოვის მაზრაში დახურულია სოციალ - დემოკრატიულ პარტიის ადგილობრივი ორგანიზაციები; სოციალ-დემოკრატებს განზრახული აქვთ ხელისუფლების ორგანოების განკარგულება გაასაჩივრონ სასამართლოს წინაშე.

დაპატიმრებები

კოვნო, 8 იანვარი. დაბა ბირაში, სადაც ამას წინად აღმოაჩინეს პლეჩკაიტისის მომხრეთა პროკლამაციები, ხელისუფლებამ მოახდინა ჩხრეკა და დაპატიმრება. დაპატიმრებულთა შორის იმყოფება სტუდენტი პილოტასი, რომელსაც ხელისუფლება ბრალსა სდებს იმაში, რომ ის მდივნად იყო ლიტველ ემიგრანტების ყრილობაზე რიგაში. (ადს).

პანიკა ნიუ-იორკის ბირჟაზე

კულიჯი ცდილობს ბირჟის გადარჩენას

ნიუ-იორკი, 8 იანვარი. იმ მიზნით, რომ განიმტკიცებია აქციების კურსი, რომელიც მეტად დაეცა ნიუ-იორკის ბირჟაზე მექსიკური კრიზისის გამო, კულიჯმა განაცხადა, რომ მდგომარეობა არ არის საშიში, რადგან კრიზისი გამოიწვია დიდმა მოთხოვნილებამ ნაღდ ფულზე სპეკულიატიური მიზნებისათვის. ამ განცხადებასთან ერთად გამოქვეყნდა აგრეთვე ცნობები, რომელნიც ოპტიმისტურად აფასებენ ფოლადის მრეწველობაში შექმნილ მდგომარეობას. მდგომარეობა საფონდო ბაზარზე ჯერ კიდევ რთულია. (ადს)

ყალბი დოკუმენტები

ვაშინგტონი, 8 იანვარი. შეერთებულ შტატების სენატის მიერ დანიშნულმა გამოძიებამ აშკარად დაამტკიცა „მექსიკანურ დოკუმენტების“ სიყალბე, რომლებიც გამოაქვეყნეს ხერსტის საგაზეთო ტრესტის ორგანოებმა იმ მიზნით, რომ დაემტკიცებიათ თითქოს მექსიკის მთავრობამ მოისყიდა შეერთებულ შტატების სენატორები. გრაფოლოგიის ექსპერტებმა გამოარკვიეს, რომ „საბუთები“ წარმოადგენენ უხეშ სიყალბეს. გამოძიებამ დაამტკიცა, რომ მექსიკაში ფართე მასშტაბით სწარმოებდა ყალბი დოკუმენტებით ვაჭრობა, რომელშიაც მონაწილეობას იღებდენ შეერთებულ შტატების საელჩოს (მექსიკაში) თანამდებობის პირნი.

მთავრობის კრიზისი ლატვიაში

მემარჯვენე მთავრობა?

რიგა, 8 იანვარი. დემოკრატიულ ცენტრის ცდა შეექმნა „ცენტრის კაბინეტი“, დამარცხებით დამთავრდა. ეხლა დემოკრატიულ ცენტრის მემარჯვენე ლიდერი იურაშევსკი სცდილობს შექმნას მემარჯვენე მთავრობა. (ადს).

მოსულის ნავთი

ანგორა, 8 იანვარი. „ჯუმხურიეთი“ იუწყება, რომ უკანასკნელი გამოკვლევების თანახმად, მოსულის ნავთიანი ადგილები ძლიერ მდიდარია ნავთით. გაზეთის სიტყვით, ნავთსადენი გაყვანილი იქნება იმ გეგმის მიხედვით, რომ ნავთი გადაჰქონ ქალაქ ხაიფაში, ხმელთა-შუა ზღვაზე, ისე, რომ გვერდი აუარონ სირიის ტერიტორიას. შემდეგ გაზეთი აღნიშნავს რა, რომ ოსმალეთ -ირაქის ხელშეკრულების ძალით მოსულის ნავთის ექსპლოატაციიდან მიღებული შემოსავლის ერთი მეათედი უნდა გადაეცეს ოსმალეთს, სწერს: „შემოსავლის იმ ნაწილის გადახდა, რომელიც ეკუთვნის ოსმალეთს, დაიწყება მაშინ, როცა დაიწყება ნავთის წყაროების ნამდვილი ექსპლოატაცია“. (ადს)

საბჭოთა კავშირში

რუსეთი

დახმარება საფრანგეთის მემაღაროებს

მოსკოვი, 9 იანვარი მემაღაროეთა კავშირის ცეკას პრეზიდიუმმა საფრანგეთის მემაღაროეთა უნიტარული ფედერაციისაგან მიიღო წერილი თხოვნით დახმარება გაუწიონ საფრანგეთის გაფიცულ მემაღაროებს კრეზო რაიონში. გაფიცვა გამოცხადებულია პროტესტის ნიშნად ხელფასის შემცირების წინააღმდეგ. მემაღაროეთა კავშირის ცეკამ გაფიცულ მემაღაროებს დახმარების სახით გაუგზავნა 30.000 ფრანკი. ამასთანავე ერთად გაიგზავნა აგრეთვე მისასალმებელი წერილი, რომელშიაც გამოთქმულია გაფიცვის წარმატებით დამთავრების სურვილი. (ადს).

გორკი თურქმენულ ენაზე

ასხაბადი, 9 იანვარი. გორკის 35 წლის სალიტერატურო მოღვაწეობის აღსანიშნავად თურქმენულმა სახელგამმა გადასწყვიტა, გამოსცეს გორკის ნაწარმოებთა ნაწილი თურქმენულ ენაზე (ადს).

კოციოს მკვლელთა აღმოჩენა

ოდესა, 9 იანვარი. ოდესის სისხლის სამართლის მილიციამ და სახ. პოლიტსამმართველომ დააპატიმრეს კოციოს მკვლელები. გურკოვიჩი და დობროვოლსკი. უკანასკნელი გამოტყდა კოციოს მოკვლასა და გაძარცვაში. დობროვოლსკის სიტყვით მკვლელობის დღეს, საღამოთი ის გარეთ გამოვიდა, რომ სადმე რამე მოეპარა. ბატარეის შესახვევზე რომ გავიდა ის შემთხვევით შეხვდა უცნობ მოხუცს (კოციოს), რომელსაც ნიკაპში თავი ამოჰკრა და წააქცია. რადგან წაქცეული კოციო იარაღით თავდაცვას ცდილობდა, დობროვოლსკიმ პირველივე ხელში მოხვედრილი ქვა რამდენჯერმე დაარტყა თავში მოხუცს. მკვლელმა გახადა მოკლულს ქურქი, კოსტიუმი და ფეხსაცმელი, თვითონ ჩაიცვა ყველაფერი, აიღო კოციოს რევოლვერი, საფულე და საათი, გვამი კი აგარაკის ღობეზე გადააგდო, რათა პირველ ხანებში ბოროტმოქმედების კვალი მიემალა. შემდეგ დობროვოლსკი მიიმალა. ნივთების ნაწილი დამალა რკინის-გზის საავადმყოფოს სახლს უკან ქვებში, საფულე კი რკინის-გზის მახლობლად. საათი და კოსტიუმი ერთი დღის შემდეგ გაჰყიდა, რამდენიმე დღის შემდეგ კი ქვებში დამალული ქურქი ამოიღო და გურკოვიჩს მიანდო მისი გაყიდვა. მოკლული კოციოს ფეხსაცმელი დობროვოლსკის გახადეს დაპატიმრების შემდეგ. გურკოვიჩიც გამოტყდა კოციოს ქურქის გაყიდვაში.

გამოძიება კვლავ სწარმოებს. (ადს).

ამხ. ლოზოვსკი პროფინტერნის მე-4 მსოფლიო კონგრესის შესახებ

მოსკოვი, 9 იანვარი. 15 მარტს იხსნება პროფინტერნის მსოფლიო კონგრესი.

პროფინტერნის გენერალურმა მდივანმა ამხ. ლოზოვსკიმ, განსაზღვრა კონგრესის ამოცანები და განაცხადა შემდეგი:

„პროფინტერნის მე-4 კონგრესმა ჯამი უნდა გაუკეთოს საერთაშორისო პროფმოძრაობის ყველა თვალსაჩინო ეტაპს, მან უნდა განიხილოს აგრეთვე მთლიანობისათვის შემდგომი ბრძოლის პრობლემა მთელი მისი სისრულითა და სირთულით. მთლიანი ფრონტი უნდა განხორციელდეს არა ზემოდან, არამედ ქვემოდან.

კონგრესზე ერთი უმნიშვნელოვანესი საკითხი იქნება იმპერიალიზმისა და მოსალოდნელი ომის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხი. წინა კონგრესების მსგავსად მე-4 კონგრესი დიდ ყურადღებას მიაქცევს მუშათა მოძრაობას კოლონიალურ და ნახევრად კოლონიალურ ქვეყნებში, მეტადრე კი ჩინეთის პროფკავშირების ამოცანებს რევოლიუციის დროს.

მე-4 კონგრესზე ცალკე მუხლად არის გამოყოფილი პროფინტერნის ინგლისელ მომხრეთა ტაქტიკის საკითხი, რადგან ინგლისში თანდათან გაძლიერებულ სოციალურ კონფლიქტებს უდიდესი მნიშვნელობა აქვთ მთელ მსოფლიოს მუშათა მოძრაობისათვის. კონგრესმა უნდა განიხილოს აგრეთვე საკითხი პროპაგანდის საერთაშორისო კომიტეტების შესახებ და შეიმუშაოს სერიოზული პროგრამა ბრძოლისა სოციალური კანონმდებლობისათვის. 8 საათის სამუშაო დღე ბევრს ქვეყანაში მხოლოდ ქაღალდზე არსებობს. პროფინტერნის მე-4 კონგრესს კი დასჭირდება, რომ ლოზუნგად წამოაყენოს ბრძოლა 7 საათის სამუშაო დღისათვის კონგრესი დასახულ ამოცანებს მხოლოდ მაშინ გადასწყვეტს წარმატებით, თუ კონგრესისათვის სერიოზულად მოემზადებიან პროფინტერნის ყველა მომხრე ორგანიზაციებში“ (ადს).

ამხ. ბრიუხანოვი ახალი საგლეხო სესხის შესახებ

მოსკოვი, 9 იანვარი ამხ. ბრიუხანოვმა საბჭოთა კავშირის ტელეგრაფის სააგენტოს თანამშრომელთან საუბარში „გლეხის მეურნეობის განმამტკიცებელ“ ახალი სესხის მნიშვნელობის შესახებ, განაცხადა:

„სესხის წარმატებით გავრცელება დადებით გავლენას იქონიებს პურის დამზადების მიმდინარეობაზე, გაადიდებს პურის სახელმწიფო რეზერვებს, შეანელებს იმ შეუფარდებლობას, რომელიც არსებობს სამრეწველო საქონელზე გლეხობის მოთხოვნილებასა და სახელმწიფო ორგანოებისა და კოოპერაციის განკარგულებაში მყოფ მარაგს შორის, მისცემს სახელმწიფოს საშუალებას გამოიყენოს სამეურნეო-აღმშენებლობისათვის უქმად მყოფი გლეხობის დანაზოგი თანხები. კამპანია ამ სესხის გავრცელებისათვის უნდა ჩატარდეს, როგორც ფართო საერთო პოლიტიკური საწროფო კამპანია. კამპანია უმთავრესად უნდა [illegible] სოფლად, ვინაიდან სესხის დაფარვა ნავარაუდევია გლეხობის მიერ დანაზოგ თანხებით. უნდა გამოყენებულ იქნას ყველა ყრილობები და კონფერენციები. კამპანიაში ფართოდ უნდა ჩავაბათ სოფლის უპარტიოთა მოჯამაგირეთა და ღარიბ და საშუალო გლეხობის აქტივი. სესხის კამპანია უნდა ჩატარდეს ლოზუნგით: „არ უნდა დარჩეს არც ერთი გლეხი, რომელსაც არ ექნება შეძენილი „გლეხურ მეურნეობის განმამტკიცებელი სესხის ობლიგაცია“.

კალინინმა და მე მივმართეთ ყველა გლეხებს და გლეხ-ქალებს მოწოდებით ახალ საგლეხო სესხის შესახებ. მოწოდებაში ნათქვამია: სოფლის მეურნეობა ვერ დაეწია მრეწველობის ზრდას, ის ძლიერ ჩამორჩენილია. მიწა ბევრი გვაქვს და მისი ისე დამუშავება კი, როგორც ეს საჭიროა, ჩვენ არ შეგვიძლია, მთავრობა დიდძალ ფულს ხარჯავს ყოველწლიურად სოფლის მეურნეობაზე. მაგრამ ეს თანხები მაინც არაა საკმაო, მთავრობას კი მეტის დახარჯვა ამჟამად არ შეუძლია. გლეხებო და გლეხ-ქალებო! ჩვენშია დაახლოებით 24 მილიონი გლეხური მეურნეობა. თუ თითეული მეურნეობა იყიდის სესხის ობლიგაციას, გამოვა დიდი თანხა შემდეგ მოწოდებაში ჩამოთვლილია ახალ სესხის ყველა ხელსაყრელი მხარეები. „მაშ ხალისიანად შევიძინოთ ეს სესხი. რაც უფრო მალე და უფრო სრულად გასაღდება ის, რაც უფრო მალე მიიღებს მთავრობა საშუალებას, მით უფრო მალე დახარჯავს მათ გლეხურ მეურნეობაზე. მით უფრო მალე მიაღწევს აღორძინებას და გაჭირვებიდან გამოვა გლეხური მეურნეობა“. (ადს.

საკავშირო კომპარტიის (ბ) მეხუთმეტე ყრილობის შედეგები

ამხ. მამია ორახელაშვილის მოხსენება თბილისის პარტაქტივის კრებაზე *)

პარტია და ოპოზიცია

ეხლა უკანასკნელი საკითხი ოპოზიციის შესახებ. ამ საკითხმა ყველას საკმაოდ მოაბეზრა თავი, მაგრამ ამ საკითხზე ჩვენ ერთხელ კიდევ და მხოლოდ ერთხელ უნდა მოვილაპარაკოთ. ყოველივე ის, რაც იყო აყროლებული ჩვენს პარტიაში, ყოველივე ის, რაც ხრწნიდა ჩვენს პარტიას, — ჩვენ ამ სხდომაზე უნდა დავასამაროთ.

ტროცკიზმის ჰეგემონია ოპოზიციაში

მე ვიმეორებ, რომ მე-15 ყრილობა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ჩვენი პარტიის ისტორიაში მით, რომ მან ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვა იმ ოპოზიციაზე, რომელმაც ანტი-ლენინური სიო შეიტანა ჩვენს პარტიაში. ეხლა საჭირო არ არის ისევ გადავლექოთ ის საბუთები, რომლებიც მენშევიკურ გადახრაში ამხილებს ჩვენს ოპოზიციას. ის გარემოება, რომ თვით ოპოზიციის რიგებში ადგილი აქვს განხეთქილებას, საკმაოდ დამახასიათებელია. ოპოზიციაში მოხდა „დიფერენციაცია“ — ტროცკისტები ერთ მხარეზე აღმოჩნდენ, მეორე მხარეზე კი აღმოჩნდენ ვითომ ყოფილი ლენინელები, რომლებსაც ეხლა აქვთ სურვილი დაბრუნდენ ლენინურ პარტიაში და ყრილობის პირობებს ემორჩილებიან.

ეს არის ტროცკიზმის ჰეგემონია, ეხლა ტროცკი და ტროცკისტები ანსახიერებენ ოპოზიციის ნაშთებს. ეხლა გერმანული მენშევიკური „ფორვერტს“-იც და თეთრგვარდიელების პრესაც ტროცკისტებს უწოდებენ „ჭეშმარიტ რევოლიუციონერებს“, რომლებმაც გამოიჩინეს იმდენი გამბედაობა და რევოლიუციონური სიმტკიცე, რომ „ქედი არ მოიხარეს, არ წამოიჩოქეს. შეინარჩუნეს თავისი იდეური“ სახე, შეინარჩუნეს საკავშირო კომპარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების დამნგრეველთა როლი, ესოდენ სასურველი თეთრგვარდიელებისათვის ტროცკისტული ჰეგემონია ოპოზიციაში დამტკიცებულია. თუ რას წარმოადგენდა ტროცკი წარსულში, ჩვენ ეს ვიცით, და თუ რას წარმოადგენდა იგი უახლოეს დროში, ჩვენ ეს დავინახეთ იმ ციტატიდან, რომელიც მე მოვიყვანე მის მიერ ზაპოროჟიეში წარმოთქმულ სიტყვიდან. ამ სიტყვაში ის საკითხს სოფლის შესახებ სვამს წმინდა მენშევიკურად, საკითხის ასეთი დასმით ის ამ საკითხში ენათესავება ჰილფერდინგს, ბაუერის და სხვ. ტიპის მენშევიკებს.

ტროცკი და ქართველი მენშევიკები

ტროცკი არასოდეს არ იყო ბოლშევიკი, და, რა თქმა უნდა, არასოდეს არ იყო ლენინელი, ვინაიდან ბოლშევიკი —ეს არის ლენინელი. ტყუილა კი არ იყო ის წინააღმდეგი ამ სახელწოდების დატოვებისა, როდესაც ჩვენი პარტია თავის სოციალ - დემოკრატიულ სახელწოდებას იცვლიდა. ჩვენ ეს ვიცით, ლენინის ნაწერებიდან. აქ ჩვენ შეგვეძლო საილუსტრაციოდ მოგვეყვანა ერთი ჩვენება, რომელიც მოწმობს იმას, რომ კომუნისტური და ანტი-კომუნისტური ელემენტები იხილავდენ ტროცკის, როგორც განსაზღვრულ მენშევიკურ ეკვივალენტს კომპარტიაში.

აქ ზედმეტი არ იქნება გავიხსენოთ ყრილობის წინა დისკუსია ეროვნულ საკითხის შესახებ. მე-12 ყრილობის წინ „პრავდა“-ში დაიბეჭდა ტროცკის წერილი.

ტროცკიმ დასწერა წერილი ეროვნულ საკითხის შესახებ, ესე იგი იმ საკითხის შესახებ, რომელიც მას არასოდეს არ აინტერესებდა. ტროცკის წერილს გამოეხმაურენ ქართველ მენშევიკების ლიდერები სუზდალიდან და ა. ჭიაბერაშვილის საშუალებით დაუწყეს ტროცკის გრძელგრძელ წერილების გზავნა. ამ წერილში ძალიან ბევრია ასეთი სიტყვები: „ბელადი“, „სულით ძლიერი“; ტროცკის წერილის შესახებ სწერენ, რომ ეს არის „პირველი მერცხალი“, რომელიც ბადებს დიდ იმედებს დასხვ. დასასრულ ა. ჭიაბერაშვილი, რომელიც კარგად იცნობს თავის ადრესატს, მიმართავს მას წინადადებით, რომ მან აიღოს მტკიცე კურსი მენშევიკურ პროგრამის მიღებისათვის ეროვნულ საკითხში. „გაბედეთ, ლევ დავითის ძევ“ — მიმართავს მენშევიკი.

ეს ფაქტი საგულისხმოა იმ მხრივ, რომ მენშევიკი მიმართავს, არა პარტიას ამა თუ იმ ხელმძღვანელ მუშაკს, არა ბუხარინს, „საპატიო ქართველს“, რომელსაც მაშინ რამოდენიმედ განსხვავებული პოზიცია ეკავა ეროვნულ საკითხში, არამედ ტროცკის.

საბჭოთა ლეგალობის გადალახვა

ლევ დავითის ძემ მაშინ ვერ გამოიჩინა გამბედაობა, მან გაბედა მხოლოდ რამოდენიმე იაფ-ფასიან ვოდევილების დაწერა „პრავდა“-ში. მან ვერ გამოიჩინა „გამბედაობა“ 1923 წლის დისკუსიის დროსაც, ის კიდევაც დაემორჩილა პარტიას, აღმოჩნდა პარტიის „დისციპლინიანი“ წევრი. მან ვერ გამოიჩინა გამბედაობა ვერც 1925 წელში, ვერც 1926 წელში, მაგრამ უკანასკნელ ხანებში,როგორც იცით,მან სწორედ იმდენი გამბედაობა გამოიჩინა, რომ გადააბიჯა არა მარტო ჩვენი პარტიის წესდებას, ჩვენი პარტიის დისციპლინას, არამედ საბჭოთა წესდებასა და საბჭოთა კანონიერებასაც. მან გაბედა ქუჩაში გამოსვლა 7 ნოემბრის დემონსტრაციის დროს და ამავე დროს გაბედა უმაღლეს ტექნიკურ სასწავლებლის ძალით ხელში ჩაგდება, გამართა იქ კონფერენცია-მიტინგი, რომელზედაც სცემეს იმ პარტიულებს, რომლებსაც სურდათ ხელი შეეშალათ ამ ანტი-პარტიულ შემოტევისათვის. აშკარაა, რომ გამბედაობა იქამდე მივიდა, რომ ლაშევიჩს მუშაობა ტყეში ეხლა, უკანა რიცხვით, გვეჩვენება დისციპლინის უმნიშვნელო დარღვევად.

ოპოზიცია განადგურებულ იქნა

როგორი აღმოჩნდა ოპოზიციის ძალები? ჩვენ მან თავზე მოგვახვია დისკუსია. პარტია წავიდა ამაზე და რა მივიღეთ შედეგად? 724 ათასმა მხარი დაუჭირა ცეკას, მის ხელმძღვანელობას პოლიტიკურ, სამეურნეო და სხვა მუშაობაში და სულ რაღაც 4.000—ტროცკისტულ ოპოზიციას. ეს მოხდა ფართო დისკუსიის დროს, შინაპარტიულ დემოკრატიის პირობებში.

ოპოზიციას ჰქონდა თავისი საკუთარი ფარული, კონსპირატიული აპარატი, თავისი „იდეური“ შეიარაღება შეავსო იმ არსენალის ორგანიზაციითაც, რომელიც მას ჰქონდა ყველა ქალაქებსა და ყველა ოლქებში; მიუხედავად ამისა, ის მაინც სასტიკად დამარცხდა. როგორ იქცეოდა ის ყრილობაზე?

თითქოს მე-15 ყრილობისათვის, როდესაც პარტია მიდიოდა ამ ყრილობაზე, მას უნდა ჰქონოდა მზა გადაწყვეტილება ოპოზიციის შესახებ, ბოლშევიზმის მთელი ტრადიციის მიხედვით, ჩვენი წესდებების, ლენინურ წესდებების — ჩვენი პარტიის ამ ცემენტის სალტეების მიხედვით ჩვენ ყრილობამდე უნდა გადაგვეჭრა საკითხი ოპოზიციის შესახებ. მაგრამ ყრილობამდე გადაწყვეტილი იყო საკითხი მხოლოდ ზოგიერთი ლიდერების შესახებ, რომლებიც უშუალოდ იყვენ პასუხისმგებელი იმ კონტრრევოლიუციონურ გამოსვლისათვის, რომელიც მოაწყო ოპოზიციამ უკანასკნელ დროს მოსკოვში. მხოლოდ ლიდერების ნაწილი და მთელი ოპოზიციის დაახლოებით ერთი მეოთხედი იქნა გამორიცხული პარტიიდან ყრილობამდე. ოპოზიციას სრული შესაძლებლობა ჰქონდა გადაეშალა ყრილობის წინაშე ის პროგრამა, რომელიც მას ჰქონდა და რომელიც მას მიაჩნდა იმის მინიმუმად, რაც მისი აზრით უნდა განახორციელოს ლენინურმა პოლიტიკამ ისტორიის დღევანდელ ხანაში ჩვენი ხელმძღვანელობის ყველა დარგებში. ოპოზიციის ზოგიერთ ლიდერებს არ წაერთვა პარტბილეთი და ისინი მიწვეულ იქნენ ყრილობაზე სათათბირო ხმით. ამხანაგების ერთი ნაწილი მოელოდა, რომ ოპოზიცია ვალდებულად ჩასთვლიდა თავს გამოსულიყო ყრილობაზე და გადაეშალა თავისი „დადებითი“ პროგრამა. ამხანაგებო, ეს ასე არ მოხდა.

კამენევ - ზინოვიევის მანევრები

მიუხედავად იმისა, რომ მათ მიეცა საშუალება გამოსულიყვენ ყრილობის წინაშე, ოპოზიციის ლიდერებმა არჩიეს კრემლის სასახლის ანდრეევის დარბაზის კედლებთან ატუზვა. მათ უმნიშვნელო საკითხებზე გამოუშვეს ოპოზიციის მეორეხარისხოვანი ბელადები, რათა კი, ვინც ოპოზიციის ერთგვარი სრულუფლებიანი წარმომადგენლები იყვენ ყრილობაზე, ისევ არჩიეს მანევრის გაკეთების ცდა. ყრილობაზე მათ არ წამოაყენეს არაფერი არსებითი, არაფერი პრინციპიალური, არაფერი ძირითადი, რის გამოც სწარმოებდა ოპოზიციის ბრძოლა პარტიასთან. კამენევის გამოსვლა ეს იყო ტიპიური გამოსვლა გზააბნეულ პოლიტიკანის, გაკოტრებულ პოლიტიკანის, რომელსაც დარჩენოდა მხოლოდ თავი მოეკატუნებია და გაესაღებია თავი პარტიის თავდაბალ და მორჩილ წევრად, რათა შეენარჩუნებია იმის საშუალება, რომ ჰქონოდა უკეთეს მომავლის მოლოდინი, შეენახა უბეში ქვა და მოხერხებულ მომენტში დაერტყა ის პარტიისათვის. მისი გამოსვლა იყო თავიდან ბოლომდე თვალთმაქცობა, რომელსაც შეუძლია მიმართოს მხოლოდ იმან, ვისაც პარტიასთან სალაპარაკოდ დარჩენია მხოლოდ თვალთმაქცობის ენა, ფარულ მანევრების ენა, მის თვალსაზრისით უკეთეს დროის მოლოდინში. არაფერი დადებითი, არაფერი პროგრამული მათ ყრილობაზე არ გადაუშლიათ და შეიქმნა ისეთი შთაბეჭდილება, რომ მათ ან დრომოჭმულად უნდა ეცნოთ თავისი პლატფორმა და უარეყოთ იგი, ან აქედან უნდა გაკეთებულიყო ის დასკვნა, რომ ტროცკისტულმა ცეკამ გადასწყვიტა ისევ გაეკეთებია მანევრი, ისევ მოეტყუებია პარტია, ვინაიდან, როდესაც კამენევი ყრილობის ტრიბუნიდან არწმუნებდა ყრილობას და ფიცულობდა თავის ლოიალობას, როდესაც ის არწმუნებდა ყრილობას, რომ ისინი წინააღმდეგი არიან მეორე პარტიის, რომ ისინი ხელს იღებენ გათიშვის პოლიტიკაზე და სთხოვენ ყრილობას, რათა ის „დაეხმაროს“ მათ ამაში, —ამ დროს მათ გამართული ჰქონდათ რაღაც ყრილობის თუ კონფერენციის მსგავსი, რომელზედაც, რა თქმა უნდა, იყვენ წარმომადგენლები თბილისიდანაც. ამ დროს ისინი ადგილებს უგზავნიდენ საინფორმაციო ცნობას ყრილობის განწყობილებების შესახებ და სათანადო დირექტივებს.

პირველი განცხადება, რომელიც გააკეთა ზინოვიევმა და მისმა ჯგუფმა, ზედმიწევნით სწორი ცნობების მიხედვით, იმ ნაწილში, რომელშიაც ლაპარაკი იყო პარტიისა და მის გადაწყვეტილებებისადმი დამორჩილების შესახებ, მეორე პარტიის ფრაქციისათვის არსებობდა განმარტება, რომ ეს შესრულებისათვის კი არ კეთდება, არამედ თვალის ასახვევად.

აქ იყო არა თუ თამაში, არამედ ოპოზიციის ყოვლად დანაშაულებრივი, ბინძური განზრახვა პარტიის წინააღმდეგ. ოპოზიციის ლიდერებს არ აღმოაჩნდათ არც ერთი წვეთი გულწრფელობა. არც ერთი წვეთი პოლიტიკური პატიოსნება, არც ერთი წვეთი პოლიტიკური გამბედაობა, და, რა თქმა უნდა, ყრილობას ის გადაწყვეტილება უნდა გამოეტანა, რომელიც მიიღო მან ამხ. სტალინის მოხსენების გამო, ცეკას ანგარიშის გამო: მას შეუძლებლად უნდა ეცნო იმ ხალხის დატოვება პარტიაში, ვინც აღიარებს ტროცკისტულ ოპოზიციის პრინციპებს და მით უმეტეს აწარმოებს ამ იდეების პროპაგანდას საკავშირო კომპარტიის (ბ) შიგნით.

ყრილობის ერთსულოვანი გადაწყვეტილება

ოპოზიცია თავს იკატუნებს, თითქოს ეს არ მომხდარა ლენინის დროს, თითქოს რაღაც ახალ რამეს წარმოადგენს იმის ლაპარაკი, რომ ოპოზიციის მიერ თავის შეხედულებათა უარყოფა, გადაწყვეტილება ყრილობისადმი დამორჩილების შესახებ — თითქოს ეს ეწინააღმდეგებოდეს ლენინიზმს და თითქოს ლენინიზმი არ იცნობდეს ისეთ შემთხვევას, როდესაც ესა თუ ის მიმართულება პარტიაში ცხადდებოდეს შეუთავსებლად ჩვენი ბოლშევიკური პარტიის საფუძვლებთან. ამხ. რიკოვის და ამხ. სტალინის მიერ მოყვანილ ცნობებმა დაამტკიცეს ოპოზიციის ამ არგუმენტების მთელი უაზრობა, მთელი სიყალბე და მთელი უსაფუძვლობა. ჩვენ ვიცით მუშათა ოპოზიციის ბედი, ეს მიმართულება ლენინის დროს, ანარქოსინდიკალიზმისათვის, მე-10 ყრილობის რეზოლიუციით გამოცხადებულ იქნა პარტიის გარეშე, როგორც კომუნისტურ პარტიასთან შეუთავსებელი მიმართულება. ჩვენ ვიცით, რომ მიასნიკოვის ჯგუფიც განდევნილ იქნა პარტიიდან თავის იდეოლოგიისათვის, და როგორც საბჭოთა კანონიერების დამრღვევლებმა, მათ საბჭოთა საპატიმროებშიაც ამოჰყვეს თავი.

ჩვენი ოპოზიციისათვის ისიცაა დამახასიათებელი, რომ ის არც კი შეცდა რაიმე მონაწილეობა მიეღო ყრილობის დადებით მუშაობაში — რაკი არ შეიძლება დეზორგანიზაციის შეტანა ყრილობაზე, მის შემოქმედებით მუშაობას მაინც უნდა გაექცე! ამ ხალხმა ვერ იპოვა შინაგანი მოთხოვნილება გამოეთქვა აზრი ყრილობის ამ უაღრესად სერიოზულ მტკივნეულ საკითხებზე. დახეტიალობდენ კორიდორებში და დარწმუნებული იყვენ, რომ მათ გამორიცხვას ვერავინ გაბედავდა, „მოკლე ხელები აქვთო“. ყრილობამ ეს გაბედა და გაბედა ერთხმად და ერთსულოვნად. კომისიამ, რომელიც არჩეულ იქნა პირველ სხდომაზე იმ მასალების გასარჩევად, რომლებიც ეხებოდა ოპოზიციას, ვერაფერი ახალი ვერ სთქვა. მან დაადასტურა ის, რაც ცნობილი იყო იმ მრავალრიცხოვან დოკუმენტებიდან, რომლებიც დაწყობილი იყო კრემლის ერთერთ დარბაზში და სადაც ყველას შეეძლო გასცნობოდა ამ მასალებს. ეს მასალები ახასიათებდა ოპოზიციას, თვით იმ დროშამდე, რომელიც ჩამოერთვა ოპოზიციონერებს ამურის ოლქის ერთ სოფელში. ამის შემდეგ ყრილობას დარჩენოდა შეემუშავებია ოპოზიციის იმ უშუალო ხელმძღვანელთა და დეზორგანიზატორთა საერთო სია, რომლებიც პასუხისმგებელი იყვენ ოპოზიციის საქმიანობისათვის, და ერთი დადგენილებით გამოერიცხა ისინი პარტიიდან. ამ პირველ სიაში იყო 75 კაცი, საპრონოვის ჯგუფში 23 კაცი. ყრილობის დადგენილებით ისინი გამორიცხულ იქნენ პარტიიდან.

იდეურ - ორგანიზაციული განიარაღება

სრულიად ბუნებრივია, რომ ასეთივე ოპერაცია აუცილებლად უნდა მოხდეს ადგილებზედაც.

მხოლოდ ყრილობის ამ გადაწყვეტილების შემდეგ ოპოზიციამ კეთილინება ხმის ამოღება.

კამენევი, რომელიც მეორე დღეს უკვე უპარტიო იყო, ყრილობის დადგენილებით პარტიიდან გამორიცხული, ცხადდება ყრილობაზე მზა „ქაღალდით“ და სთხოვს რიკოვს ნება დართოს მას გამოვიდეს ტრიბუნაზე ამ განცხადების გამოსაქვეყნებლად. რა თქმა უნდა, ის ყრილობაზე არ დაუშვეს, მაგრამ განცხადება გამოქვეყნდა. თქვენ ამ განცხადებას ალბათ იცნობთ.

მისი ავტორები თავისთვის სავალდებულოდ სცნობენ ყრილობის გადაწყვეტილებას ორგანიზაციულ - იდეურ განიარაღებაზე და მას ემორჩილებიან. ეს მათ ჩაიდინეს ყრილობის ამიერიდან უკვე ისტორიულ დადგენილების შემდეგ ოპოზიციის გამორიცხვის შესახებ. ოპოზიციამ, ტროცკისტების ერთი ნაწილის გამოკლებით, ქედი მოიხარა და თავი ვალდებულად სცნო განიარაღდეს. ამგვარად, საკითხი ოპოზიციის შესახებ ამოიწურა. ამიერიდან საკითხი დგება იმის შესახებ, თუ როგორი იქნება ის გზა, რომლითაც ოპოზიცია უნდა დაბრუნდეს პარტიაში, ვინაიდან, როგორც სთქვა ამხ. კიროვმა, გზა, რომელითაც იგი პარტიიდან წავიდა, შეიძლება უმოკლესი აღმოჩნდეს იმ გზაზე, რომლითაც იგი უკანვე ფიქრობს პარტიაში დაბრუნებას. ეს სწორია. ჩვენ ასე უნდა გავიგოთ ყრილობის გადაწყვეტილება. შეიძლება, ბევრი ვეღარ მოესწროს იმ დროს, როცა ტროცკი და მისი მსგავსნი დაბრუნდებიან უკან კომუნისტურ პარტიაში. რაც შეეხება მათ, რომელთაც განცხადება შეიტანეს იდეურ და ორგანიზაციულ განიარაღების შესახებ, ყრილობის დადგენილებით მათ პარტიაში დაბრუნება შეუძლიათ განსაზღვრული ვადის გასვლის შემდეგ. ყრილობამ სრულიად მართებულად, საჭიროთ და შესაძლებლად სცნო არ განეხილა არსებითად ეს ახალი განცხადება. ვინაიდან ყრილობამ გადასწყვიტა, რომ ოპოზიციის დანაშაული დაუსჯელად არ უნდა დარჩეს, დადგენილია დატოვებულ იქნენ ისინი უპარტიო დიეტაზე ექვსი თვის განმავლობაში იმ პირობით, თუ სათანადო ყოფა-ქცევას გამოიჩენენ. ყოველი ოპოზიციონერისათვის წესდება ინდივიდუალური მიღება პარტიაში. ყოველი ოპოზიციონერი ცალკ-ცალკე წარსდგება ც. კ. წინაშე და სთხოვს მას პარტიაში დაბრუნებას. მხოლოდ იმის დაწვრილებითი განხილვის შემდეგ, თუ რამდენად შეეფერება მისი ყოფაქცევა პარტიის მიერ ეხლახან წაყენებულ პირობებს, მხოლოდ ამის მიხედვით, გადაწყდება დადებითად, თუ უარყოფითად პარტიაში მათი უკანვე მიღების საკითხი. ვიმეორებ, ექვსი თვის დიეტამ უნდა გააჯანსაღოს ის ლენინელნი, რომლებიც ტროცკიზმმა დაასნეულა, მხოლოდ მათ ვისაც შერჩენიათ [illegible] ბოლშევიზმში - ლენინიზმში, [illegible] დაელაპარაკონ თავიანთ პარტიას იმ ენაზე, რომელიც ამ პარტიას შეეფერება. ესენი იქნებიან, რასაკვირველია, ყველა თავდადებული პარტიულები, ყველა მუშები. ისინი, ვინც უახლოეს დღეებში ვერ გამონახავენ ამ ენას, აშკარაა ერთხელ და საბოლოოდ მოკვეთილი იქნებიან ჩვენი პარტიისაგან. ვფიქრობ, რომ ეს ოპერაცია უებარი საშუალება იქნება იმ მხრივ, რომ ააცდენს ჩვენს პარტიას იმ გახრწნას, რომელსაც ოპოზიცია აწარმოებდა.

პარტია დაისვენებს და მთლიანად ჩაებმება იმ მუშაობაში. რომელიც დასახულია მე-15 ყრილობის მიერ.

მე ვსთქვი, რომ ეს ხაზი ითვალისწინებს მუშაობას მთელი თაობებისათვის. ჩვენს პარტიას ეძლევა შესაძლებლობა მთელი ძალ-ღონით ჩაებას ამ მუშაობაში და სავსებით გამოიყენოს ის დრო შესვენებისა, რომელიც ჩვენ გამოვგლიჯეთ წინანდელ რეჟიმს და რომელიც უკვე თავდება; ჩვენ საშუალება გვეძლევა ბუნების გარდასაქმნელად წარმოებულ მუშაობაში და ამ მშენებლობასთან ერთად, სამეურნეო და კულტურულ მუშაობის პროცესში ჩვენც გარდავიქმნათ. რასაკვირველია. ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული, თუ რამდენად უკრიზისოთ განვახორციელებთ ჩვენს მშენებლობას, თუ რამდენად უშეცდომოთ შევძლებთ ხელმძღვანელობას, ვინაიდან ყოველი ჩვენი შეცდომა ადგილებზე და ცენტრში გამოყენებული იქნება ჩვენი მტრების მიერ. ამიერიდან ჩვენ ოპოზიციონერებს არ გავარჩევთ დანარჩენ მტრებისაგან, იმ ოპოზიციონერებს, რომელნიც მე-15 ყრილობის შემდეგაც დარჩებიან ქედმოუხრელი „ამაყ ესპანელებათ“, რომელნიც თავიანთ შეხედულებას არ სცვლიან, რომელნიც აღიარებენ, რომ მე-15 ყრილობის დადგენილებები ვერ შეარყევს მათ რწმენას და არაფერს არ ავალებენ მათ.

ქართული ოპოზიცია ტროცკიზმის გზით

ჩვენ აქ, თბილისში, გვაქვს ორი ისეთი დოკუმენტი, რომელიც მოკლედ უნდა დავახასიათოთ იმ მიზნით, რომ მივიღოთ გარკვეული წარმოდგენა იმის შესახებ, თუ სადამდე დაექანა ადგილობრივი ოპოზიცია. გვარები „ძე“-ს და „შვილის“ დაბოლოებით სჭარბობენ ოპოზიციის სიებში. რაზე ჰფიქრობენ ეხლა ისინი? ჩვენ გვაქვს ცნობები იმის შესახებ, რომ მასა ყრილობის შემდეგ და ზინოვიევ - კამენევის ჯგუფის განცხადებების შემდეგ ძალზე დაფიქრიანებულია, მაგრამ „ბელადებმა“ უკვე აიღეს ორიენტაცია ტროცკიზმის იალქანზე. ისინი კამენევს და ზინოვიევს სთვლიან „მოღალატეებად“, ხოლო თავის თავს ტროცკის მომხრეებად და ამით სავსებით ამხელენ თავის თავს.

ოპოზიცია საქართველოში აშკარად მიემხრო ტროცკის, ტროცკიზმი შეუგუებელია ლენინიზმთან და ამიტომ ჩვენ შეგვიძლია მათ მიუღლოცოთ: ისინი, რომელნიც ლენინელთა რიგებში ირიცხებოდენ და თითქოს მისდევდენ ლენინელებს — ზინოვიევსა და კამენევს, ეხლა დგებიან ნიღაბაფარებულ ტროცკიზმის ფრთებ ქვეშ. ეს ხომ შემთხვევითი არ არის. როცა ცოტა ხნის წინად თბილისის მე-4 რაიონის აქტივის კრებაზე თედორე კალანდაძემ დაიძახა: „ტროცკი საუკეთესო ლენინელიაო“. ეხლა ეს თ. კალანდაძე, სხვა ოპოზიციონერებით გარშემორტყმული, ტროცკიზმის ბანაკში გადავიდა. გზაც იქითკენ აქვთ, რაკი იგი შორდება ლენინიზმს, მაგრამ გზას ჩვენი პარტიისაკენ ისინი სამუდამოდ ჰკარგავენ. თავის წერილობით პასუხში ცეკას სახელზე თედორე კალანდაძეს საკმაო ახირებულად უჭირავს თავი. მაგალითად, იგი გაკვირვებულია, როგორ შეიძლება ოპოზიციას ბრალად დაედვას მეორე პარტიის მოწყობის სურვილიო, ვინაიდან „მე, როგორც მარქსისტს და ბოლშევიკს ვერ წარმომიდგენია პოლიტიკური პარტია იმ კლასის გარეშე, რომელზედაც იგი უნდა დაეყრდნოსო“. ვკითხოთ „მარქსისტს და ბოლშევიკს“ თედორე კალანდაძეს, რომელ კლასს ეყრდნობიან ან სცდილობენ დაეყრდნონ ქართველი მენშევიკები?

ისინი უჰაერო სივრცეს ან ელდარისა და დიღომის გაშიშვლებულ ველებს ხომ არ ემყარებოდენ? ისინი ემყარებოდენ რეალურ წვრილ - ბურჟუაზიულ ელემენტებს, პროლეტარიატს (მის ზედაფენას), გლეხობას და ქალაქის წვრილ მოსახლეობას. როცა ჩვენ ვამბობთ, რომ ოპოზიცია დაექანა წვრილბურჟუაზიული ჭაობისაკენ, ეს იმას ნიშნავს, რომ ოპოზიცია გახდა არხი, რომლითაც მიიმართებიან სწორედ წვრილბურჟუაზიული ელემენტები. პოლიტიკაში ეს ნაწილობრივ არის კონტრ - რევოლიუცია, ეკონომიკაში რწმენის უქონლობა სოციალიზმის მშენებლობაში და სურვილი იმისა, რომ დაიმალოს ბურჟუაზიულ ბუჩქებში და თავი დაანებოს იმ დიად საქმეს, რომელიც ოქტომბერში დავიწყეთ. განა ეს ადვილი გასაგები არ არის?

შემდეგ თ. კალანდაძე ფიქრობს, რომ „მოთხოვნილების წაყენება ბოლშევიკისათვის, რომ იგი იდეურად განიარაღდეს, არის უტოპიური, თუნდაც უზენაეს ორგანოს სახელით იყოს წაყენებული ეს მოთხოვნილება“-ო. იგი ალბად ფიქრობს, რომ უტოპიაა, როცა ყრილობა პატარა ჯგუფისაგან მოითხოვს უარის თქმას შეცდომებზე. თურმე უტოპისტი იყო ლენინი და მისი პარტია, როცა მე-10 ყრილობაზე და შემდეგაც გამოქონდა გადაწყვეტილება მუშათა ოპოზიციაზე და სხ. და თვით კალანდაძეც თავის დროზე თითქოს „შეუერთდა“ ამ უტოპისტებს, და განა დიდი ხანია, რაც იგი ტროცკიზმს უყურებდა როგორც წვრილბურჟუაზიულ მიმდინარეობას, როგორც ლენინიზმთან შეუთავსებელ მიმდინარეობას ეხლა იგივე თ. კალანდაძე შესაძლოდ სცნობს თავისი შეხედულებების სწორედ ასეთ უარყოფას იმით, რომ იგი აედევნა ტროცკის, როგორც „ინდივიდუუმს“, მას თურმე აქვს უფლება ასეთი უტოპიებისათვის. და როცა პარტია, თავისი ყრილობის სახით, პარტიის პროგრამისა და ტაქტიკის საფუძვლების ერთად ერთი სრულუფლებიანი განმმარტებელის, ერთად ერთი უფლებამოსილი ბატონ-პატრონის, უზენაესი ორგანოს სახით ამბობს და თავის წევრთა ჯგუფს მიუთითებს ყველა ამ შეცდომებზე, თ. კალანდაძე სდგება ამაყი ესპანელის პოზაში და გაიძახის: „რწმენაო“! ასე ლაპარაკი შეუძლია მხოლოდ გაცოფებულ წვრილბურჟუას, რომელიც ვერ სძლებს პროლეტარულ პარტიაში და რომელსაც არ შეუძლია დარჩეს ლენინურ პარტიაში **(ხმები ადგილებიდან: „მართალია!“)**. რა მოხდებოდა, რომ ყოველი ჩვენთაგანი ყრილობის გადაწყვეტილებას უყურებდეს ისე, რომ თითქოს ყრილობა არ არის უფლებამოსილი გადასწყვიტოს ასეთი საკითხები, თითქოს ყრილობა არ არის უზენაესი ორგანო, თითქოს ყრილობა არ არის ჩვენი პარტიის ყველა პროგრამულ და ტაქტიკურ უთანხმოებათა ერთად-ერთი განმმარტებელი?

მე-15 ყრილობამ ერთხმად შეაფასა ჩვენი ოპოზიციის მოქმედება. მე-15 ყრილობამ განსაზღვრული პირობები შექმნა იმისათვის, რომ ოპოზიციონერებისათვის მიეცა პარტიაში დაბრუნების საშუალება. მე-15 ყრილობამ ოპოზიციონური მიმდინარეობა დაახასიათა როგორც წვრილბურჟუაზიული; ანტი-ლენინური მიმდინარეობა. ამის შემდეგ გამოდის ადამიანი, რომელიც ბოლშევიკ - ლენინელს უწოდებს თავის თავს და ამბობს, რომ ლენინელს არ შეშვენის თავის შეხედულებათა უარყოფა.

მე არ ვამბობ ასეთი შეხედულების გამართლებაზე,—ამაზე ლაპარაკიც შეუძლებელია; მაგრამ გაგებაც სრულებით შეუძლებელია ასეთი „მარქსისტის“ ან „ბოლშევიკის“ ბაგეთაგან, — წარმოთქმულ მსჯელობის მექანიკისა, თუ არ დაუშვით ის, რაც მე ვსთქვი. აქ ჩვენ საქმე გვაქვს ჩვენი პარტიული ორგანიზმის გადაგვარებულ უჯრედთან, გაცოფებულ წვრილბურჟუაზიასთან, რომელსაც არ სურს იცნოს ბოლშევიკური პარტიის ყრილობის სუვერენობა, რომელსაც არ სურს დაემორჩილოს ამ პარტიის გადაწყვეტილებებს და ამიტომ იტოვებს უფლებას დარჩეს ჩვენი რიგების დაშლის ფერმენტად.

ასეთივე შინაარსისაა ის განცხადება, რომელიც მიშა ოკუჯავამ გააკეთა ამიერ - კავკასიის საკონტროლო კომისიაში, განცხადება, რომელიც მან გააკეთა ყრილობის მიერ ოპოზიციის შესახებ გამოტანილი გადაწყვეტილების გამო.

გაუსწორებელ ოპოზიციონერებს არ დავინდობთ

ამხანაგებო, მე უკვე ვსთქვი, რომ ისინი, როგორც გამოირკვა, ტროცკის გავლენის ქვეშ იმყოფებიან და ფიქრობენ იმასვე, რაც ტროცკისტულმა ოპოზიციამ გადასწყვიტა მოსკოვში, რომელმაც, როგორც თქვენ იცით, ამის შესახებ ყრილობაზე განაცხადა სმილგას სახით. უნდა ითქვას, რომ ჩვენ იმიტომ კი არ გავმართეთ ასეთი გაცხოველებული კამათი, იმიტომ კი არ დაუშვით ასეთი დისკუსია იმიტომ კი არ გადავიტანეთ საკითხები ყრილობაზე, რომ აქ დარჩეს რაიმე გაუგებარი, გაურკვეველი, საეჭვო, რომ „მაგარ“ ოპოზიციონერებს, როგორც, მაგალითად, ამ განცხადების ავტორია, შეეძლოთ იფიქრონ იმაზე, რომ ჩვენი დამოკიდებულება ამა თუ იმ პირობებში, ამა თუ იმ დროს შეიძლება იყოს ორგვარი, რომ შეგვიძლია ჩვენი დამოკიდებულების შერბილება ჩვენი მთლიანობისა და ამით საბჭოთა ხელისუფლების დამრღვეველთა მიმართ, ან, დავიწყებას მივსცეთ ეს გადაწყვეტილება. აქ უნდა ვსთქვათ ის, რაც ითქვა ყრილობაზე: — ამიერიდან ჩვენ უნდა ვიცოდეთ, რომ როცა ოპოზიციონერები გამოდიან პარტიის წინააღმდეგ, ისინი სოლიდარობას უცხადებენ, შეხმატკბილებული არიან მთელ იმ ბანაკთან, რომელსაც ეწოდება კონტრ - რევოლიუციონერთა ბანაკი. ამიერიდან ჩვენი დამოკიდებულება ამგვარი მტრებისადმი, ჩვენი ახალი მტრებისადმი, რამდენადაც ისინი იარაღს არ ჰყრიან, იქნება ისეთივე, როგორიც უნდა იყოს მოპირდაპირეთა ბანაკის ყველა მტრებისადმი. ამიერიდან ჩვენ ვიბრძვით არა პარტიული დისკუსიის მეთოდებით და დაჭერების საშუალებით, — ეს ჩვენ უკვე გამოვსცადეთ, და გამოვსცადეთ ზომაზე მეტად, ამიერიდან ისინი იქნებიან პროლეტარული დიქტატურის იმ ორგანოების მხედველობის არეში, რომელნიც გვაქვს ჩვენი აშკარა და ფარული მტრების წინააღმდეგ. **(ტაში)**.

ამიტომ თავი დაანებონ თვალთმაქცურ, არსებითად და ფორმით თვალთმაქცურ ბრალდებას პარტიის წინააღმდეგ იმის გამო, რომ მან მიმართა რეპრესიებს, თავი დაანებოენ დაშინებას საერთაშორისო გართულებით, — აქ საქართველოში, როგორც ამას სჩადის კალანდაძე. ჩვენ ამით ვერც გაგვაკვირვებენ და ვერც შეგვაშინებენ. ამით ჩვენ ვერ გაგვაკვირვეს მენშევიკებმაც, რომელნიც მთელი რიგი წლების განმავლობაში ლაპარაკობენ ჩვენს ჩეკაზე, ჩვენი ტერორის რეჟიმზე ჩვენი მოწინააღმდეგეების მიმართ. ამას ჩვენს დამსახურებად ვსთვლით, ეს არის ჩვენი პრინციპი და ჩვენი პოლიტიკა, ჩვენი საყრდენი, — პროლეტარული რევოლიუციის მოწინააღმდეგეთა განადგურება, იმათი განადგურება, რომელთაც 7 ნოემბერს მოსკოვის მოედანზე სურდათ ხელი შეეშალათ ჩვენი პარტიის მთლიანობისათვის, და იმათ, ვინც განიზრახავს ამის განმეორებას, სადაც არ უნდა იყოს, პროლეტარული დიქტატურის ტერიტორიაზე. ამიტომ, ვისაც ამიერიდან სურს ჩასთვალოს თავი „ამაყ ესპანელად“, მან არ უნდა დაიწყოს დრტვინვა იმის გამო, რომ თუ იგი თავის „მტკიცე რწმენას“ გამოაშკარავებს საქმით, იგი „ამაყად“ გაიგზავნება იქ, სადაც ამხ. ბერიამ არა ერთი ათეული გაგზავნა. **(ხანგრძლივი ტაში)**.

---

*) დასასრული იხ. „კომუნისტი“ № 6.

პარტიული ცხოვრება

ღარიბთა კრებების დღის წესრიგი

ღარიბ გლეხკაცობის კრებების აქტიურათ ჩატარებისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს არა მარტო ამ კრებების მოწვევის ორგანიზაციას, არამედ მათ დღის წესრიგსაც. საკითხები, რომელნიც ირჩევა ღარიბთა კრებებზე უნდა აინტერესებდეს ღატაკ გლეხკაცობას.

დაკვირვებიდან ვიცით, რომ ღარიბთა კრებებზე ისმება შემდეგი საკითხები: გზების გაყვანა, გლეხკომის მდგომარეობა, სას.-სამ. მანქანების შეძენა, ღარიბთა კრედიტით დაკმაყოფილება, ღარიბთა შეღავათები სას.-სამ. გადასახადის განაწილებაში, ღატაკ გლეხებისათვის ტყის მასალის მიცემა, ღარიბთა არტელების მოწყობა და სხვა. ასეთია მაგალითად თბილისის მაზრის ზოგიერთ თემკომების მუშაობის პრაქტიკა.

ეს კითხვები იმდენათ ცხოველმყოფელი და საჭირბოროტოა ღარიბ გლეხკაცობისათვის, რომ თავისთავად ცხადია, ისინი დიდ ინტერესს იწვევენ გლეხობის ამ ფენას შორის. კრებებს ღარიბი გლეხკაცობა საკმაო რაოდენობით ესწრება და საკითხების გარჩევაშიც აქტიურ მონაწილეობას ღებულობს. მაგრამ კიდევ უფრო აღსანიშნავია ის გარემოება, რომ საშუალო გლეხკაცობაც უაღრესათ დაინტერესებულია ამ საკითხებით. ამიტომაა, რომ ბევრ ადგილებში საშუალო შეძლების გლეხები დიდი ხალისით მიდიან ღარიბთა კრებებზე და განსაკუთრებულ აქტივობას იჩენენ საკითხების განხილვაში. ასეთ შემთხვევებს ადგილი აქვს მანგლისის თემში.

ზემოთნათქვამიდან ცხადია, რომ პარტორგანიზაციებმა უკვე მოსძებნეს ღარიბთა შორის სამუშაო რეალური ნიადაგი, უკვე შეუდგენ პრაქტიკულ და ნაყოფიერ მუშაობას ამ მხრივ. მართალია ჯერ კიდევ გასაკეთებელი ბევრია, არსებული მუშაობა ჩვენ ვერ დაგვაკმაყოფილებს, მაგრამ ერთი რამ ცხადია; ეს ის, რომ პარტორგანიზაციები საერთო დაპირებებიდან და მშრალ სააგიტაციო საპროპაგანდო ლაპარაკიდან ღარიბ გლეხობის სასარგებლოთ, გადავიდენ ამ გლეხთა ეკონომიურ და პოლიტიკურ ორგანიზაციის პრაქტიკულ საფუძველზე.

საჭიროა ამ მუშაობის კიდევ უფრო გაღრმავება, საჭიროა ორგანიზაციებმა მეტი კონტაქტი იქონიონ ერთმანეთში ღარიბთა შორის მუშაობის დროს. მეხუთმეტე ყრილობამ მთელი რიგი მითითებები მოგვცა ღარიბთა შორის სამუშაოთ. ადგილობრივ ორგანიზაციებმა კარგათ უნდა დაამუშაონ ყრილობის დადგენილებები და ღარიბთა შორის შემდგომი მუშაობა წარმართონ ამ მიმართულებით.

ვ. ც—ძე.

კომკავშირში

ლენრაიონის მე-11 კონფერენცია

კონფერენციის დახურვა

კვირას, 8 იანვარს, დილის სხდომაზე კონფერენციამ მოისმინა ამხ. ლომიას მოხსენება სამანდატო კომისიის მუშაობის შესახებ. როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, კონფერენციას გადამწყვეტი ხმის უფლებით დაესწრო 276 კაცი, სათათბირო ხმით—59.

მათ შორის მუშებია—255, ე. ი. 73,9 პროც., სამანდატო კომისიის მუშაობის დამტკიცების შემდეგ კონფერენციამ მიიღო კომისიის მიერ წარმოდგენილი რეზოლიუციები ცალკე დარგებში.

დასასრულ კონფერენციამ აირჩია ახალი რაიკომის შემადგენლობა და დელეგატები თბილისის საქალაქო სამაზრო კონფერენციაზე. ახალ რაიკომის წევრებად არჩეულნი არიან შემდეგი ამხანაგები:

აბაშიძე როსტომ; ალექსანდროვი; ადამეცკო, ალიბეგაშვილი; ბუტკოვსკი; ბარათაშვილი, ბაქრაძე; ბაჩიკაშვილი; ბესჩასტნი; ბახუა, გობეჩია; გურგენიძე; გუდავაძე; გურგენიძე ანდრო; გოთრგობიანი; მოჩიაშვილი; დერევიანკო ანა, გონტარენკო; გაზუნი; დავითაშვილი; ზეინალოვი; ივანოვი; ინასარიძე; ისმაილოვი; კარპოვი; ფანცხავა; კუჭიაშვილი; კალანდაძე; კუკაბიძე; ქიტიაშვილი; კოჭლაშვილი; კობახიძე; ლოთქიფანიძე; ლეკვეიშვილი; მრევლიშვილი; მინასაშვილი; ზრიკატენკო; მოსესოვი, მგელაძე, მესხიძე; მღებრიშვილი; არენიოვი; ნოვოსარდოვი; ნესტეროვი; ოგანეზოვი; ოთაროვი; პერეუშინ; ფანცულაია; პოპოვი; კოვალენკოვი; რთველიაშვილი; ხილაძე; ხურმავა; სამონინი; სიკინჭალაშვილი; ხანაკოევი; სხირტლაძე; ხიმენოვი; სკლიფოს; თათანაშვილი; ტერტეროვი; ხომასურიძე; ხინჩაგაშვილი; ცარახოვი; წამალაშვილი; ელიზბარაშვილი; ფირსაკოვა, ურიგაშვილი; ჭოხონელიძე; შვეცოვი, იანკოვსკი.

ამხ. პერეუშინის საბოლოო სიტყვის შემდეგ კონფერენცია დაიხურა.

ვ. დ.

არსრაიონის მე-11 კონფერენცია

მეოთხე სხდომა

დილის სხდომაზე კონფერენციამ მოისმინა ამხ. იმხანოვის მოხსენება რ. კ. მუშაობის შესახებ. საანგარიშო პერიოდში შინა საუჯრედო მუშაობა გამოცოცხლდა, გატარდა მუშაობის ახალი ფორმები და მეთოდები.

ქვედა საუჯრედო აქტივის წამოწევას განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა. ხშირად ვიწვევდით სხვადასხვა სახის თათბირებს, სემინარებს და ასე შემდეგ.

სემინარულ მუშაობამ მთლიანად გაამართლა თავისი დანიშნულება.

შემდეგ მომხსენებელი გადადის საზოგადოებრივ პოლიტიკურ მუშაობაზე, და ამბობს, რომ კომკავშირი ამ მიმართულებით აქტიურ მუშაობას აწარმოებს.

მაგალითად რაიონიდან ქალაქის საბჭოში გაყვანილია 204 კაცი, ამათში კომკავშირელებია 28—ე. ი. 13,2 პროც. სახალხო მსაჯულათ 30 კაცი. აღსანიშნავია, რომ გარდა სამი ოთხი უჯრედისა, უჯრედები თავიანთ გაერთიანებულ კრებებზე არ ისმენენ საბჭოს წევრ კომკავშირელის ანგარიშს, რაც არანორმალურ მოვლენად უნდა ჩაითვალოს. რაც შეეხება კოოპერაციაში მუშაობას, აქ ასეთი სურათი გვაქვს. სულ კოოპერატივის წევრებია 589 კაცი. რწმუნებულება 10 კაცი.

დასასრულ მომხსენებელი გადადის ორგანიზაციის ზრდის საკითხებზე და ამბობს, რომ საანგ. პერიოდში რაიონული ორგანიზაცია გაიზარდა 611 კაცით. მიღებულთა შორის 70,8 პროც. მუშებია.

ორგანიზაციაში ამჟამად ირიცხება 2.620 კაცი და 155 კანდიდატი. მუშების საერთო რიცხვი უდრის სულ 58 პროცენტს.

ამხ. იმხანოვის მოხსენების შემდეგ კონფერენციამ მოისმინა პიონერთა რაიბიუროს თანამოხსენება და სარევიზიო კომისიის მოხსენება.

ამით დაიხურა დილის სხდომა.

მეხუთე სხდომა

8 იანვარს საღამოს სხდომაზე გაიხსნა კამათი რაიკომის, პიონერთა რაიბიუროს და სარევიზიო კომისიის მოხსენებათა გარშემო. კამათში ჩაეწერა 58-მდე ორატორი. ილაპარაკეს: ამხ. არუთინოვმა; ოვანესოვმა; აგამხუდოვამ; გრიგორიანმა; კაპნინმ; კაზაროვმა; ჩალაძემ; აჯიბეგაშვილმა; კარატკოვმა; სლეპაროვმა; ქადაგიშვილმა და სხვებმა.

მოკამათენი აღნიშნავდენ, რომ უფასო ინსტრუქტორთა სისტემა ჩვენს რაიონში ყოველთვის ვერ ამართლებს თავის დანიშნულებას. ამასთანავე ერთიანი პოლიტ-განათლების შესახებ ორატორები აღნიშნავდენ, რომ ხელმძღვანელთა თვისობრივი შემადგენლობა სათანადოთ ვერ არის შერჩეული.

ზოგიერთი პიონერთა კოლექტივებში შიდა აღმზრდელობითი მუშაობა მოისუსტებს. საჭიროა პიონერ ბიურომ მეტი ცოცხალი ხელმძღვანელობა გაუწიოს კოლექტივებს.

კამათი რაიკომის მოხსენების გარშემო გადაიდო შემდეგი სხდომისათვის.

მეექვსე სხდომა

გუშინ საღამოს სხდომაზე გრძელდებოდა კამათი რაიონული კომიტეტის, ნორჩ პიონერთა ბიუროს და სარევიზიო კომისიის მოხსენებათა გარშემო.

კამათში გამოვიდენ შემდეგი ამხანაგები: კ:მალოვი; საგარეიშვილი; ივანესიანი; შუვაჩი, ვასილიევი; ზაბლინი; კრესელიძე; დავიდოვი და სხვები. ორატორები უმთავრესად აღნიშნავდენ იმ გარემოებას, რომ პოლიტ-სკოლებში მსმენელთა დასწრება სუსტია და ამისათვის მეცადინეობა ნორმალურად ვერ მიმდინარეობს და მიუთითებდენ რაიონულ კომიტეტს, რომ საჭიროა სათანადო ზომების მიღება. ნაწილი ამხანაგებისა აღნიშნავდა, რომ კომკავშირის მონაწილეობა კოოპერაციაში სუსტია და მომავალში საჭიროა ამ მიმართულებით მუშაობის გაღრმავება.

ამასთანავე უნდა გაფართოვდეს ახალი ფორმებით და მეთოდებით მუშაობა, რასაც ზოგიერთ უჯრედებში არა აქვს ადგილი.

კამათის დამთავრების შემდეგ კონფერენციამ მოისმინა ამხ. იმხანოვის საბოლოო სიტყვა, რითაც დაიხურა საღამოს სხდომა.

მესამე რაიონის მე-15 კონფერენცია

კონფერენციის გახსნა

გუშინ საღამოს გაიხსნა ს.ა.ლ.კ.კ. მესამე რაიონის მე-15 კონფერენცია. მოკლე შესავალი სიტყვით კონფერენციას ხსნის მესამე რაიკომის მდივანი ამხ. ხაჩიკიანი. ამის შემდეგ კონფერენციამ აირჩია საქმიანი პრეზიდიუმი შემდეგი შემადგენლობით: ამხ. რახმანოვი; გობეჩია; ხილაძე; ნესტეროვი; ხაჩიკიანი; ბაზიანი; კირიაკოვი; ტერ-ვართანოვი; ადამიანი; ტაბიძე; ზარგარიანი და სხ.

სამდივნოსა და სამანდ. კომს. არჩევის შემდეგ კონფერენც. ერთხმად აირჩია საპატიო პრეზიდ.: ამხ. სტალინი; ბუხარინი; ვოროშილოვი, რიკოვი, რუძუტაკი, კალინინი, ორჯონიკიძე; ორახელაშვილი; ცხაკაია; კლარა ცეტკინი; მოლოტოვი და ჩაპლინი. შემდეგ კონფერენციას ესალმება ს.კ.პ. (ბ) მესამე რაიკომის სახელით ამხ. ტერ-ვართანოვი. თბილისის კომიტეტიდან—ამხ. ხილაძე; წითელ არმიიდან და სხვა ორგანიზაციებიდან მისასალმებელ სიტყვების მოსმენის შემდეგ კონფერენციამ დაამტკიცა დღის წესრიგი და რეგლამენტი.

კონფერენციამ მისასალმებელი დეპეშები გაუგზავნა საქართველოს კომკავშირის ცეკას, თბილისის კომიტეტს და ამასთანავე გაგზავნა მეორე რაიონში კონფერენციაზე მისასალმებლად დელეგაცია. დასასრულ კონფერენციამ მოისმინა ამხ. ნესტეროვის ვრცელი მოხსენება ს.ა.ლ.კ.კ. ცეკას მუშაობის შესახებ

ახალციხის სამაზრო კონფერენცია

ახალციხე, 8 იანვარი. გაიხსნა საქართველოს კომკავშირის ახალციხის სამაზრო მეათე კონფერენცია. კონფერენციას დაესწრო—100 დელეგატი.

კონფერენციის საპატიო პრეზიდიუმში აირჩიეს: ამხ. სტალინი; ბუხარინი; კალინინი; რიკოვი; ორჯონიკიძე; ვოროშილოვი; მიქოიანი; კრუპსკაია; ჩაპლინი; ალამალი-ოღლი; მამია ორახელაშვილი; კახიანი; ქართველიშვილი, რახმანოვი; გობეჩია; გუმედინი და ლევანდოვსკი.

კონფერენციამ მოისმინა მისალმებები სხვადასხვა ორგანიზაციებიდან.

კონფერენციის მეორე და მესამე სხდომაზე მოსმენილ იქნა საქართველოს ახალგაზრ. ლენინურ კომკავშირის ცეკას მოხსენება კამათში გამოსულმა ორატორებმა აღნიშნეს ცეკას მხრივ ხელმძღვანელობის გაუმჯობესება, რამაც გამოიწვია პოლიტმუშაობის გაძლიერება ორგანიზაციებს შორის და აგრეთვე კომკავშირის წევრთა აქტივობა და შეგნების ზრდა. კამათში მონაწილეობა მიიღო 33 ამხანაგმა. ცეკას ანგარიშის გამო ერთხმად მიღებული რეზოლიუცია სავსებით და მთლიანად იწონებს ცეკას პოლიტიკას და საორგანიზაციო ხაზს. და მის მუშაობს სცნობს სავსებით დამაკმაყოფილებლად.

შემდეგ მოსმენილ იქნა სამაზრო კომიტეტის მოხსენება, რომლიდანაც გამოირკვა, რომ უკანასკნელ წელში კომკავშირში მიღებულ იქნა 263 კაცი, მათ შორის 44 ქალიშვილი—44 მოჯამაგირე—33, ღარიბი გლეხი—147, საშუალო გლეხი—39, შინამრეწველი-ხელოსანი—6, მუშა—29; მოსამსახურე—2 და სხვანი—7. საანგარიშო პერიოდში მოხდა აქტივის მნიშვნელოვანი ზრდა და გაიზარდა კომკავშირელთა მონაწილეობა საბჭოების მუშაობაში; საბჭოებში ამჟამად მუშაობს 164 კაცი (შარშან მუშაობდა მხოლოდ 60 კაცი).

სამაზრო კომიტეტის ანგარიშის გარშემო გამართულ კამათში გამოვიდა 40 კაცი. (ადგ.).

ამხ. შიო შარმაზანაშვილის ხსოვნას

ამ დღეებში ცივ სამარეს მივაბარეთ საუკეთესო ამხ. შ. შარმაზანაშვილი. ვინ იყო შ. შარმაზანაშვილი? ის იყო გლეხის შვილი, სოფელ ალავერდიდან (თელავის მაზრა) და ეწეოდა სოფლის მეურნეობას. 1921 წ. ამხ. შარმაზანაშვილი დადგა ორთქმავალთა საწყობში ზეინკლის თანაშემწეთ. ეს ის დრო იყო, როცა თითქმის მაღალ კვალიფიკაციის მუშებიც კი გარბოდენ ქალაქიდან სოფლად, რადგან მენშევიკებისაგან გაძარცულ ქალაქებში არ მოიპოვებოდა სრულებით არავითარი სანოვაგე. ტრანსპორტი და ხიდებიც დანგრეული იყო მენშევიკების მიერ, რაც უფრო ართულებდა ქალაქებისათვის სანოვაგის მიწოდებას.

შიო მალე ითვისებს ხელობას. მას აწინაურებენ, გადაჰყავთ ზეინკლად. ამხ. შიო მარტოკა ამით არ კმაყოფილდება, ის ებმის პარტიულ მუშაობაშიაც, ამ მიზნით შედის პარტუჯრედში სადაც მას დიდის სიხარულით და პატივისცემით ღებულობენ.

განისვენე ამხ. შიო და გქონდეს სრული იმედი, რომ შენ საყვარელ საქმეს სავსებით დააბოლოვებენ შენივე საყვარელი მუშა - ამხანაგები.

თბილისის საწყობის ბიურო პარტკოლექტივი.

საქართ. კოლექტიურ მეურნეობათა პირველი ყრილობა

კვირას, 8 იანვარს პროფსაბჭოს დიდ დარბაზში გაიხსნა საქართველოს კოლექტიურ მეურნეობათა პირველი ყრილობა. ყრილობის მიერ დამტკიცებულ დღის წესრიგში შედის შემდეგი მოხსენებები:

1) კოლექტიურ მეურნეობის განვითარებისათვის, მომხსენებელი ამხ. ფილიპე მახარაძე, 2) კოლმეურნეობათა მდგომარეობა და ამოცანები საქართველოში, მომხ. ვლ. ცაგარელი, 3) სრულიად საკავშირო კოლმეურნეობათა საბჭოს მოხსენება, მომხ. ბიცენკოს ქალი, 4) კოლმეურნეობათა სესხით დაკმაყოფილება, მომხ. ამხ. კალატოზოვი, 5) კოლმეურნეობათა სექციის დებულების და მუშაობის გეგმის დამტკიცება, 6) დელეგატების არჩევა საკავშირო ყრილობაზე და მმართველი ორგანოს არჩევა.

მუშაობის დაწყებამდე საკავშირო კოლმეურნეობათა საბჭოს სახელით ყრილობას მიესალმა ამხ. ბიცენკოს ქალი, რომელმაც მოკლედ დაახასიათა კოლმეურნეობის განვითარების გზები საბჭოთა რესპუბლიკებში და მისი პერსპექტივები.

ამხ. ფ. მახარაძის მოხსენება

ამხ. ფილიპე მახარაძე, რომელიც ყრილობას ესალმება საქ. კომპარტიის ცეკასა და მთავრობის სახელით, აღნიშნავს, რომ კოლექტიურ მეურნეობის განვითარების საქმე საქართველოში უკანასკნელ დრომდე მივიწყებული იყო, ამით აიხსნება ის გარემოება, რომ დღემდე დაგვიანდა ყრილობის მოწვევა; მხოლოდ მას შემდეგ, რაც ჩვენში ფეხი მოიკიდა და განმტკიცდა სამომხმარებლო და სას. - სამეურნეო კოოპერაცია, პრაქტიკულად დაისვა კოლექტიური მეურნეობის მოწესრიგების საკითხი.

ამიერიდან კოლექტიური მეურნეობის განვითარება მჭიდროდ უკავშირდება სასოფლო-კოოპერაციის განვითარებას, რაც აიხსნება სასოფლო - სამეურნეო კოოპერაციის ბუნებრივი ზრდით. კოლექტიური მეურნეობანი უშუალოდ უნდა შეერდენ სასოფლო - სამეურნეო კოოპერაციის ქსელში, რაც გააუმჯობესებს მათ მდგომარეობას და ჩამოაყალიბებს მათ მუშაობას. მან შემდეგ, რაც ქალაქის მრეწველობას მკვიდრი საფუძველი ჩაეყარა, სოციალიზმის მშენებლობას ქალაქში გარკვეული ხასიათი მიეცა, მორიგ საკითხად დაისვა სოციალისტური მშენებლობის გაძლიერება სოფლად. წინასწარ პირობას სოციალისტურ მეურნეობის განსავითარებლად სოფელში წარმოადგენს იმ წვრილ დაქუცმაცებულ მეურნეობათა გაერთიანება, რომელიც ამჟამად ელობება და აბრკოლებს სოფლის მეურნეობის ეკონომიურ წინსვლას. მეცნიერულად დამტკიცებულია, რომ წვრილ მეურნეობას გლეხისათვის ზარალის მეტი არაფერი არ მოაქვს. გლეხი თავს ვერ დააღწევს ტრადიციულ ჭაპან - წყვეტას, თუ იგი მეურნეობის წარმოების სხვა ფორმებზე არ გადავიდა. ერთად-ერთი გზა გლეხური მეურნეობის წინსვლისათვის, — ეს არის გლეხურ—მეურნეობათა შეკავშირება წარმოების ნიადაგზე. სამეურნეო კოოპერაციამ დიდი ნაბიჯი გადადგა წინ. მან სასოფლო - სამეურნეო იარაღების მომარაგებისა და სასოფლო მეურნეობის პროდუქტების გასაღების გარშემო დარაზმა და შეაკავშირა გლეხობის დიდი ნაწილი. ამიერიდან მის მორიგ ამოცანას შეადგენს კოოპერატიულად შეაკავშიროს გლეხობა წარმოების ნიადაგზედაც. დღემდე საქართველოში არსებობდენ კოლექტიურ მეურნეობის სხვადასხვა ფორმები: კომუნები, არტელები, ამხანაგობანი და სხვ. მაგრამ ისინი მუშაობდენ დამოუკიდებლად, რომელიმე ორგანიზაციის ხელმძღვანელობის გარეშე. კოლექტიური მეურნეობანი მიტოვებულ იყვნენ თავის ანაბარა. მათ მუშაობაში არ ყოფილა არავითარი სისტემა და გეგმიანობა. ამიერიდან ეს არანორმალური მოვლენა უნდა აღიკვეთოს და კოლექტიურ მეურნეობათა განვითარებას უნდა გაეწიოს გეგმიანი ხელმძღვანელობა. ეს საქმე უნდა იკისროს სასოფლო - სამეურნეო კოოპერაციამ. საკავშირო მთავრობისაგან გასულ წელს უკვე გამოცემული იყო დადგენილება, სადაც გარკვევით ნაჩვენები იყო გზა, რომელსაც უნდა დაადგეს კოლექტიური მეურნეობა. სამწუხაროდ ამ დადგენილებით ნაკარნახევი ღონისძიებები არ იქნა გატარებული. უკანასკნელად პარტიის მე-15 ყრილობამ განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია კოლექტიურ მეურნეობის განვითარების საკითხს და დაგვისახა ამოცანები, რომელიც ამ უახლოეს ხანებში უნდა გადავსჭრათ.

მაგრამ წინასწარ, ვიდრე ამ ამოცანების პრაქტიკულ გადაწყვეტის საკითხს განვიხილავდეთ, საჭიროა გავითვალისწინოთ, თუ რა მდგომარეობაში იმყოფებიან ამჟამად კოლექტიური მეურნეობანი კავშირში და კერძოთ ჩვენში, როგორია მათი მიღწევები და ნაკლოვანებანი. ამჟამად საბჭოთა კავშირში აღრიცხულია 20.464 სხვადასხვა სახის კოლექტიური მეურნეობა, ამ მეურნეობათა სათესი მიდნის სივრცე უდრის 1.527.000 დესეტინას, მჭამელთა რიცხვი 1.167.000. ეს ციფრები მოწმობენ, რომ კოლექტიურ მეურნეობათა ხვედრითი წონა საერთო მეურნეობაში არც ისე უმნიშვნელოა. რა ადგილი უჭირავთ კოლექტიურ მეურნეობაში კომუნებს, არტელებს, ამხანაგობებს და სხვა? რა ცვლილებები განიცადეს მათ დღიდან დაარსებისა? თუ 1921 წელს კომუნების რიცხვი საერთო კოლექტიურ მეურნეობაში შეადგენდა 20 პროცენტს, 1927 წელს იგი უკვე 8,5 პროცენტამდე შემცირდა. არტელები 21 წელში შეადგენდენ 63 პროცენტს, 1927 წელს 50 პროც-ს, ამხანაგობები 1921 წელს 17 პროც-ს, ხოლო 1927 წელს 40 პროც-ს. კომუნების ასეთი შემცირება კოლმეურნეობის სხვა ფორმებთან შედარებით აიხსნება იმ გარემოებით, რომ პირველ წლებში კომუნებში შედიოდენ ქალაქიდან წასული მუშები, მაგრამ რავა ქალაქის მრეწველობა მოღონიერდა, მუშები ქალაქს დაუბრუნდენ და კომუნები შეივსო გლეხებით, რომლებისთვის კომუნები მეტად რთულ ფორმას წარმოადგენს და ადვილად ვერ ეგუებიან. იგივე ციფრები მოწმობენ, რომ გლეხობისათვის უფრო შესაფერი და ხელსაყრელი გამოდგა დღევანდელ პირობებში სასოფლო - სამეურნეო არტელები, ამხანაგობები, რომელთა შემოსავლიანობა და ნივთიერი მდგომარეობა წლიდან - წლამდე იზრდება. ეს მაგალითი აშკარად ხდის იმას, რომ გლეხობის კოოპერატიული შეკავშირება უნდა დაიწყოს კოოპერაციის ყველაზე უმარტივესი ფორმით, როგორიც არის სამიწადმოქმედო ამხანაგობები, სამანქანო ამხანაგობები და სხვა. კოოპერაციის ეს ფორმები გლეხისათვის უფრო მისაწვდომი და მისაღებია. ამავე მოვლენას ჰქონდა ადგილი საქართველოში. გასაბჭოების პირველ წლებში კომუნები ჩვენში სოკოსავით მრავლდებოდენ, მაგრამ მალე ქრებოდენ, რადგან მათი მოწყობის მიზანი იყო არა მეურნეობის გაუმჯობესება, არამედ რომელიმე მამულის ავლა - დიდების ხელში ჩაგდება. როგორც კი ამ მიზანს განახორციელებდენ, კომუნები მალე იშლებოდენ. დღეს ასეთი ფაქტიური მდგომარეობაა: კომუნების რიცხვი მთელს საქართველოში უდრის 7-ს, არტელების 80-ს, მიწის დამმუშავებელი ამხანაგობების 70-ს, სამანქანო ამხანაგობების 40. ამგვარად კოლექტიურ გაერთიანებათა რიცხვი მთელს საქართველოში უდრის 184-ს. როგორია ამჟამად კოლექტიური გაერთიანებათა მდგომარეობა, მათი საქმიანობა და ღირსებანი? დღიდან დაარსებისა გადადგეს მათ ნაბიჯი წინ ორგანიზაციულად, წარმოების გაფართოებით, წევრების რაოდენობის გადიდებით და სხვა? კერძოთ, კომუნებზე შეიძლება ითქვას, რომ მათ წინსვლა არ ეტყობათ, პირიქით, წევრების რიცხვი კლებულობს, არ უმჯობესდება არც მათი საქმიანობა, არც მათ რაციონალურ გონივრულ ხელმძღვანელობას ეტყობა წინსვლა. ჩვეულებრივ კომუნის დაარსება ხდება დიდი აღფრთოვანებით, დიდი ენთუზიაზმით და იმედებით, მაგრამ მარტო აღფრთოვანებით საქმე არ კეთდება, აქ არის ცოდნა და მომზადება საჭირო, რასაც კომუნები მოკლებული არიან. არავითარი კავშირი, არავითარი ხელმძღვანელობა, კომუნის მუშაობისათვის ჩვენს ცენტრალურ ორგანოებს არ გაუწევიათ. რა ხდებოდა კომუნებში ამ სამი-ოთხი წლის განმავლობაში, — ჩვენთვის სრულიად უცნობი იყო. მხოლოდ ამ უკანასკნელად რამოდენიმე კომისიამ და, მათ შორის, მ. გ. ინსპექციამ გამოიკვლია მათი მდგომარეობა და აღმოაჩინა მრავალი უარყოფითი მოვლენები. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ამ ნაკლოვანების აღმოჩენის შემდეგ კომუნების მდგომარეობა გაჯანსაღდებოდა, ამის შესახებ იყო ბევრი ლაპარაკი, დაიწერა ბევრი წერილები, მაგრამ საქმე მაინც ვერ წავიდა წინ. რომ ეს ასეა ამას ადასტურებს ორი კომუნის — სამთავისის და ზემო - ქედის კომუნების მაგალითი. ამ კომუნების საქმიანობამ ვერ მოგვცა დამაკმაყოფილებელი შედეგები. ეს კომუნები თავის საქმის ორგანიზაციას თავიდანვე დიდი აღფრთოვანებით შეუდგენ, მაგრამ საქმეს იმთავითვე აკლდა სწორი ლენინური მიდგომა. პირველი შეცდომა ის იყო, რომ გლეხებმა დაანგრიეს თავიანთი კერა,— სახლკარი და თავისი საერთო საცხოვრებელი შენობის აგებას შეუდგენ, რასაც დასჭირდა დიდძალი თანხები და მთავრობის განსაკუთრებული დახმარება. შენობის დამთავრებამდე რამოდენიმე ათეულ ოჯახს უხდებოდათ ორ-სამ ოთახში ერთად ცხოვრება. გარდა იმისა, რომ ეს ქმნიდა ანტი - სანიტარულ მდგომარეობას, ცხადია, იწვევდა სხვა არასასურველ მოვლენებსაც. სამთავისის კომუნა საერთო საცხოვრებელი შენობის აგებითაც არა დაკმაყოფილდა და ის თანხები, რომელიც მთავრობიდან გაღებული იყო მისი მეურნეობის გასაუმჯობესებლად, კომუნამ მოახმარა კლუბის შენობის აგებას. კომუნამ ააგო წისქვილი თავის შემოსავლიანობის გასადიდებლად, რომელსაც დღეს ზარალის მეტი არაფერი მოაქვს, შეიძინა ტრაქტორი გლეხებში გასაქირავებლად და გაწია მრავალი უმიზნო ხარჯები იმ თანხებით, რომელიც მას მთავრობიდან თავის მეურნეობის გასაუმჯობესებლად მიეცა. კომუნამ მოინდომა ერთი ოჯახის შექმნა, გადავიდა საერთო სასადილოზე, საერთო სამზარეულოზე, მაგრამ ყველაფერი ეს მალე მოისპო, რადგან წევრთა შორის საამისო ნიადაგი მომზადებული არ იყო. კომუნის მუშაობას თავიდან აკლდა გეგმიანობა მაშინ, როცა გეგმა ყოველ გლეხურ მეურნეობას აქვს. კომუნის საბჭო საჭიროდ არ სთვლიდა გაეცნო საქმის მდგომარეობა კომუნის წევრებისთვის, რომლებმაც არაფერი არ იციან, თუ რა ხდება კომუნაში. კომუნა ანგარიშს არ აწარმოებდა და თავის წევრებს არ უდგენდა არც წერილობით არც ზეპირ ანგარიშებს. თვით შრომის განაწილება კომუნაში თანაბარი არ ყოფილა, ზოგი ზედმეტად არის დატვირთული, ზოგი მუშაობიდან თავისუფალია. მმართველობაში არ არსებობს კოლეგიალობა და არც საერთო ქონების მოვლა-პატრონობა არის მოგვარებული. დაახლოვებით ასეთი სურათია ზემო - ქედის კომუნაში, სადაც ზემოჩამოთვლილ ნაკლოვანებებს ემატება ის, რომ იქ გატარებული არ არის ნებაყოფლობითი წევრობა. კომუნაში შეყვანილი არიან შეძლებული გლეხები, რომლებიც ეხლა უკვე სცდილობენ თავი დააღწიონ კომუნას, მაგრამ კომუნის საბჭოს დადგენილება იმის შესახებ, რომ ყოველმა გასულმა წევრმა უნდა დასტოვოს თავისი ქონება, მათ წასვლის საშუალებას უსპობს. წევრების დასამორჩილებლად საბჭოს შემოღებული აქვს სხვა რეპრესიული ღონისძიებები: დაპატიმრება და სხვა ასეთი ძალდატანებით ყოვლად შეუძლებელია კომუნის შექმნა. კომუნას არა თუ გამოადგება, არამედ დაღუპავს ისეთი წევრები, რომელნიც გამსჭვალულნი არ არიან საერთო თანამშრომლობის აზრით და რომლებისათვის მიუწვდომელი არის კომუნის იდეები. საერთოდ დასკვნა კი ასეთია: კომუნა, რომელიც წარმოადგენს კოლექტიური მეურნეობის დაგვირგვინებას, ჩვენი პირობებისათვის ჯერ - ჯერობით ნაადრევია. უახლოესი გზა ყოველ კოლექტიურ მეურნეობის განსავითარებლად — ეს არის კოოპერაციის გზა. ჯერ - ჯერობით გლეხები რჩებიან თავიანთ ქოხებში, მაგრამ ერთდებიან წარმოების ნიადაგზე, აწყობენ სხვადასხვა სასოფლო - სამეურნეო ამხანაგობებს, არტელებს და სხვა. გლეხს შეუძლია თავის მეურნეობაში დარჩეს და იმავე დროს თავის მოქმედება შეუკავშიროს რამოდენიმე მეზობლის საერთო მოქმედებას. როცა იგი გაივლის კოოპერატიულ მოქმედების პირველ საფეხურებს. შეიძენს გამოცდილებას და დაინახავს გაერთიანებული მოქმედების ნაყოფიერ შედეგს, იგი უფრო ადვილად გადავა კოოპერაციის უმაღლეს საფეხურზე, იგი უფრო ადვილად შეიგნებს კოოპერაციის უმაღლესი ფორმის — სასოფლო - სამეურნეო კომუნის მნიშვნელობას.

ამხ. ფილიპე მახარაძის მოხსენებით დამთავრდა დილის სხდომა.

კომუნალურ მეურნეობათა მდგომარეობა საქართველოში

მომხს. ამხ. ცაგარელი

მომხსენებელმა მოკლე მიმოხილვა გაუკეთა კოლექტიურ მეურნეობის ფორმების ზრდას, მათ ქონებრივ მდგომარეობას და გამოიტანა შემდეგი დასკვნები: კოლექტიური მეურნეობები ეწყობოდენ სრულიად უგეგმოთ და სტიქიურად. დამაარსებელთ არ ესმოდათ კოლექტიურ მეურნეობის შინაარსი და მისი პერსპექტივები. კოლექტივებში გაერთიანებული გლეხობა ვერ ერკვეოდა მეურნეობის შინაარსში. კოლექტიურ მეურნეობათა საღი ნიადაგზე დასაყენებლად საჭიროა კოლექტიურ მეურნეობათა ხელმძღვანელ კადრის შექმნა. იმის გამო, რომ კოლექტივები არ იცნობენ თავისი რაიონის გეოგრაფიულ პირობებს, ხშირად ისეთ მეურნეობას კიდებენ ხელს, რომელიც ამ რაიონში არ ხეირობს. მრავალ კოლექტივს არ ჰქონია სამეურნეო გეგმა, რაც ხელს უშლიდა მათ სამეურნეო საქმიანობას. ცუდათ იყო დაყენებული კოლმეურნეობისათვის აგრონომიულ დახმარების საქმე. კოლექტივების დიდი უმრავლესობა აგრონომს სრულებით არ უნახავს. ბევრ კოლექტივში ჯერ არ არის ჩატარებული მიწადმოწყობა, რაც მეტად უშლის ხელს მათ საქმიანობას, აფერხებს მეურნეობის გეგმის შედგენას და ხშირად მიზეზიც ხდება მეურნეობის დაშლისა. ხშირად კოლექტიურ მეურნეობის ხელმძღვანელები ხელს კიდებენ იმდენ საქმეს, რომ სჭირდებათ დაქირავებული მუშახელის დაქირავება, რაც ყოვლად დაუშვებელი მოვლენაა კოლექტივის ცხოვრებაში. ზოგიერთი კოლექტივები აქირავებენ აგრეთვე მეზობელ გლეხებზე მანქანა - იარაღებს და ეწევიან მათ ექსპლოატაციას. ზედმეტი იარაღები კოლექტივს არ უნდა ჰქონდეს. ძალიან ცუდ მდგომარეობაშია კოლექტივებზე სესხის გაცემის საქმე. სესხის დიდი ნაწილი მეტისმეტად მოკლევადიანია, რაც ძლიერ უშლის ხელს მეურნეობის სათანადო ღონისძიებას. კოლექტიურ მეურნეობათა დიდი უმრავლესობა არ აწარმოებს შემოსავალ - გასავლის აღრიცხვას, რაც შლის მეურნეობის სისტემას და ხშირად აყენებს მას დაღუპვის პირზე. შრომის განაწილებას და მეურნეობის რაციონალურად დაყენებას არავითარი ყურადღება არ ექცეოდა, მუშაობა არ ნაწილდება ცოდნისა და საშუალებების მიხედვით. ყურადღება არ ექცეოდა აგრეთვე თანხების მიზანშეწონილ ხარჯვას. ხშირად კოლმეურნეობები მოკლევადიანი სესხით აგებენ საცხოვრებელ ბინებს და ეწევიან ხელგაშლილ ცხოვრებას. ყველა ამ ნაკლოვანებათა მიზეზი არის ის, რომ კოლექტივები მოკლებული იყვნენ ხელმძღვანელობას. დღემდე საქართველოში არ არსებობდა ისეთი ორგანიზაცია, რომელსაც ხელმძღვანელობა უნდა გაეწია და პასუხისმგებელი ყოფილიყო მათ მუშაობისათვის. საქართველოში ნიადაგი ასეთი აპარატის შესაქმნელად საკმაოდ მომზადებულია. კოლექტივთა რიცხვიც საკმაოა, რომ ასეთი ორგანიზაცია მოეწყოს, რომელიც სათანადო ხელმძღვანელობას გაუწევს კოლექტიურ მეურნეობათ, როგორც იდეურ, ისე სამეურნეო სფეროში.

საღამოს სხდომაზე საბჭოთა რუსეთისა და უკრაინის კოლმეურნეობათა შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. ბიცენკომ, რომელმაც ყრილობას გააცნო კოლმეურნეობათა დადებითი და უარყოფითი ტიპები უკრაინისა და რუსეთის კოლექტივების მაგალითზე. მეორე დღის დილისა და საღამოს სხდომაზე სწარმოებდა კამათი და აზრთა გაცვლა - გამოცვლა წაკითხულ მოხსენებათა გარშემო. კამათში მონაწილეობა მიიღეს შემდეგმა ამხანაგებმა: ჩოხელმა, გოგოლაძემ, ზაქეიმა, მარიამიძემ, ჩეჭურაშვილმა, კ. ჩხენკელმა, ფ. მახარაძემ და ა. გეგეჭკორმა *).

საღამოს სხდომაზე განხილულ იქნა აგრეთვე სექციის დებულება.

---

*) კამათში მონაწილეთა სიტყვების შინაარსს მოვათავსებთ ჩვენი გაზეთის შემდეგ ნომერში.

მიწა-ტყის სპეციალისტთა ყრილობა

უკანასკნელი სხდომა

დამთავრდა მიწა-ტყის სპეციალისტთა ყრილობა. ყრილობამ უკანასკნელ სხდომაზე აირჩია სპეციალისტთა სექციების ბიუროები და მიიღო რეზოლიუციები მიწად-მოქმედების სახკომისარიატის და კავშირის ცენტრალური გამგეობის მუშაობის შესახებ.

რეზოლიუცია სასოფლო-მეურნეობის განვითარების შესახებ საჭიროდ აღიარებს მიწადმოწყობის სასწრაფო ჩატარებას, ამ მიზნით საჭიროდ სცნობს სამიწადმომწყობ პერსონალის გაძლიერებას. უნივერსიტეტთან სპეციალურ ფაკულტეტის დაარსებით, სამიწადმომწყობო ტეხნიკუმების სათანადო სიმაღლეზე დაყენებით და მიწად-მომწყობი პერსონალის მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესებით. რეზოლიუციაში აღნიშნულია აგრეთვე საქართველოს ბუნებრივ პირობების გამოკვლევის დაჩქარების საჭიროება, სამელიორაციო მუშაობის გაძლიერება, სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაცია და სხვა.

ცენტრალურ გამგეობას მომავალ მუშაობის შესახებ მიღებულ რეზოლიუციაში ყრილობა საჭიროდ სცნობს პროფმუშაობის გაძლიერებას სოფლად მომუშავე სპეციალისტებს შორის, პროფორგანოების შევსებას მუშებით და მოჯამაგირეებით, კულტურულ მუშაობის გაძლიერებას სოფლის მუშებში და სხვა.

სამანდატო კომისიის მოხსენების შემდეგ ყრილობა დახურა ამხ. ჯაფარიძემ, რომელმაც მოკლედ ჯამი გაუკეთა ყრილობის მუშაობას და უსურვა ახლად არჩეულ ორგანოებს ნაყოფიერი მუშაობა მიღებულ დადგენილებათა ცხოვრებაში გასატარებლად.

თბ. მაზრის თემაღმასკომების თავმჯდომარეთა თათბირი

გუშინ, აღმასკომის შენობაში საორგანიზაციო განყოფილების გამგის ამხ. აკაპოვის თავმჯდომარეობით გაიხსნა თბილისის მაზრის თემაღმასკომების თავმჯდომარეთა თათბირი, რომელზედაც მოსმენილ იქნა

მოხსენებები ადგილებიდან:

ამხ. სიმონიანი (ზემო წალკის თემი) ეხება რა თემის მდგომარეობას, აღნიშნავს საბჭოების მუშაობის გამოცოცხლებას. ნაკლოვანებებს შორის მომხსენებელი ყურადღებას მიაქცევს შემდეგს: მიწის საკითხის მოუწესრიგებლობას, მიწათ-მოწყობის ჩაუტარებლობას და ტყის განადგურებას. განათლების საქმე გაუმჯობესებულია, მაგრამ მასწავლებლები არ არიან სათანადოთ მომზადებულნი. სასკოლო მშენებლობის საქმე მოისუსტებს, სასკოლო შენობები ცოტაა.

ამხ. ბაზოევი (ბარმაქსიზის თემი) აღნიშნავს, რომ თემში მიწათმოწყობა არ არის ჩატარებული. დაარსებულია მერძევეთა არტელი, მაგრამ მას მეტად დიდი გადასახადებით ბეგრავენ.

ამხ. სიზიუმოვი (რთიალეთის თემი) სექციები თითქმის სრულიად არ მუშაობენ, რაც ცენტრიდან სოფლების სიშორით აიხსნება. სასოფლო ყრილობებს გლეხობა ნაკლებათ ესწრება. სახლები უგეგმოთ შენდება. მთელ თემში არ მოიპოვება არც საფერშლო და არც საექიმო პუნქტი. კოოპერატივების რიცხვიც მცირეა. მუშაობენ სარძეო არტელები, მაგრამ ხელმძღვანელობას მოკლებული არიან.

ამხ. სილაგაძე (გომბორის თემი) თემში საექიმო პუნქტი არ არის. იყო ექიმი, მაგრამ არ გამოდგა. სოფლებს წყალი არ აქვს, ჭების წყალი უვარგისია, რაც ხელს უწყობს მოსახლეობის დაავადებას. სასოფლო-სასკოლო შენობის აგება დავიწყეთ, მაგრამ უსახსრობის გამო ვერ დავამთავრეთ. თემს სჭირია საკრედიტო ამხანაგობა და საქონლის დაზღვევა. გზის მშენება სუსტად ტარდება.

ამხ. მჭედლიშვილი (თელეთის თემი) მიწათმოწყობა არ ჩატარებულა. დაუმთავრებელია წყალსადენის გაყვანა მილების უქონლობის გამო. კოოპერატივი გვქონდა, მაგრამ დაიხურა. საჭიროა ისევ გაიხსნას.

ამხ. ყაურაშვილი (თონეთის თემი) ხაზს უსვამს ბიუროკრატიზმის არსებობას თელეთის აღმასკომის ზოგიერთ ორგანოებში. თონეთის აღმასკომის შეკითხვაზე თბილისის აღმასკომი ექვსი თვეა პასუხს არ იძლევა.

ამხ. ალიხანოვი (იაგის თემი) საგზაო მშენებლობა მოისუსტებს. თბილისის აღმასკომი ამ დარგში ვერ გვიწევს ტეხნიკურ ხელმძღვანელობას. თემს წყალი არ აქვს. საექიმო პუნქტი უექიმოთაა. მუშაობს მხოლოდ ფერშალი, რომელსაც ქვეითად უხდება მისვლა-მოსვლა. მიწათ-მოწყობა სუსტად ტარდება. გახშირდა ტყის გაჩეხვა.

ამხ. ხიზანიშვილი (კოჯორის თემი) სასამართლო დატვირთულია საქმეებით. აღმასკომს მილიციელი არა ჰყავს. სექციები არ მუშაობენ. კოოპერატივი ფინანსიურად სუსტია. მიწის საკითხი მოუგვარებელია. სახელმწიფო დაზღვევის აღრიცხვებისა და სას. სამეურნეო გადასახადების აკრეფა ერთად ჩატარდა, რამაც ორივეს შეუშალა ხელი.

ამხ. სტეფანიშვილი (მანავის თემი) აღმასკომს მილიცია არა ჰყავს და არც ტელეფონი აქვს, რომ საჭიროების დროს საგარეჯოდან გამოიწვიოს მილიცია. ეს გარემოება ხელს უშლის წესრიგის დამყარებას და რევოლიუციონური კანონიერების განმტკიცებას. თემის ცენტრალური უბანი მოკლებულია წყალსადენს. მიწათ-მოწყობა გაუტარებელია. საქონლის საექიმო პუნქტი 15 ვერსით არის დაშორებული.

ამით დამთავრდა მოხსენებები ადგილებიდან.

საქ. ცაკში

დახმარება

საქ. ცაკის სოციალურ უზრუნველყოფის განყოფილებამ გლეხკომებს, გლეხის სახლებს, საბავშო სახლებს და სხვადასხვა კულტურულ დაწესებულებებს გასული წლის დეკემბერში დახმარების სახით მისცა 7280 მ.

ნადების წმენდა

საქ. ცაკის სოციალურ უზრუნველყოფის განყოფილების გამგის განკარგულებით შესდგა კომისია, რომელიც შეუდგა ინვალიდების კოოპერატიული ნადების (არტელების) გაწმენდას შეუფერებელ პირებისაგან.

გლეხკომების გადარჩევა

საქ. ცაკის სოცუზრუნველყოფის განყოფილებაში მიღებული ცნობებით, გლეხკომების გადარჩევა მაზრებში გაცხოველებული ტემპით მიმდინარეობს. გლეხკომების გადარჩევაში მონაწილეობას იღებს სოფლის მოსახლეობის 80 პროც. არჩევნებში აგრეთვე აქტიურად არიან ჩაბმული სოფლად მომუშავე ინტელიგენტები, ქალები და ახალგაზრდები. გლეხკომების გადარჩევა დაიწყო აჭარისტანსა, აფხაზეთსა და სამხრეთ-ოსეთშიაც.

ტრამვაის უფასო ბილეთები

საქ. ცაკის სოც. უზრ. განყოფილებამ შუამდგომლობა აღძრა საქ. ცაკის პრეზიდიუმის წინაშე, რათა რევოლიუციის, მეცნიერების და საზოგადოების წინაშე დამსახურებულ პირებს, რომლებსაც მთავრობისაგან ეძლევათ პერსონალური პენსია, მიეცეს ტრამვაის უფასო ბილეთები.

ეკონომიურ საბჭოში

სახელმწიფო გამომცემლობის შესახებ

ეკონომიურმა საბჭომ საჭიროდ სცნო სახელმწიფო გამომცემლობის სტრუქტურის ფორმალური ჩამოყალიბება სამეურნეო ტრესტის საფუძველზე.

ამასთან ერთად საბჭომ მიზანშეწონილად სცნო საზ-ბა „საწერ-კალამის" სახელგამთან გაერთიანება. სახელგამისათვის საჭირო სახსრის გამოსანახავად დაარსებულ იქნა კომისია ამხ. ხ. ჟულელის (თავმჯდომარე), გ. მგალობლიშვილის, გ. ყურულაშვილის, ბ. გოგიას და დ. კანდელაკის შემადგენლობით.

ეკონომიურმა საბჭომ აღნიშნა სახელგამის მიღწევები საქართველოს კულტურულ-სამეურნეო აღმშენებლობის სფეროში და აგრეთვე ფაქტი მისი მოქმედების გაფართოებისა

სახელგამის სამმართველოს წინადადება მიეცა შემუშაოს 1928 წ. ოპერატიული გეგმა და 5 წლიანი პერსპექტიული გეგმა,—რაც შეთანხმებული უნდა იქნეს ადგილობრივი მაზრის მოთხოვნილებასთან და სახელგამის ფინანსიური შესაძლებლობასთან.

საქართველოს ადგილობრივი ტრანსპორტის სამმართველოს 1927—28 წლ. ხარჯთაღრიცხვა

საგეგმო კომისიის დასკვნის თანახმად ეკონომიურმა საბჭომ დაამტკიცა საქართველოს ადგილობრივი ტრანსპორტის სამმართველოს 1827—28 წ. ხარჯთაღრიცხვა 612.000 მან. რაოდენობით.

სესხი

გლეხურ მეურნეობის განსამტკიცებლად

საკავშირო ფინსახკომი უშვებს სპეციალურ ას მილიონიან სესხს გლეხურ მეურნეობის განსამტკიცებლად.

სესხი გამოცემული იქნება ასი მილიონი მანეთის რაოდენობით.

რესპუბლიკანურ ფინსახკომებს საჭირო დირექტივები სესხის რეალიზაციის შესახებ უკვე მიღებული აქვთ და იწყება სათანადო მუშაობა სესხის რეალიზაციისათვის.

საქართველოს ფინსახკომი უკვე შეუდგა წინასწარ მოსამზადებელ მუშაობას. ფინრწმუნებულებს მოკავშირე და ავტონომიურ რესპუბლიკებში და სამფინგანებს დაეგზავნა ინსტრუქციები სესხის რეალიზაციის შესახებ.

სესხის რეალიზაცია დაიწყება პირველ თებერვლიდან.

მოწყობილობის შეძენა

ახალი ქარხნებისათვის

(თათბირი ს. მ. უ. ს-ში)

ს. მ. უ. ს. ადგილობრივი მრეწველობის განყოფილებასთან შესდგა თათბირი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების გადასამუშავებელ ქარხნებისათვის უცხოეთიდან მოწყობილობის გამოწერის საკითხის მოსაგვარებლად. თათბირს დაესწრენ—მიწადმოქმედების სახ. კომისარიატის, ახალ შენებათა კომიტეტის, ა.-კ. ვაჭრობის კომისარიატის და ს. მ. უ. ს. წარმომადგენლები.

თათბირზე განხილული იყო საკითხი მუხრანის რაიონში (დუშ. მ.) ტომატ-პიურეს ქარხნის აგების და დანარჩენ, ადგილობრივი მრეწველობის ქარხნებისათვის მოწყობილობათა გამოწერის შესახებ. თათბირმა სასურველად სცნო, რომ დუშეთის მაზრაში, მუხრანის მახლობლად აგებულ იქნეს ტომატ-პიურეს ქარხანა, სადაც ყოველწლიურად გადამუშავებული იქნება 50.000 ფუთი პამიდორი.

გორის საკონსერვო ქარხნის, ღვინის სარდაფის, რძის პროდუქტების გადამმუშავებელი და ხილის სახმობი ქარხნებისათვის საჭირო მოწყობილობის სიის შესადგენად თათბირმა გამოყო სპეციალური კომისია, რომელსაც ამავე დროს დაევალა გადასინჯოს უცხოეთის ყველა ფირმების კატალოგები და მოწყობილობების დამზადება შეუკვეთოს საუკეთესო ფირმებს.

ამ დღეებში მოწვეულ იქნება მეორე თათბირი, რომელიც განიხილავს მოწყობილობათა სპეციფიკაციას.

პროლეტარულ სტუდენტთა კონფერენცია

მესამე სხდომა

კონფერენციის საღამოს სხდომაზე გაიმართა კამათი თბილისის პროლეტარულ სტუდენტთა ბიუროს საანგარიშო მოხსენების გარშემო. კამათში მონაწილეობა მიიღო 20-ზე მეტმა დელეგატმა.

კამათში მონაწილენი აღნიშნავდენ შემდეგს: მეტი ყურადღება უნდა მიექცეს სახელმძღვანელოების გამოცემას ქართულ ენაზე; უნდა მოწესრიგდეს სტუდენტთა დაზღვევის საქმე; სამეცნიერო წრეების მუშაობა გაძლიერებული უნდა იქნას; მეტი ყურადღება უნდა მიექცეს საწარმოო პრაქტიკას.

შემდეგ კონფერენციამ მოისმინა გ. მიკირტუმოვის მოხსენება სარევიზიო კომისიის მუშაობის შესახებ.

მეოთხე სხდომა

გუშინ დილის სხდომაზე თბილისის პროლეტარულ ბიუროს თავმჯდომარე ს. მდივანმა პასუხი გასცა კამათში მონაწილე ამხანაგებს.

კონფერენციამ ბიუროს მუშაობა სცნო დამაკმაყოფილებლად და პრაქტიკული ღონისძიებების გამოსამუშავებლად გამოჰყო სპეციალური კომისია.

შემდეგ კონფერენციამ მოისმინა განათლების სახალხო კომისარის ამხ. დ. კანდელაკის მოხსენება.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ სახელმწიფო ბიუჯეტის 50 პროცენტი იხარჯება განათლების საქმეზე, რაიც უდიდეს მიღწევად უნდა ჩაითვალოს. ამ ბოლო წლებში უმაღლეს სასწავლებელმა მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგა წინ. შემდეგ მომხსენებელმა კონფერენციას გააცნო განათლების კომისარიატის მიერ დასახული ღონისძიებანი, რომელთა ცხოვრებაში გატარება გააუმჯობესებს უმაღლეს სასწავლებლების მდგომარეობას.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ უმაღლესი სასწავლებლები ეხლა განიცდიან სამეცნიერო ხელსაწყოების: ლაბორატორიების, სპეციალური კაბინეტების და სხვათა ნაკლებობას. აგრეთვე ზოგიერთ ფაკულტეტის კათედრებზე, არ არიან მეცნიერულად მომზადებული პირები.

ამხ. კანდელაკი აცნობს კონფერენციას, რომ წელს გაუმჯობესდა უმაღლეს სასწავლებლების მასწავლებელთა ხელფასი. ეხლა ლექტორი 72 მანეთის ნაცვლად ღებულობს 100 მანეთს.

შემდეგ მომხსენებელმა განაცხადა, რომ მიმდინარე წელს მოგვარებული იქნება სტუდენტებისათვის ბინის საკითხი და ავადმყოფი სტუდენტები გაიგზავნებიან კურორტებზე.

ამხ. კანდელაკს მისცეს შეკითხვები, რაზედაც მან გასცა ამომწურავი პასუხი.

მოხსენების გარშემო გაიმართა აზრთა გაცვლა-გამოცვლა.

მეხუთე სხდომა

შაბათს საღამოს სხდომაზე კონფერენციამ მოისმინა ამხ. კვინიტაძის მოხსენება საწარმოო პრაქტიკის შესახებ.

მოხსენების გარშემო გაიმართა გაცხოველებული კამათი.

კონფერენციამ შრომის კომისარიატის მიერ წარმოებული მუშაობა საწარმოო პრაქტიკის დარგში სცნო არადამაკმაყოფილებლად.

პრაქტიკულ ღონისძიებების გამოსამუშავებლად არჩეულ იქნა სპეციალური კომისია.

უკანასკნელი სხდომა

კვირას, 8 იანვარს, დილის სხდომაზე კონფერენციამ მიიღო რეზოლიუციები მოსმენილ მოხსენებების შესახებ, რის შემდეგაც მოხდა თბილისის პროლეტარულ სტუდენტთა ბიუროს არჩევნები.

ბიუროს წევრებათ კონფერენციამ აირჩია 31 კაცი.

შემდეგ არჩეულ იქნა სარევიზიო კომისია, რის შემდეგაც კონფერენცია დაიხურა.

ცენტრალური სატრიკოტაჟო ფაბრიკა

ა.-კავკასიაში სატრიკოტაჟო წარმოების გასაფართოებლად, საკავშირო ვაჭრობის კომისარიატმა გადასდო 45.000 მანეთის მანქანები და ნედლი მასალა.

7 იანვარს საქართველოს ვაჭრობის კომისარიატში შესდგა საქართველოს ს. მ. უ. ს. თბილისის აღმასკომის და სარეწკოოპკავშირის წარმომადგენელთა თათბირი, რომელზედაც ირჩეოდა აღნიშნულ მანქანების და ნედლეულის გამოყენების საკითხი.

თათბირმა მიიღო მხედველობაში, რომ ამ. კავკასიისათვის გადადებულ მანქანების განაწილება შრომის კოლექტივთა შორის წარმოადგენს დიდ სიძნელეს, მიზანშეწონილად სცნო ერთი ცენტრალური ფაბრიკის მოწყობა მთელი ამიერ-კავკასიისათვის. თათბირმა მიზანშეწონილად სცნო აგრეთვე, რომ ფაბრიკა საქართველოში იქნეს აგებული.

საქ. ს. მ. უ. ს. დაევალა 15 იანვრისათვის წარმოადგინოს ფაბრიკის აგების ხარჯთაღრიცხვა.

ოთხშაბათს, 11 იანვარს, საღამოს 6 საათზე, ჩვენი რედაქციის ბინაზე (კამოს ქ. №68), დანიშნულია გაზ. „კომუნისტი"-ს მუშკორთა საერთო კრება. დღის წესრიგში ფრიად საყურადღებო საკითხია დასმული. მუშათა ფართე კოლექტივის წევრები უნდა გამოცხადდენ აუცილებლივ ხუთის ნახევარზე.

ქრონიკა

ინჟენერ ნ. ლეჟავას დასაფლავება

ინჟენერ ნ. ლეჟავას ცხედარი მრავალრიცხოვანმა საზოგადოებამ მიაცილა საფლავამდე.

დასაფლავებას დაესწრენ: ამიერ.-კავკ. ს. ხალხთ კომისართა საბჭოს თავმჯდომარე ამხ შ. ელიავა, სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი ამხ. თ. ღლონტი, საქართველოს ტეხნიკურ საზოგადოების თავმჯდომარე ინჟ. ბ. ჭიჭინაძე; ინჟენერთა ცენტრალურ ბიუროს გამგეობის თავმჯდომარე ინჟ. ა. კალანდაძე და სხვა.

საფლავთან სიტყვები წარმოსთქვეს: ინჟ. ბ ჭიჭინაძემ, ინჟ. ვ. კაკაბაძემ, ყიფშიძემ; მკლასელმა, სტუდენტთა ორგანიზაციების წარმომადგენლებმა და სხვებმა.

ორატორები ახასიათებდენ განსვენებულს, როგორც დიდი გამოცდილების, ცოდნის და ენერგიის მქონე პიროვნებას და აღნიშნავდენ, რომ ნ. ლეჟავას დაკარგვა დიდი დანაკლისია სატრანსპორტო-სააღმშენებლო საქმისათვის.

დახმარება სასოფლო მეურნეობას

ამიერ-კავკასიის სასოფლო მეურნეობისათვის 1927—28 წლის პირველ კვარტალის განმავლობაში გადაიდო 392.000 მანეთი.

აქედან საქართველოს მიეცემა—165.000 მ., აზერბეიჯანს—126.750 მ., სომხეთს 100.000 მან.

ამ თანხიდან უმიწაწყლო გლეხობისათვის ახლად მოწყობილ ახალშენებში სასოფლო მეურნეობის გასაფართოებლად დაიხარჯება—50.0000 მანეთი, აქედან 22.400 მანეთი მოხმარდება საქართველოს ახალშენებს.

125.000 მანეთი გადაიდება უღარიბეს გლეხთა კოლექტიურ მეურნეობათა დაარტელების მუშაობის გასაცხოველებლად (ამ საქმეზე მარტო საქართველოში დაიხარჯება 62.500 მ.) და 75.000 მანეთი კი სესხად მიეცემა ტრესტებში გაერთიანებულ მეურნეობებს. მათ შორის საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ტრესტებს მიეცემა—37.750 მანეთი.

სომხეთის განსახკომის მომართვა

საქართველოს განათლების სახალხო კომისარიატმა სომხეთის სახ. განათლების კომისარიატიდან მიიღო მომართვა, სადაც აღნიშნულია შემდეგი: „სომხეთისა და საქართველოს განათლების კომისარიატებს შორის მტკიცე კავშირის დასამყარებლად და განათლების დარგში ერთი-მეორის გამოცდილებათა გასაცნობად, გთხოვთ გადმოგვზავნოთ: სოციალურ აღზრდის, პროფესიონალურ განათლების და პოლიტგანათლების ყველა საფეხურის და ტიპის სკოლების დახასიათება, მათი წესდება, დებულება; სასწავლო გეგმები და პროგრამები და ასეთივე მასალებს გადმოგიგზავნით ჩვენც".

შრომის დაცვა

წელს ამიერ-კავკასიაში შრომის დაცვის საქმეზე ამიერ-კავკასიის შრომის სახ. კომისარიატი დახარჯავს 3.549.000 მანეთს. აქედან საკავშირო მნიშვნელობის წარმოებებში შრომის დაცვის გასაუმჯობესებლად გადადებულია 2.400.000 მანეთი. რესპუბლიკანურ მნიშვნელობის წარმოებებში შრომის პირობების დასაცავად 1.149.000 მანეთი.

ბრძოლა ზედმეტ მუშაობასთან

შრომის სახ. კომისარიატმა წინადადება მისცა შრომის დაცვის განყოფილებას ზედმეტ მუშაობასთან საბრძოლველად მიიღოს უფრო სასტიკი ზომები; მოახდინოს წარმოება-დაწესებულებების მოულოდნელი დათვალიერება და სადაც ადგილი ექნება აშკარა დარღვევებს, აცნობოს შრომის სახ. კომისარიატის კოლეგიას, დამნაშავეთა პასუხისგებაში მისაცემად.

გარდა ამისა, მიღებული იქნება ზომები იმ ადგილკომების წინააღმდეგ, რომლებიც ხელს შეუწყობენ ზედმეტ მუშაობას.

ბრძოლა უმუშევრობასთან

ა.-კ. სახკომსაბჭომ წინადადება მისცა ა.-კ. ფინანსთა სახ. კომისარიატს უმუშევრობასთან ბრძოლის ფონდი 1927—28 წლის მეორე კვარტალში რესპუბლიკებს შორის შემდეგ ნაირად გაანაწილოს: საქართველოს 80.800 მან., აზერბეიჯანს—94.000 მან. და სომხეთს—25.000 მან.

მცირე-წლოვანი დამნაშავენი

განათლების კომისარიატთან არსებულ მცირე-წლოვან დამნაშავეთა საქმეების განმხილველ კომისიაში პირველ დეკემბრისათვის ირიცხებოდა 91 ბავში, მათ შორის 30 ქალი. დეკემბრის თვის განმავლობაში მიღებული იქნა 34 ბავში.

ამავე თვის განმავლობაში კომისიამ განიხილა 41 ბავშის საქმე, რომლებიდანაც 1 ბავში მოთავსებული იქნა საავადმყოფოში, სხვადასხვა საბავშო დაწესებულებებში მოთავსებული იქნა 37 ბავში, მათ შორის 7 ქალი, მშობლებს ჩაბარდა 1 ბავში, 1 ბავში გადაიგზავნა ბავშთა თავშესაფარში და 1 ბავში გაიგზავნა სამშობლოში.

1 იანვრისათვის კომისიაში დარჩა 84 ბავში, მათ შორის 30 ქალია.

ფსიქო-ტეხნიკური კაბინეტი

შრომის დაცვის განყოფილება შრომის მუზეუმთან აწყობს ფსიქო-ტეხნიკურ კაბინეტს. ამჟამად მიღებულია კაბინეტის მთელი მოწყობილობა. კაბინეტი მზად იქნება ერთ კვირაში.

კურსები—ყრილობა

გუშინ ცეკავშირთან გაიხსნა კოოპერატიულ წრების ხელმძღვანელთა კურსები—ყრილობა.

ყრილობაზე ადგილებიდან ჩამოვიდა 32 კაცი. მეცადინეობა გასტანს 10 დღეს.

თბილისის აღმასკომში

◆ **აგარაკები.** თბ. აღმასკომმა დაადგინა წელს თბ. მაზრის აგარაკებზე ააშენოს ახალი 2—3 და 4 ოთახიანი სახლები.

◆ **საუტილიზაციო ქარხანა.** თბ. აღმასკომმა დაადგინა ქ. სასაკლაოსთან მოაწყოს საუტილიზაციო ქარხანა.

განსახკომში

◆ **რკინიგზის მუშფაკისათვის** განსახკომმა გადასდო 45.000 მანეთი.

◆ **სოფლის ახალგაზრდობის სკოლებისათვის** გამოვიდა გაჩეჩილაძის მიერ შედგენილი სახელმძღვანელო „მეტეოროლოგიური ელემენტები". წიგნი მოწონებულია განსახკომის მიერ.

კრებები და მოხსენებები

◆ **მასწავლებელთა კრება.** ხვალ, 11 იანვარს, სოციალ-ჰიგიენის აუდიტორიაში (ლუნაჩარსკის ქ. № 12) შესდგება თბ. სახ. უნივერსიტეტის უმცროს მასწავლებელთა კოლეგიუმის მორიგი კრება.

დღის წესრიგშია: პროფ. ივანე ჯავახიშვილის მოხსენება „ადამიანი ძველ ქართულ მწერლობასა და ცხოვრებაში".

◆ **გეოლოგიურ ინსტიტუტის სხდომა.** დღეს, 10 იანვარს, საღამოს 7 საათზე, სახ. უნივერსიტეტის გეოლოგიური კაბინეტის აუდიტორიაში შესდგება საქ. გეოლოგიურ ინსტიტუტის საჯარო სხდომა.

დღის წესრიგშია: 1) პროფ. ა. ჯანელიძის მოხსენება—მასალები თბილისის მიდამოების გეოლოგიისათვის და ასისტ. ივ. ხელაძის მოხსენება—ნიადაგის წაწევა და დამზარვა შილის არხის გასწვრივ.

სხვადასხვა

◆ **საქართველოს დამოუკიდებელი შრომის** სალარო 16 იანვრიდან ოპერაციებს აწარმოებს დილის 11 საათიდან ნაშუადღევის 5 საათამდე. მუშაობა იწარმოებს ყოველდღე გარდა კვირა და დასასვენებელი დღეებისა.

◆ **სახელმწიფო სტატისტიკის მოამბე.** გამოვიდა საქ. სტატისტიკის ცენტრალურ სამმართველოს ორგანო „სახელმწიფო სტატისტიკის მოამბე" № 8—9.

სასამართლო

ორი ერთის წინააღმდეგ

ოქტომბრის საღამოა.

გლეხი გიორგი აბურველაშვილი საქონელს მერეკება მინდორში. მიდის და თან ღიღინებს ურმულის ხმაზე.

იჭექა თოფმა. გიორგი აბურველაშვილი შეხტა და მკლავიდან სისხლი გადმოეღვარა. საფარიდან გამოჩნდა მოწინააღმდეგე.

— გიორგი ნუ მომკლავ, მე ვარ, რას მერჩი, —დაიღრიალა ჭრილობით გამწარებულმა აბურველაშვილმა.

— სიკვდილიც ცოტაა შენთვის, დაიყვირა გამძვინვარებულმა მოწინააღმდეგემ და მეორედ ამოიღო ნიშანში აბურველაშვილი.

თოფის გავარდნამდე აბურველაშვილმა მოასწრო გაქცევა.

დაჭრილი აბურველაშვილი გიჟივით შევარდა თემსაბჭოში (ამბავი ხდება ძურეთში).

— მიშველეთ, მომდევენ, მკლავს გიორგი გულდამაშვილი... ნეტავ რაიმე [illegible]

ადგილობრივმა ხელისუფლებამ დააპატიმრა გულდამაშვილი.

— მართალია მე ვესროლე, მაგრამ იმიტომ, რომ ქურდი მეგონა, — ლაპარაკობს პირველი დაკითხვის დროს გულდამაშვილი.

— აბა წარმოადგინეთ თქვენი თოფი,—უბრძანებიან მილიციაში გულდამაშვილს. უკანასკნელმა წარმოადგინა თოფი, რომელსაც გასროლის ნიშნები არ ეტყობოდა.

გაიცა განკარგულება, რომ სოფლის სულ ყველა მცხოვრებლებს წარმოედგინათ თავიანთი თოფები შესამოწმებლად. შემოწმების დროს განასროლი აღმოჩნდა ვინმე შაქრო ავჭალეიშვილის თოფი. ავჭალეიშვილი ეჭვით დააპატიმრეს.

— მართალია, თოფი მე ვესროლე, მაგრამ მე ის დამავალა გულდამაშვილმა. ისიც მართალია, რომ ჩვენს შორის ვერ იყო მეგობრული განწყობილება, მაგრამ შურისძიებას მე მაინც არ ვაპირებდი.

გავბრიყვდი იმიტომ, რომ გულდამაშვილმა ჯილდოთ 200 მანეთი აღმითქვა, — ლაპარაკობს ავჭალეიშვილი.

საქმე გუშინ გაარჩია თბილისის სამაზრო სასამართლომ ამხ. ზერიშვილის თავმჯდომარეობით.

გიორგი გულდამაშვილს და შაქრო ავჭალეიშვილს მიესაჯათ თავისუფლების აღკვეთა ორ-ორი წლით. სასამართლომ მხედველობაში მიიღო მსჯავრდადებულთა გაუნათლებლობა და ის გარემოება, რომ ისინი პირველად არიან პასუხისგებაში და ამიტომ სასჯელი შეუმცირა 2 წლამდე, ამნისტიის შეფარდების შემდეგ თვითეულ მათგანს მოსახდელად დარჩა თითო წლის ციხე.

„უკმაყოფილო"

— თქვენ ბრალად გედებათ ახალ სოფლის კოოპერატივის გატეხა და 37 მანეთის წაღება ფულად. რას იტყვით ამის შესახებ?

— ეჰ! რაღა უნდა ვსთქვა! მე არ უარვყოფ, რომ გავსტეხე კოოპერატივი, მაგრამ ამას ძალიან ვნანობ. ნეტავი თავი გამტეხოდა და კოოპერატივი არ გამეტეხა. თუ ხელს გაისვრი კაცი, რამედ უნდა ღირდეს. მე მეგონა, რომ ფული ბლომად იქნებოდა კოოპერატივის სალაროში, თორემ, გეფიცებით სინიდისს, მე არც ისე წამხდარი კაცი ვარ, როგორც ბევრს ჰგონია. თუ „გავაკეთებ საქმეს", ისე „კეთილშობილურად". მე რომ წუწკი ქურდი ვიყო, თქვენ დამერწმუნებით, რომ ფართლეულობასაც არ დავზოგავდი. საწყენია, რომ ქურდი დამერქვა, თუმცა იმ „დასაწვავ" სალაროდან არაფერი არ წამიღია. რას წავიღებდი, რაც შიგ არ იყო, — ასე უკმაყოფილო კილოთი ელაპარაკებოდა მოქალაქე ვასილ წვილაშვილი გამომძიებელს.

უკმაყოფილოა წვილაშვილი, რადგან შრომა გასწია, კოოპერატივის კარები ჩაამტვრია წერაქვით და სულ რაღაც 37 მანეთზე მეტი არაფერი დაუხვდა სალაროში.

მისი საქმე ამ დღეებში გაირჩევა.

ვერ.

თვითმკვლელობა

როგორც ჩვენმა მკითხველებმა იციან, ამა წლის 6 იანვარს, საღამოს 8 საათზე, ლენინის ქუჩ. № 3 მოქ. შილა ჩიხლაძის ბინაზე რევოლვერით თავი მოიკლა ზემოდ დასახელებულ ჩიხლაძის ცოლმა ანნა ჩიხლაძემ.

მორიგე გამომძიებლის მიერ ეჭვით დაპატიმრებული იყო ქალის ქმარი შილა ჩიხლაძე.

ამ ხნის განმავლობაში სწარმოებდა საქმის გამოძიება. მოკლულს ჯიბეში აღმოაჩნდა წერილები, ერთი დედის სახელზე, მეორე ქმრის სახ-ზე. წერილებში ქალი სწერს, რომ მას მობეზრდა ცხოვრება, რომ მის სიკვდილში არავის ბრალი არ მიუძღვის და სხ. ასეთივე წერილები აღმოჩნდა ქალის ბლოკნოტში.

ხელთნაწერების სისწორე დაადასტურეს ქალის მშობლებმა და ნათესავებმა.

ექსპერტების მიერ მოხდენილმა გვამის განკვეთამაც დაადასტურა, რომ ამ შემთხვევაში ადგილი ჰქონდა თვითმკვლელობას.

გამოძიების მასალების მიხედვით, მოქ. შილა ჩიხლაძე ცნობილ იქნა უდანაშაულოთ და განთავისუფლდა.

შემთხვევები

გვამის პოვნა

გუშინწინ სისხლის სამართლის მილიციის თანამშრომლებმა ელბაქიძის დაღმართზე იპოვეს 40 წლის მამაკაცის გვამი.

საექიმო შემოწმებით გვამს ძალდატანებითი სიკვდილის ნიშნები არ ეტყობა.

გარდაცვალებულის ვინაობის გამოსარკვევად გვამი გადაიგზავნა ქალაქის პირველ საავადმყოფოს პროზექტურაში.

ჩხუბის დროს

გუშინ დილით თავისუფლების მოედანზე წაიჩხუბენ მოქ. ნიკოლოზ ისაევი და ოგანეს სარქისიანცი.,

ჩხუბის დროს მათ ვერ შემჩნიეს მოახლოებული ეტლი, რომელიც დაეჯახა მათ და ორივე მოჩხუბარი მსუბუქად დააშავა.

უბედური შემთხვევა

გუშინწინ დილით ტყის შესახვევში № 17-ში მოხდა შემდეგი უბედური შემთხვევა: მდგმური ნიკოლოზ საკიანცი და მისი და სირანუშ საკუენიანი აწყობდენ შეშას. მუშაობის დროს უეცრად ჩაინგრა იატაკი და ქვეშ მოიტანა და-ძმა. ორივე მსუბუქად დაშავდენ.,

ჯიბგირობა

გუშინწინ დილით სოფ. მატრყოფიდან ჩამოსულ პელაგია საქუსიშვილის ქალს კარლ მარქსის ხიდთან ვიღაც ჯიბგირმა ჯიბიდან ამოაცალა 78 მანეთი და მიიმალა.

პალტოების მოყვარული

სისხლის სამართლის მილიციამ დააპატიმრა მიხეილ ანტონის ძე ალლუაშვილი, რომელიც დაწესებულებებიდან იპარავდა პალტოებს.

ნაქურდალი პალტოების ნაწილი ნაპოვნია.

ნაქურდალი ნივთების პოვნა

სისხლის სამართლის მილიციამ აღმოაჩინა ნაქურდალი საოჯახო ნივთები. პატრონი უნდა გამოცხადდეს სს. მილიციაში, **ოთახი № 12,** კაპალიანთან.

ტრამვაიზე ქურდობის „სპეცები"

თბილისს ერთი ხანია ესტუმრა „სპეციალისტ" ჯიბგირების ერთი ჯგუფი, რომლის წევრები ჯიბგირობას ეწეოდენ უმთავრესად ტრამვაის ვაგონებში. ჯგუფში შედიოდა განთქმული ჯიბგირი ვაგანიტა ბაგაჯაკოვი, შაქრო ოსოყმაშვილი და მინჯა ალექსადრეს ასული კალინჯა. ერთი დღის განმავლობაში მათ მოახდინეს რამოდენიმე ქურდობა.

„გასტროლიორებმა" თბილისში ვერ მოახერხეს თავისი მოღვაწეობის განვითარება და ხელში ჩაუვარდენ სისხლის სამართლის მილიციის თანამშრომლებს.

რეციდივისტების დაპატიმრება

გუშინ, სისხლის სამართლის მილიციამ დააპატიმრა ცნობილი ქურდი-რეციდივისტი, ოგანეს ოგანესის ძე დანელიანცი, იბრაგიმ ჩაცულოვი, ტიგრან არტემის ძე ხაჩიანცი, რომან მოძლერიშვილი, სარქის მურადოვი და ივანე ალექსეევი.

ტრამვაის დაჯახება

კვირას, 8 იანვარს, დილით, მიმოსვლის ქუჩაზე ტრამვაის ვაგონი დაეჯახა ეტლს. მეეტლემ მოასწრო გადახტომა. ადამიანის მსხვერპლი არ ყოფილა.

გამოირკვა, რომ დაჯახება არ ყოფილა გამოწვეული ვატმანის დაუდევრობით.

ტრამვაის მოძრაობის შეფერხება

გუშინ, ნაშუადღევის 3 საათზე, ტრამვაის საჰაერო ხაზის დაზიანების გამო პლეხანოვის პროსპექტზე მოძრაობა შეწყდა 10 წუთით. სასწრაფოთ გამოიწვიეს ოსტატები ტრამვაის სახელოსნოდან და ხაზი შეაკეთეს.

ბავში ავტომობილის ქვეშ

შაბათს, 7 იანვარს, რუსთაველის პროსპექტზე, სასახლის პირდაპირ, ნახევრად მსუბუქმა ავტომობილმა დაეჯახა ვანია ხაჩატურის ძე ჯულგაკოვს (11 წლისა) და მძიმედ დააშავა.

ბავშს დაზიანებული აქვს თავი და პირის სახე.

გუშინწინ მილიციამ შოფერი დააპატიმრა.

ხელოვნება

სახელმწიფო აკადემიური ოპერა

„ჰუგენოტები"

ამ ოპერაში სამი მთავარი გარემოება იზიდავს ფართო მასას: თვით მუსიკა, ადვილად შესათვისებელია და შემკული მრავალი მომხიბლავი ადგილებით, ფართო ასპარეზი მომღერალთა ხმის გადაშლისათვის და ის საშინელი ისტორიული სინამდვილე, რომელიც ოპერის ლიბრეტოს შინაარსიდან ქმნის ყოვლად მოუგერიებელ იარაღს მეფურ წესწყობილების და ეკლესიის საზიზღარ როლის წინააღმდეგ მსოფლიოს ისტორიაში. ოპერის ლიბრეტოს მძლავრი საგიტაციო თვისება იბადება არა იმიტომ, რომ პერსონაჟების როლები არის საგიტაციოდ შემუშავებული, არამედ იმ ძალა-უნებურ კონტრასტებისაგან, რომელნიც ძალაუნებურადვე იპყრობენ მაყურებლის ფსიქიკას. ამ ფსიქიკაში საბოლოოდ იმარჯვებს სრული რეალობით წარმოდგენილი გარეგნული სილამაზე მეფური ფუფუნებისა კი არა, არამედ მძიმე შთაბეჭდილება და პროტესტი ამ სილამაზის ბოროტად გამოყენების წინააღმდეგ. თუ მივიღებთ მხედველობაში ზემოაღნიშნულს, ცხადია, რომ აკადემიური ოპერის დირექციამ „ჰუგენოტები"-ს პირველი დადგმა ფრიად შეაგვიანა, მით უმეტეს, რომ ამ დადგმისათვის არავითარი ახალი ხარჯების გაღება არ იყო საჭირო, და ფართო საზოგადოებამაც თავისი პროტესტი ამის წინააღმდეგ გამოაცხადა იმით, რომ გაავსო თეატრი დარბაზი, რასაც ადგილი არ ჰქონდა მრავალ სხვა პრემიერების დადგმის დროს.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, „ჰუგენოტები" წარმოადგენენ ერთგვარ გამოცდას ამსრულებელთა ვოკალურ ნიჭისა და საერთო მომზადებისა. თუ არ შევეხებით წვრილ და ეპიზოდიურ როლების ამსრულებლებს, საერთო შთაბეჭდილება ასეთია: საოპერო დასმა დამაკმაყოფილებლად ჩაატარა ოპერა, ანსამბლის დამრღვევ მომენტებს ადგილი არ ჰქონია, მაგრამ ცალკე პერსონალების მუსიკალური და ვოკალური თვისებანი გამოისახა სხვა და სხვა ნაირად. მაგალითად საუკეთესო მუსიკალობა და ვოკალობა გამოიჩინა დანელიანმა მარგარიტა დე-ვალუას როლში. ტიურენის მიდამოების სილამაზე ოპერის მეორე მოქმედებაში მან მოგვცა ისეთი ვოკალური აღსრულებით, რომ დაიმორჩილა მაყურებელთა თვალის ჩინი. საუკეთესო შთაბეჭდილებას სტოვებს აგრეთვე კრასნიცკაია პაჟი ურბანისა, როგორც ვოკალური, ისე სცენიური გადმოცემით. საუკეთესო ხმა აქვს სლივინსკაიას: ფართო და ძლიერი, მაგრამ ამ ხმის მშვენიერი თვისებანი შუა დიაპაზონში იმდენად მიაგავენ და უკავშირდებიან ორკესტრის ხის ინსტრუმენტებიდან შემდგარ ჯგუფს, რომ კარგავენ თავის ტემბრს და კვლავ ჰპოვებენ თავის სიმდიდრეს და სიფართოვეს ზემო დიაპაზონში. მცირე ნაკლი წარმოსდგება მხოლოდ ხმის ელფერის სიმდიდრიდან, რაც ფრიად იშვიათი მოვლენაა. ვალენტინა სენ-ბრის როლი მსახიობს აქვს მშვენივრად დამუშავებული და დიდ შთაბეჭდილებას სტოვებს იგი, როგორც ვოკალურად, ისე სცენიური გადმოცემის სინამდვილით ოპერის მეოთხე მოქმედებაში, სადაც მეიერბერი მთელი თავისი გენიალობით გვისახავს ბგერათა საშუალებით ტრაგიკულ ემოციონალურ განცდას სიყვარულისა (განთქმული დუეტი ვალენტინასი და რაულისა). მაგრამ სლივინსკაიას აქვს ერთი ფრიად შესამჩნევი ნაკლი, რომლის გამოსწორებას მან უნდა მიაქციოს მთელი თავისი ყურადღება—ეს არის შესამჩნევი დეტონაცია (კილოს უსწორობა) ხმის შუა და ქვემო დიაპაზონში სიმღერის დაწყების დროს, და რომელიც ხშირად ემჩნევა მძლავრ—ხმოვან მომღერლებს. ამ დეტონაციას ადგილი ჰქონდა მაგალითად დუეტში მარსელთან (მე-3 მოქმედება) და ცალკე ფრაზებში (მე-4 მოქმედება).

სწორედ ამისთანავე ნაკლი საერთოთ ემჩნევა მძლავრი და ფართო ხმის პატრონს, აგრანოვსკის რაულ დე ნანჟი,-ს როლის ვოკალურ აღსრულების დროს და ეს გარემოება ფრიად სამწუხაროა, ვინაიდან ეს უსწორობანი ხელს უშლიან იმ მშვენიერ აკუსტიურ შთაბეჭდილებას, რომელსაც ქმნის არტისტი ამ როლის მრავალ მომენტებში. თუ რომ სცენიური გადმოცემა მის მიერ რაულის როლისა წარმოადგენს ერთგვარ საკამათოს, ვოკალური მხარე მას აქვს შესანიშნავად მოფიქრებული და განხორციელებული, მეტადრე ოპერის პირველ მოქმედებაში. საუკეთესოდ შესრულა აგრანოვსკიმ რაულის პირველი არია—„ამბავი ძის სიყვარულისა", და „არ არის მისი ბოლო." არიის შესავალში, ვიოლ და ამურის (ალტის ჯიშის მაგვარია) ნაზი ხმის მაგივრად, ორკესტრიდან გაისმა რაღაც უცნაური ურმის თვალისებური ჭრიალი, რომელმაც კინაღამ არ გააფუჭა საერთო შთაბეჭდილება.

დიდის ყურადღებით მოვისმინეთ მსახიობი მესნიაევი მარსელის როლში, და უნდა ვსთქვათ, რომ იგი წარმოადგენს ფრიად სერიოზულ არტისტიულ ძალას, რომელიც თან და თან მიაქვს სრულიად განვითარებისაკენ. მისი მარსელი იმდენად რეალურია, რომ დრო გამოშვებით არტისტი იკარგება სცენიდან და მის მაგივრად წარმოსდგება სრული ილლიუზია ცოცხალ სინამდვილისა. მაგრამ ვურჩევთ მესნიევს, რომ მან მიაქციოს ყურადღება მარსელის როლის, ოპერის მე-3 მოქმედებაში აღსრულების დროს—კანტილენის (ხმის სასიამოვნოთ მოხმარების) მეტად გაფართოებას, ვინაიდან დუეტში ვალენტინასთან, ჩვენის აზრით (და არა სავალდებულოდ) მძლავრი ინტონაცია მოხმარებული უნდა იქნეს მხოლოდ სცენის სათავეში.

შარაშიძის (გრაფი დე-სენ-ბრი) შეფასებიდან ამ შემთხვევაში თავს შევიკავებთ, ვინაიდან, ჩვენის აზრით, ეს მსახიობი, მშვენიერი და მძლავრი ხმის პატრონი, ამ საღამოს იყო შეუძლოთ, რაც ემჩნეოდა თვით ხმის ტემბრს და რაც უშლიდა ხმის თავისუფალ გადაშლას. ეს აზრი მით უფრო მტკიცდება, რომ სცენიურად და ვოკალურად სენ-ბრის როლი მსახიობის მიერ მომზადებულად ჩაითვლება. ოპერას ლოტბარობდა ი. ფალიაშვილი.

გოგოი.

საქართველოს პროლეტარულ მწერალთა ყრილობა

ა. წ. 13 იანვარს საქ. პრ. მწ. ასოციაციის გამგეობა იწვევს საქ. პროლეტარულ მწერალთა მეორე ყრილობას.

ყრილობის დღის წესრიგი:

1. კულტურული რევოლიუცია და სოციალისტური აღმშენებლობა. მომხს. **მიხ. კახიანი.**
2. საქ. პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის გამგეობის ანგარიში. მომხს. **ბენ. ბუაჩიძე.**
3. პროლეტარულ მწერლობის შემოქმედებითი-მხატვრული პლატფორმის შესახებ. მომხს. **დ. რონდელი** და **შ. რადიანი.**
4. ამიერ-კავკასიის პროლეტარულ მწერალთა გაერთიანების შესახებ. მომხს. **ა. ვართანიანი.**
5. მიმდინარე საკითხები.
6. არჩევნები.

სამშაბათს, იანვრის 10-ს, პრ. მწერ. ასოციაციის გამგეობა ხელოვანთა სასახლეში (ქ. ჩაბლის ქ. № 13) საღამოს სრულ 6 საათზე, იწვევს თბილისში მცხოვრებ ქართველ პროლეტარულ მწერალთა საერთო კრებას. კრებას აუცილებელია დაესწრონ შემდეგი ამხ.: ამაღლობელი სერგო, ანაზარდი, აბულაძე სერგო, ანასთემა დოლიძე, ასლამაზაშვილი ნიკო, ახალკაცი პეტრე, ბაქრაძე იპოლიტე, ბაჯიაშვილი ალექსანდრე, ბობოხიძე კალე, ბუაჩიძე ბენიტო, ბუხნიკაშვილი გრიგოლ, ბზიაშვილი, გაჩეჩილაძე ანტონ, გედევანიშვილი ...სე, გამრეკელი, გვეტაძე იასონი, გულიაშვილი კოლია, დევაძე ლადო, დევაძე მიხეილ, დოლიძე სოლომონი, დუდუჩავა მურა, ერთაწმინდელი სეხმან, ეული სანდრო, ენუქიძე ევდოკიმ, კაკელი იონა, ზომლეთელი თოდრია, თალაკვაძე სევასტი, თალაკვაძე შაქრო, თოდრია სილიბისტრო, იტრიევი ნიკო, კალაძე კარლო, კელენჯერიძე გიორგი, კალაძე რაჟდენ, კანაშელი ჟორა, კაჭახიძე, ლეკიშვილი გიორგი, ლისაშვილი იაკინთე, ლომია პლატონ, ლორთქიფანიძე კონსტანტინე, ლურსმანიძე ვალერიანე, მამუკაშვილი შაქრო, მამულაიშვილი (გორელი) [illegible], ნავთლუღელი შაქრო, ნარიმანიშვილი მელიტონ, ნაროუშვილი ფრიდონ, [illegible] გრიშა, ნინოწმინდელი დავით, ოქროპირიძე არმენაკ, პოლუმორდვინოვი ელიზბარ, რადიანი შალვა, რამიშვილი კალისტრატე, რონდელი დ., სამსონიძე პეტრე, სალუქვაძე ვარდენი, სირაძე, სახოკია ირაკლი, სულავა ალექსანდრე, სულაძე ილარიონ, ფილდოსიშვილი კალე, ფიცხელაური ივანე, ფურცხვანიძე ევგენი, ქარიშხალიშვილი შალვა, ქვიტირელი ონისიმე, ქიქოძე პლატონ, ჯავშანიძე სერგო, ლოლობერიძე დავით, შინატეხელი გიორგი, ჩაჩიბაია არჩილ, ჩოდრიშვილი მიხეილ, ჩიქავაძე პანტელეიმონ, წვერავა სიმონ, ციმბირელი გოგიტო, ხელთუბლიშვილი იოანე, ხეთა გური ნიკოლოზი, ხელაშვილი, ხეჩუაშვილი გიგო, ხუხუნაიშვილი მირიან, ხიდისთაველი სიო, ხოშტარია ილია, ჯაბაური გიორგი, ჯაში უშანგი.

ხელოვნების ქრონიკა

ბათუმის აკადემიურ დრამაში

ბ. ლავრენევის პიესა („Разлом"—„გარღვევა") „ერიში"-ს სახელწოდებით ქართულ ენაზე პირველად წარმოდგენილი იქნება ბათუმის აკადემიური თეატრის სცენაზე ა.-წ. 11 იანვარს მთავარ რეჟისორის აკაკი ფაღავას დადგმით.

მთავარ როლებს ასრულებენ: ვ. ანჯაფარიძე (ტატიანა), კ. მაჭარაძე (გოდუნ), შ. ბეჟუაშვილი (ბერსენევი), მ. მესხიშვილი (ქსენია,) გ. გამრეკელი (უსპენსკი) ა. მაღლაკელიძე (პაულოლა).

დეკორაციები მხატვარ ირ. გამრეკელის (მეორე და მეოთხე აქტი) და დ. მირიანაშვილის (პირველი და მესამე აქტი) ესკიზებით. პიესა ნათარგმნია ა. კოლბის მიერ.

— სალიტერატურო კრება. დღეს, საღამოს, 7 საათზე განათლების მუშაკთა სახლში შესდგება სომხური ლიტერატურულ ასოციაციის საორგანიზაციო კრება.

— „დეზერტირკა". დღეს რუსთაველის თეატრში წარმოდგენილი იქნება „დეზერტირკა".

— ოპერის თეატრში დღეს წარმოდგენილი იქნება „სადკო".

მუშათა თეატრში რუსული დრამის მიერ დღეს წარმოდგენილი იქნება „ბ-ნ კორეს ხელობა".

— პროლეტარულ მწერალთა შორის. დღეს, საღამოს 4 საათზე, ხელოვნების სასახლეში შესდგება პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის გამგეობის სარევიზიო კომისიის სხდომა. უნდა დაესწრონ: კ. კალაძე, ნ. ასლამაზაშვილი, დ. რონდელი, კ. ფილდოსიშვილი და პაგრო.

— ჟურ. „მნათობი". მნათობის რედაქცია გადავიდა გაზ. „ახალი სოფელი"-ს ბინაზე (ვოლოდარსკის ქ. № 11). აქ მიიღება ჟურნალში დასაბეჭდი მასალები. ცნობები და შეხვედრა მოლაპარაკება რედაქციასთან ყოველ დღე, 12-დან 3 საათამდე.

ჭადრაკი

ტურნირი 1928 წლის პირველობაზე

პირველი ტური

კვირას, 7 იანვარს, მოჭადრაკეთა ცენტრალური კლუბის შენობაში გაიხსნა მოჭადრაკეთა მესამე ტურნირი 1928 წლის პირველობაზე. ტურნირში მონაწილეობენ: **ებრალიძე, მალუნცევი, საროკინი, ტალვიგი, კასპარიანი, მარტიროსოვი, კარლინსკი, გოგლიძე, დანილოვი და თარაიანი.** კენჭის ყრის შემდეგ მოხდა ტურნირის პირველი ტურის გათამაშება.

ებრალიძე — თარაიანი. (სიცილიური პარტია), ებრალიძემ დებიუტშივე მოიპოვა ერთგვარი უპირატესობა. შუა თამაშში მან გააკეთა სუსტი სვლა, რომელიც საშუალებას აძლევდა მოპირდაპირეს გამოესწორებინა მდგომარეობა, მაგრამ თარაიანმა ითამაშა პაიკის მოსაგებად, დაკარგა ხარისხი და რამდენიმე სვლის შემდეგ დანებდა ებრალიძეს.

მალუნცევი — დანილოვი. (სიცილიური პარტია), დასაწყისში შავების მდგომარეობა უკეთესი იყო, მაგრამ მალე დაკარგეს უპირატესობა. დანილოვმა ვერ შეამჩნია მოპირდაპირის მხედრის დროებით შეწირვა. თავდაუცველ მეფეზე თეთრებმა მიიტანეს ძლიერი იერიში. შამათის (მატის) აუცილებლობის გამო დანილოვი დანებდა მოპირდაპირეს.

საროკინი — გოგლიძე. (ინდიური დაცვა). დებიუტი კარგათ გაითამაშა საროკინმა, მაგრამ მეფის ფლანგის განვითარების მაგივრად იგი შეეცადა გაემარტოებინა მოპირდაპირის პაიკი, რის გამო ჩავარდა მძიმე მდგომარეობაში. ამით ისარგებლა გოგლიძემ, შესწირა ხარისხი და პარტია გაათამაშა იერიშით მოპირდაპირის პაიკებზე. საროკინმა გააკეთა მთელი რიგი სუსტი სვლები, მოემწყვდა საშამათო ჩიხში და დანებდა მოპირდაპირეს.

ტალვიგი — კარლინსკი. (სიცილიური პარტია), ტალვიგმა ჯეროვანად ვერ შეაფასა თავისი მოპირდაპირე. პარტია ცუდათ განვითარდა. კარლინსკიმ მოპირდაპირეს შემთხვევით დაუყენა ფიგურა და წააგო.

კასპარიანი — მარტიროსოვი (ლაზიერის პაიკების დებიუტი), თეთრებმა ვერ ისარგებლეს შავების მძიმე მდგომარეობით, ითამაშეს სუსტად და წააგეს ხარისხი. კასპარიანი დანებდა მოპირდაპირეს.

ტურნირის პირველი ტური საინტერესო იყო მით, რომ არც ერთი პარტია უშედეგოთ არ დასრულებულა.

ვ.

ავიაქიმში

გაზების საწინააღმდეგო ნიღაბი

თავდაცვა-ავიაქიმის საზოგადოების საჰაერო-ქიმიურ სექციის მიერ შემუშავებულია გაზების საწინააღმდეგო ახალი ნიღაბის გეგმა. ნიღაბები დამზადებული იქნება 1928 წლის თებერვლისათვის. ახალი ტიპის ნიღაბები მარტივი, გამძლე და ამავე დროს იაფ-ფასიანია.

პროგრამა სამხ. ცოდნის წრეებისათვის

თავდაცვა-ავიაქიმის ცენტრ. საბჭოს მიერ შემუშავებული და დაგზავნილია ადგილებზე სამხედრო ცოდნის წრეების პროგრამა, ნაცვლად ძველი 4-თვიანი პროგრამისა.

ავიაქიმის კუთხეები

თბილისის „ზაკკნიგა"-ს წიგნის მაღაზიამ მიიღო მოსკოვიდან „ავიაქიმის კუთხეები", სადაც არის ყველა საჭირო მასალა ავიაქიმის კუთხეების მოსაწყობად ქოხ-სამკითხველოში, წითელ კუთხეში და კლუბებში.

ახალი წიგნები

საქ. თავდაცვა-ავიაქიმი სახელგამთან შეთანხმებით მოკლე ხანში გამოსცემს ქართულ ენაზე ლიტერატურას თავდაცვა-ავიაქიმის წრეებისათვის. გამოცემულ იქნება აგრეთვე სახელმძღვანელო მასალები.

რკინისგზაზე

შემთხვევა ძირულა-შორაპნის გადასარბენზე

7 იანვარს ბათომისაკენ მიმავალ საქონლის მატარებლის ერთ-ერთი ცისტერნა ძირულა-შორაპნის შუა ძალზე დამუხრუჭეს; ცისტერნამ ამ მდგომარეობაში გაიარა საკმაოდ დიდი მანძილი. ძლიერი დამუხრუჭების გამო ბორბლის გარსს ამოტყდა ერთ-ნახევარი დიუიმის მოცულობის ლითონის ნაფლეთი.

მუხრუჭის მოშვების შემდეგ, როდესაც ბორბლები დატრიალდენ, დაზიანებული ბორბალი დაეცა რა ძლიერად რელსს, გადავარდა ლიანდაგიდან; ამ მდგომარეობაში მატარებელმა გაიარა ორ საჟენამდე.

სადგ. შორაპანში მისვლისას, ცისტერნა დაზიანებული ბორბლით შესასვლელ ისარზე გადავარდა ლიანდაგიდან და დაიკავა ყველა ხაზები. მატარებლების მოძრაობა შესწყდა.

ადამიანთა მსხვერპლი არ ყოფილა.

კომისიის გამგზავრება

ა.-კ. რკ. გზ. გამგეობამ მოსკოვში გაგზავნა სპეციალური კომისია, გამგეობის წევრების ინჟ. **ბერიძის, ტერ-მიქაელიანის** და საფინანსო განყოფილების უფროსის თანაშემწის **ა. ნუროვის** შემადგენლობით.

კომისიის გაგზავნის მიზანია ა.-კ. რკინისგზებისათვის ფინანსების მიწოდების გადიდება და აუცილებელ საჭიროების მუშაობების წარმოების ნებართვის მიღება.

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

დადგენილება № 21

საქართველოს ს.ს.რ. შრომის სახალხო კომისარიატისა

1927 წლის დეკ. „27"

„საბეჭდ მანქანაზე მომუშავეთა შრომის პირობების შესახებ".

იმ მიზნით, რათა მოწესრიგებულ იქნეს საბეჭდ მანქანაზე მომუშავეთა შრომის პირობები, საქართველოს სსრ შრომის სახ. კომისარიატი ადგენს:

დაევალოს ყველა სახელმწიფო, საზოგადო, სამხედრო და კერძო წარმოება-დაწესებულებას და მეურნეობას, რომელიც კი საბეჭდ მანქანაზე მომუშავეთა შრომით სარგებლობს:

1. იქონიოს საბეჭდ მანქანებისათვის რაციონალურად მოწყობილი მაგიდები.

შენიშვნა: მაგიდის რაციონალურად მოწყობის პირობებში, როგორც სავალდებულო, შედის: ა) სიმაგრე და სიმკვრივე, რომელიც მანქანაზე ბეჭდვის დროს რხევის მინიმუმს იძლევა, ბ) სიმაღლე 70 სანტიმეტრზე არაუმეტესი, მასთან ამ სიმაღლეში შედის ხმაურობის შესუსტების მიზნით მანქანის ქვეშ დასაფენი და მაგიდის ფეხქვეშ დასადგომი და სხვა სისქე, აგრეთვე მანქანის დაფის სისქე, სადაც ასეთი იქნება და გ) იატაკიდან მაგიდის წინა „ცარგი"-ს ქვედა მხარემდე მანძილი 59 სანტიმ. არანაკლები.

2. სავალდებულოთ შემოღებულ იქნეს ქეჩის დაფენა მანქანის ქვეშ, რომელიც შეძლებისდაგვარად უნდა იქნეს მოხსნილი დაფიდან. იმ შემთხვევაში, როდესაც ტექნიკურ პირობების გამო მანქანა მიმაგრებულ რჩება დაფაზე—ქეჩა არავითარ შემთხვევაში დაფაზე ნაკლები ზომისა არ უნდა იყოს.

3. თვითეულ მანქანაზე მომუშავეს უნდა ჰქონდეს ფეხქვეშ მისადგმელი დაფა.

4. საჯდომი ადგილის სიმაღლე უნდა რაციონალიზაციაქმნილ იქნეს ამ სკამების ცვალადი სიმაღლით (სასურველია ზურგის სიმაღლით) ან უკვე არსებულ სკამების ფეხების სიმაღლის შეცვლის გზით, იმ ვარაუდით, რომ მომუშავე მემანქანის ხელის ქვედა ნაწილი (წინამხარი) დაყენების დროს ჰორიზონტალურად იდგეს საკრის—(კლავიშების) შუა რეგისტრამდე.

5. თვითეული მემანქანის ადგილი უნდა შემაგრებულ იქნეს პიუპიტრით (საჭერით) მანქანის წინ ორიგინალების მოსათავსებლად.

6. იმ შემთხვევაში, თუ ბიუროში 5 მემანქანეზე მეტი რიცხვია, ხმაურობასთან ბრძოლის მიზნით მთელი მაგიდის ზედა პირი აუცილებლად უნდა დაფარული იქნეს ქეჩით, იმ ნაწილის გამოკლებით, რომელიც მომუშავეს ფანქრით შენიშვნათა აღსანიშნავად ესაჭიროება.

შენიშვნა: უფრო მიზანშეწონილია, როდესაც ამ მიზნისათვის არის სპეციალურად მოძრავი დაფა.

მტვერის დაგროვების თავიდან ასაცილებლად ქეჩა ზემოდან უნდა იქნეს გადაკრული ნარმით, რომლის ჭიმულობა არ უნდა იყოს მაგარი. ამავე მიზნით საჭიროა ცდა იმისა, რომ მაგიდის თავისუფალი ზედაპირი შეძლების დაგვარად ნაკლები ზომისა იყოს.

7. ბიუროში, 10 კაცზე მეტი რიცხვით, ხმაურობის შესანელებელ ზომათ ითვლება კედლების და იატაკის დაფარვა, ჭერის ზედაპირის 2 სანტიმეტრის დაშორებით უნდა დაჭიმულ იქნეს ნარმა. კედლების დაფარვა სწარმოებს ნარმის ორი ფენით. პირველი (შინაგანი) თავისუფლად იშვება ლავგარდანიდან (კარნიზიდან) 2 სანტიმეტრის სისქის ფირფიტა, ხოლო მეორე გარეგანი მაგრად დაჭიმულია ორ ფირფიტა-ლავგარდანს შორის კედლიდან 4 სანტიმეტრის დაშორებით.

8. ჰიგიენის მიზნით (წვეთოვანი ინფექციის თავიდან ასაცილებლად) აკრძალულია ორი მომუშავის ერთმანეთთან პირდაპირ ჯდომა 2 მეტრის მანძილზე ნაკლები სიახლოვით (თუ ასეთი ტექნიკურად შესაძლებელია).

9. მანქანაზე ბეჭდვის დროს რხევის მოქმედების მავნებლობის შემცირების მიზნით აკრძალულია—მაგიდაზე—ერთ მანქანაზე მეტის მოთავსება.

10. მანქანაზე სწერ ბიუროს საჭიროებისათვის, სადაც შესაძლებელი იქნება, ბინის არჩევის დროს საჭიროა შემდეგი ნორმით ხელმძღვანელობა: ჰაერის კუბატურა 16 კუბ. მეტრზე არა ნაკლები მანქანაზე თვითეულ მომუშავისათვის, საკმაო ვენტილაციის პირობებში. ფანჯრების შუქის ზედაპირის დამოკიდებულება იატაკის ფართობთან შეფარდებით 1:5 ნაკლები არ უნდა იყოს (უკეთუ ოთახის სიღრმე 6 მეტრზე მეტი არ არის). დღის შუქი მანქანაზე მომუშავეთათვის უნდა იყოს მარცხნივ მხარეს. ხელოვნური განათება უნდა გამონაკლისებულ იქნეს თვითეულ ადგილისათვის 60 ლუქსით.

11. დაწესებულ იქნეს მანქანაზე მომუშავეთათვის სპეც-ხალათი 2 ცალი წელიწადში.

საქ. სსრ შრომის სახკომის მოადგილე: **ეილიძე.**

შრომის დაცვის განყოფილების გამგე: **ელბაქიანი.**

შეთანხმებულია: სახსაბჭოსთან: **გ. ყურულაშვილი.**

ფეხბურთი

„დინამო—ა"—„ავტოკლუბი"

კვირას, 8 იანვარს, „დინამო"-ს სტადიონზე გაიმართა უკანასკნელი კალენდარული შეჯიბრები პირველი კატეგორიის გუნდებს შორის.

პირველ მატჩში ერთმანეთს შეხვდენ „დინამო პირველი" და „ავტო-კლუბი". ეს უკანასკნელი ძალზე სუსტი მოწინააღმდეგე აღმოჩნდა „ბრძოლაში" გამობრძმედილ დინამოსათვის. შეჯიბრი დამთავრდა 5:1 „დინამო"-ს სასარგებლოდ.

„არსენალი"—„შტურმი"

უფრო საინტერესო გამოდგა მეორე მატჩი „არსენალსა" და „შტურმს" შორის. „შტურმის" ახალგაზრდა მოთამაშეებმა დაამტკიცეს, რომ მათი სახით ძლიერი მოწინააღმდეგე ყავს თბილისის ყველა გუნდებს.

შეჯიბრი დამთავრდა 4:3 „შტურმის" სასარგებლოდ.

რადიო-გადაცემა

სამშაბათი, 10 იანვარი

დღეს, 10 იანვარს, საქართველოს პროფსაბჭოსთან არსებულ რადიო-სტუდიიდან გადაცემული იქნება:

მოხსენება: კოლექტიური მეურნეობანი სოფლად—ქართულ ენაზე.

მოხსენება: ლენინური ხაზის დაცვისათვის სამეურნეო პოლიტიკაში—რუსულ ენაზე.

წითელარმიელთა გაზეთი—ქართულ და რუსულ ენებზე.

სამრეწველო საქონლის და სურსათ-სანოვაგის ბაზრის მდგომარეობა თბილისში—ქართულ და თურქულ ენებზე.

გაზეთი „პროლეტარი"—სომხურ ენაზე.

ობსერვატორიის ცნობები—ქართულ, რუსულ, სომხურ და თურქულ ენებზე.

მუსიკის ახსნა-განმარტება.

კონცერტი რადიო-სტუდიიდან.

ტექნიკური კონსულტაცია.

ა.-კ. დეპეშათა სააგენტოს ინფორმაცია—ქართულ, რუსულ, სომხურ და თურქულ ენებზე.

შრომის ბირჟაში

თბილისის შრომის ბირჟასთან არსებული მედიცინის მუშაკთა სექცია, უმუშევართა საყურადღებოთ აცხადებს, რომ მიღებულია მოთხოვნილება საქართველოს სხვადასხვა მაზრებში ექიმებისა და მედიცინის დაბალ მუშაკებზე.

თელავის მაზრაში—ექიმი (გინეკოლოგი) ჯამაგირი 110 მან.; სასანიტარო სამოსამართლო ექიმი—ჯამაგირი 150 მან.; სოფ. ყვარელში—ბებია, ჯამაგირი 45 მ.; ექიმი ენისელის საექიმო პუნქტზე—ჯამაგირი—110 მ. სადგ. „წრომა"-ში საჭიროა ექიმი 110 მ. ჯამაგირით.

დუშეთის მაზრაში: დ. ფასანაურში ექიმი—ჯამაგირი 125 მ., ექიმის თანაშემწე ანანაურში—50 მანეთი, ექიმის თანაშემწე მლეთში—ჯამაგირი 50 მანეთი. (ბინა, გათბობა და განათება), მოწყალების და დუშეთის საავადმყოფოში—ჯამაგირი 31 მ. 80 კაპ. მაღაროს კარში ექიმის თანაშემწე—70 მ.

სიღნაღის მაზრაში: ექიმი ზაისუბანში—ჯამაგირი 150 მანეთი, (უფასო ბინა). წნორში—ექიმი, ჯამაგირი 80 მანეთი, მირზაანში ექიმი ჯამაგირი 90 მანეთი. დოსტაქარი სიღნაღის საავადმყოფოში—ჯამაგირი შეთანხმებით. სოფ. [illegible], ექიმის თანაშემწე 42—80 კაპ. [illegible]—ექიმის თანაშემწე, ჯამაგირი 42—80 კაპ. [illegible]—ექიმის თანაშემწე—70 მ. სოფ. კაკაბეთში ბებია, ექიმის თანაშემწე ჯამაგირი—42—80 კაპ.

ბორჩალოს მაზრაში: ჯანმრთელობის ინსპექტორი—ჯამაგირი 148 მ., ბაშკიჩეთში ექიმი-[illegible] 164 მ. სარვანის საექიმო პუნქტში—ექიმის თანაშემწე ბებია—ჯამაგირი 60 მანეთი, [illegible]—ბილისი ექიმი, ჯამაგირი 104 მანეთი. [illegible] საექიმო პუნქტზე—ბებია-ჯამაგირი 60 მანეთი.

ზაქათალაში ექიმი ჯამაგირი 120 მანეთი.

ხონის მაზრაში: [illegible], ექიმი ჯამაგირი 125 მ. ს. სამიქაოში ექიმი, ჯამაგირი 125 მანეთი. ქ. სენაკში ექიმი ვენეროლოგი ჯამაგირი 110 მანეთი.

მსურველებმა უნდა მიმართონ მედსექციაში ამხ. გოგიშვილს.

დღეს სამუშაოზე იგზავნებიან: კვალიფიციურ მუშათა პირველი სექციიდან: დიმიტრი ბალაევი, არსენა მნაცაკანოვი, რუბენ აირაპეტოვი, რუსანა კალმახაროვა, ლევან ტერიევი, ვასილ ილინინი, ილარიონ თომაშვილი და იაგორ არაქელოვი.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

დღეს, 10 იანვარს დღის 1 საათზე საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის აგიტპროპ-მუშაკის ცენტრალურ კაბინეტში შესდგება სააგიტაციო სექციის გაფართოებული სხდომა, მომხსენებლებისა და რაიკომის სააგიტაციო საპროპაგანდო გან-ბათა გამგეების მონაწილეობით. სხდომა შესდგება უჯრედებში მე-15 პარტყრილობის გადაწყვეტილებათა დამუშავების მეთოდის შესახებ.

ქვემოდ დასახელებულ ამხანაგების დასწრება სავალდებულოა:

ზედდო, ადამიანი, სოსიანი, კ. მახარაძე, მაქსიმოვი, ბოლოტნიკოვი, ვინტინა, ტარასოვი, სტურუა (ამ.-კავ. საოლქო კომიტეტი) სუტირინი, ლისოვსკი, აზარიაშვილი, სნეგირევი, გულფიანი, იონოვი, ვეინგერი, მუსელიანი, ალაგარდიანი, პოდოლსკი (ამ.-კ. საოლქო კომიტეტი), პაპაჯანოვი (ამ.-კ. პროფსაბჭო), ხითაროვი, ტალახაძე, ბუჯრეევი, იმედაძე, მთვარელიძე, პოლოსოვი, აფციაური, რახმანინ, პაისეცკი, ფესიუკი, ათობეკოვი, ვირძი, შერპელი, ვანეციანი, მგალობლიშვილი, კაკაბაძე, სამსონ მამულია, ციხელაშვილი, კორელიძე, გეგეჭკორი, ნუცუბიძე, ავაკოვი, სანდუხაროვი, მინასიანი და სტ. აკოპოვი.

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრ. საკონტროლო კომისია ატყობინებს ამხ. გრიგოლ გოგოტიშვილს გამოცხადდეს ხვალ, 11 იანვარს, დილის 10 საათზე საქ. კ. პ. (ბ) ცენტრ. საკონტროლო კომისიაში (რუსთაველის პროსპ. 24, მესამე სართული, ოთახი № 11).

საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის არსრაიკომის სააგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილება იტყობინება, რომ დღეს, 10 იანვარს, საღამოს 6 საათზე ტრამვაის მუშათა კლუბში მოწვეულია რაიონის უჯრედთა ჯგუფური კრება.

დღის წესრიგშია: ამხ. ქართველიშვილის მოხსენება—საკ. კომპარტიის (ბ) მე-15 ყრილობის შედეგების შესახებ.

უჯრედები იკრიბებიან თანახმად რაიკომის მიმართვისა.

დღეს, 10 იანვარს, საღამოს 6 საათზე აგიტპროპმუშაკის ცენტრ. კაბინეტში შესდგება უმაღლეს საბჭოთა პარტსკოლის ხელმძღვანელთა თათბირი მე-15 პარტყრილობის თეზისების დასამუშავებლად.

ხელმძღვანელთა დასწრება აუცილებელია.

სახ. უნივერსიტეტის აგრონომიულ ფაკულტეტის კომპარტია და კომკავშირის უჯრედთა გაერთიანებული სხდომა შესდგება დღეს. 10 იანვარს, დღის 1 საათზე.

წევრ-კანდიდატთა დასწრება სავალდებულოა.

საქ. ალ. კ. კ. თბილისის ორგანიზაციის ქალაქის რაიკომი იტყობინება, რომ დღეს. 10 იანვარს. საღამოს 5 საათზე ამ.-კავ. კომუნისტურ უნივერსიტეტის შენობაში გაიხსნება საქ. ალ. ლ. კ. კ. თბილისის ორგანიზაციის ქალაქის რაიონის მე-10 კონფერენცია.

ღრმად დამწუხრებული მეუღლე შილა ჩიხლაძე აუწყებს ნათესავებს, ამხანაგებს და ნაცნობებ, ძვირფასი და დაუვიწყარი

ანიჩკა ჩიხლაძის

ტრაგიკულად გარდაცვალებას. გამოსვენება მოხდება 11 იანვარს, თავის ბინიდან ლენინის ქ. № 3. ნაშუადღევის 4 საათზე.

2—1 1033

მეუღლე, მშობლები, ნათესავები და მეგობრები ამით აუწყებენ ნაცნობ-ნათესავებს, რომ სამშაბათს, 10 იანვარს, საღამოს 6 საათზე და ოთხშაბათს, ნაშუადღევის 3 საათზე დანიშნულია

ანიჩკა მეჩიტოვა-ჩიხლაძის

სამოქალაქო პანაშვიდი, ლენინის ქ. № 3, მეჩიტოვის ბინაზე.

2—1 1034

მწუხარებით გულმოკლული დედა მართა პეტრეს ასული მეჩიტოვისა შვილებით: გიორგი, ალექსანდრე, არმენაკი, სერგო, აგრაფინი და რძლებით: ოლღა, კლეოპატრა, ლიუბა, კლავდია და ტასია; ქალიშვილი ასია, და სიძე არკადი კუპატაშვილით აუწყებენ ნათესავებს, მეგობრებს და ნაცნობთ ძვირფას და დაუვიწყარ

ანიჩკა ჩიხლაძის (მეჩიტოვისას)

ტრაგიკულად და უდროოდ გარდაცვალებას. სამოქალაქო პანაშვიდი დღეს, საღამოს 6 საათზე (ბინაზე). გამოსვენება ოთხშაბათს, 11 იანვარს, დღის 4 საათზე, ლენინის ქ. № 3 ვერის ახალ სასაფლაოზე.

1031

ღრმად და წუხრებულნი მეგობრები და ამხანაგები: რომან კუპრავა, საშა შავგულიძე, სიმონიკა ხოშტარია, ირაკლი შოთაძე, ვანიჩკა კობახიძე, კონდრატი მაღარუკი, თეოფანე ეჯიბია, ვოლოდია ოსეპჩუკი, აკაკი ლომაია, და ვარლამ ციბაძე აუწყებენ მეგობრებს და ნაცნობ-ნათესავებს ძვირფასი მეგობრის

ანიჩკა მეჩიტოვა-ჩიხლაძის

ტრაგიკულად გარდაცვალებას.

1038

ღრმა მწუხარებაში მყოფნი შვილები: ივანე და თედორე მაქსიმეძენი, ნინა და ოლია მაქსიმეს ასულნი; რძლები: ევგენია დიმიტრის ასული, მაშო თედორეს ასული და თამარა ზაქარიას ასული; შვილიშვილები: თამარი, ქეთო, დათო, მიტუშა და თამაზი ბოკერიები და ქორა ჩიტაია, სიძე ვიქტორ დიმიტრის-ძე კუპრაძე აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობრებს, რომ ქ. თბილისში, პარასკევს, 6 იანვარს, ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათი დაუვიწყარი

ქასიანე თედორეს ასული

ბოკერიასი

პანაშვიდი ყოველდღე საღამოს 6 საათზე. გოგოლის ქ. № 61. დაკრძალვა, ხუთშაბათს 12 იანვარს, ნაშუადღევის $3\frac{1}{2}$ ს. გამოსვენება გოგოლის ქ. № 61-დან დასაფლავება კუკიის სასაფლაოზე.

ნ. ე. 2—1

ღრმად დამწუხრებულნი: მშობლები—მამა სვიმონ, დედა ნატალია, ძმა სოკრატი, და თამარა, სიძე მიხეილ გორბკოვი, ბებია კეკე კოპაძისა აუწყებენ ნათესავებსა და ნაცნობებს, რომ

ვალოდია (ლადო) სვიმონის-ძე

გაგლოძის

გარდაცვალებიდან ოთხი წლის შესრულების გამო, ქ. ხაშურში ძმათა სასაფლაოზე (გორაზე), სამშაბათს, 10 იანვარს, დღის 12 საათზე გადახდილი იქნება სამოქალაქო პანაშვიდი. 1042

გულდათუთქულნი მეუღლე ალექსანდრე; შვილები: პარმენი, ტარუსია, ვალოდია, დათიკო, კოლია, ვერა და ქსენია; რძლები: ცუცუ, მაშა, ია და ირა; შვილიშვილები: მაკვალა, ოთარი, ნათელა, ცქრიალა, მზია ნანა და გილო ხანიკიშვილები; ძმა: აპოლონ კახიანი აუწყებენ ნათესავთ და მეგობართ მათთვის უძვირფასეს ადამიანის და ტკბილ დედიკოს

თეო. კახიანის ასული

ნანეიშვილის

ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ დაკარგვას. დაკრძალვა მოხდება ქ. სამტრედიაში ხუთშაბათს, 12 იანვარს, ნაშუადღევის 2 საათზე. გამოსვენება ორპირის ქუჩა № 27. ნ. 455

ინა სტეფანეს ასული სტაროსელსკაია-ზარაფიშვილი ქმრით მიხეილ იულის-ძე სტაროსელსკით და ქალიშვილი რუსიკათი აუწყებს ნათესავთ, მეგობრებს და ნაცნობთ, რომ კვირას, 8 იანვარს, დილის 4 საათზე გარდაიცვალა მისი უსაყვარლესი და დაუვიწყარი დედა

ალექსანდრა ნიკოლოზის ასული

ზარაფოვა

გამოსვენება მოხდება 11 იანვარს, ნაშუადღევის 4 საათზე, დავიდოვის შესახვევი № 6-დან (ფუნიკულიორის ქვევითა ს. დგურთან) დაკრძალვა ვერის ახალ სასაფლაოზე. პანაშვიდი სამშაბათს, 10 იანვარს, გასვენებულის ბინაზე საღამოს 6 საათზე. 1032

ღრმა მწუხარებაში მყოფნი მშობლები: ერასტი სიმონის ძე და ოლღა კონსტანტინეს ასული თუთბერიძეები, ძმები: ქორეკა ზურაბი და ავთანდილი, დები და სიძეები: რუსუდან და გრიგოლ ლაღიძე, მერი და შალვა ცქიტიშვილი, ბიძები: გიორგი და გალაქტიონ თუთბერიძეები, ვიქტორ და ნადია მარჯანიშვილები, დეიდა ნანო ქმრით—ვასო ამაშუკელი აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ 9 იანვარს დილის 6 საათზე უდროოდ გარდაიცვალა მათთვის დაუვიწყარი და საყვარელი

თამარ ერასტის ასული

თუთბერიძე

ცხედარი გამოსვენებულ იქნება ხუთშაბათს, 12 იანვარს, ნაშუადღევის 3 საათზე საკუთარი სახლიდან—ქალ. ქუთაისში ყაზბეგის ქუჩა № 41.

1041



კანდელაკი და მგელაძე—„Труд и Знание" — (რუსული ენის სახელმძღვანელო ტექნიკუმებისა და მუშფაკებისათვის) ფასი 2 მან.

ს. ოცხელი და პ. ჭუმბურიძე—„მათემატიკური ამოცანები", (სახელმძღვანელო შრომის სკოლის მესამე ჯგუფისათვის) გვ. 88. ფასი 60 კაპ.

გ. ჯანაშვილი—„საქართ. ეკონომ. გეოგრაფია". (სახელმძღ. ცხრაწლედებ., ტექნიკ. და მუშფაკ.) გვ. 285 ტაბულა ფასი 2 მ.

ნ. 429

25—5

„კომუნისტი"-ს
მთავარ კანტორისაგან
ის კონტრაგენტი
რომელიც თვის ბოლოს არ გაუსწორებს ანგარიშს გაზ. „კომუნისტი"-ს მთავარ კანტორას ყოველ მიზეზის გარეშე
მოიხსნება სამუშაოდან
„კომუნისტი"-ს მთავარი კანტორა
3—2

აპოლო სოლეი
დღეგის მეორე კვირა
მსოფლიო მხატვრული სურათი
„ვარიეტე"
მთავარ როლებში:
ლია-დე-პუტი და ემილ იანინგსი
რეჟისორი დიუპონი

არტისტო
„სპიდ"
1 და 2 სერია ერთად
ყოველ დღე
ანშლაგები

ფარნავაზი
იგორ ილინსკი
სეზონის საუკეთესო სურათში
„ფინჯანი ჩაი"

ანონსი: საქართ. სახკინმრეწვის ახალი სურათი „მთის კანონი"

წინადადება ეძლევა
ხაშურის ყოფილ კონტრაგენტს
ვლადიმერ დავითის-ძე ქარსანიძეს
ოთხი დღის განმავლობაში გამოცხადდეს გაზ. „კომუნისტი"-ს მთავარ კანტორაში (რუსთაველის პრ. № 34) ანგარიშების გასასწორებლად. წინაღმდეგ შემთხვევაში მიღებულ იქნება სათანადო ზომები
0—2 გაზ. „კომუნისტი"-ს მთავარი კანტორა

ცირკი
„კოლოსი"
ტელ. 8—64

სამშაბათს 10 იანვარს
გრანდიოზული საღამო
იუმორისა, სატირისა და პაროდიის დამსახ. არტ. მ. ტანტები
რეპერტუარის ახალი ნომრები. ლილი ტანტი დაფრინავს დონატოსთან ერთად
პირველად კლოუნ ადის კომიკური გამოსვლა
დონატო და ჯაკი და სხვა ახალი ნომრები
ადგილების ფასი ჩვეულებრივია
სალარო უწყვეტლად ღიაა 12 საათიდან
ნ 454 1—1

კულტურულ მუშაკების საყურადღებოთ

სუსტი დენის ელექტრო-ტექნიკური ტრესტის (გეტ) ქარხნებმა გამოუშვეს მოძრავი რადიო-აპარატები ორ ჩემოდანში. პორტატივობის, სიჩქარის და ჩქარა დადგმის შესაძლებლობის გამო ისინი მეტად მოსახერხებელია სოფლად კულტურულ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად. ფასი 310 მანეთი. ბიუჯეტურ შემსყიდველებისათვის ფასდაკლებით. შეკვეთებისათვის მიმართეთ—ლენინგრადი, ქ. ლიგოვის ქუჩა № 9, მოსკოვი—მილიუტინის შესახვევი № 10. ხარკოვი—კოროლენკოსკი, № 9 და აგრეთვე სახელმწიფო ელექტრო-ტექნიკური ტრესტის (გეტ) ყველა განყოფილებებს და „გოსშვეიმაშინა"-ს მაღაზიებს.

ნ. 453

ქუთაისის 1 უბნის სასამართლოს აღმასრულებელი
ს. ბოჭორიშვილი

ამით აცხადებს, რომ ქ. ქუთაისში ჯ. ფარიძის ქუჩაზე სახლი № 6 დანიშნულია 16 იანვარს 1928 წ. დილის 10 საათზე მეორე **საჯარო ვაჭრობით** გაყიდვა ლიზა კიკიაშვილის შენობის, რომელიც შეიცავს ერთ ორსართულიან შერეული მასალისაგან გაკეთებულ სახლს, რომლის ქვედა სართული შესდგება ოთხი ოთახისაგან და ზედა ექვსი ოთახისაგან ორი სამზარეულოთი და ერთი საწყობით, შეფასებული 1500 მან. საჯარო ვაჭრობა დაიწყება შეფასებული თანხიდან ან იმ თანხიდან, რაც დასახელებული იქნება მოვაჭრეთაგან სოლომონ და ეფრემ ციკიაშვილების ძიების დასაკმაყოფილებლათ, ვისაც სურს საჯარო ვაჭრობაში მონაწილეობის მიღება, უნდა წარმოადგინოს ცნობები აღნიშნული 311 მუხ. სამ. საპ. კოდ. და შენობის ღირებულების 10% საწინდარი. ნ. 456

ქვანახშირის
ბრიკეტებს,
შეშაზე უკეთესს
— და —
უფრო იაფს
ჰყიდის სახლში მიტანით
ს.მ.უ. საბჭოს სათბო ტრესტი (კუმკინის ქუჩა № 3, ტელ. 1—76).
ნ. 458 2—1

მიხეილ გედევანიშვილის
სახელობის
სამკურნალო
საწოლებით
ელექტრონით და სინათლით სამკურნალო კაბინეტი
ნერვიულ და აგრეთვე იმ ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ. მიღება 2—3და 6—8 საათ. თბილისი, [illegible] ქ., № 20 25—1

მედიც. დოქტორი
გ. ა. ახვერდოვი
ვენერიული ავადმყოფობანი და სიფილისი.
დილით 9—12 ს., საღამ. 6—8 საათზე, პლეხანოვის პროსპექტი № 7, (შესავალი კუთხიდან ნარიყალის ქ. № 1.) 25—1

ექიმი
ა. დ. კეკელია
სიფილისი, ვენერიულ და კანის სნეულება.
მიღება 8—12 დილ. 7—8 საღამ. პლეხანოვის პრ. № 116. სატრამვაო „ნ ო ე"-ს პირდაპირ ტელ. 12—5

ექიმი
პ. ი. მგალობლიშვილი
სპეციალობა: კანის და ვენერიული დაავადებანი ათაშანგი. ავადმყოფების მიღება: დილით 8—9 საღამოთი 5—7 ს. ლენინის ქუჩ. № 3. (ყ. მელიქ-აზარიანცის სახლი) ბინა № 2. 25—1

ექიმი
ქ. ს. ფონ-ირტელი
პლეხანოვის პროსპ. № 10
სპეციალურად მკურნალობს საშარდე, სქესობრივ (სქესობრივი უძლურება, ნერვიული სისუსტე), ვენერიულ (ტრიპერი) ავადმყოფობას, სიფილისს, და მის შედეგებს, კანისა და ქირურგიულ ავადმყოფობის (სიკოზი, ბუასილი) ელექტრო-მკურნალობა და ოპერაციები. ავადმყოფების მიღება დილ. 8 ს. დღის 1 საათამდე და 4 ნ. ნ. საათ.—საღ. 7 საათამდე. ქალების მიღება ცალკე. დილ. 11—12 საათამდე და საღამოს 7—8 საათამდე. 25—1

ექიმი **მეგრაბიანცი**
ფილტვების, გულის და [illegible] სნეულებანი
ციების საგანგებო მკურნალობა ელექტრო-შუქით რენტგენის სამკურნალო კაბინეტში
სურათების გადაღება და რენტგენის სხივებით წამლობა
ხელოვნური მთის მზე. იონოთერაპია. მიღება ყოველდღე დილ. 9—1 და სად. 6—8 საათ. ენგელსის ქ. № 23. ყოფ. ბებუთოვის ქუჩა 25—1

ექ. თოდაძე
დაბრუნდა საზღვარ გარედან დაგანახლა ავადმყოფების მიღება. სპეც. უროლოგია (თირკმელები, საშარდე ბუშტი, სასქესო ორგანოები და სხ. ა) ქირურგია. ცისტოსკოპია. დიატერმია (ახალი კაბინეტი). მიღება 5—7 საათამდე ბელგიის ქ. № 1. 13 1

ექ. **ს. ი. ვოლოხი**
ქალთა სნეულებანი და ბებიობა მიღება საღამოს 5—7 საათამდე ყოველდღე გარდა ხუთშაბათისა ბელგიის ქ. № 5 რესპუბლიკის მთავარ საავადმყოფოს (ყოფ. მიხეილის) ახლოს. ტელეფონი 10—80. 25 1

ექიმი
ი. დ. თოფურიძე
მოსკოვის ქუჩა № 7
იღებს ავადმყოფებს (კანის, ვენერიული და სიფილისით) დაავადებულებს, აგრეთვე სასქესო ორგანოთა დაავადებით მკურნალობა გამოწვეული მწვავე და ქრონიკული გონორეით მიღება საღამოს 5—8 საათამდის. ნ. 25 1

ექიმი **ი. ი. ჭეიშვილი**
სიფილისი, ვენერიული და კანის ავადმ.
იღებს ავადმ. დღ. 8—9 საათ. და საღ. 6—8 საათ. კამოს ქუჩა № 72 (ყოფილი დიდიმთავრის ქ.) 25—1

ექიმი
იონა გაბიჩვაძე
პლეხანოვის მიხაილოვის) პროსპექტი 65 ვენერიული და კანის ავადმყოფობანი სიფილისი და მისი შედეგი დილით 7—8 ნახ. ს. საღამოს 5—8 ს.

ექიმი
ი. პ. მჭედლიშვილი
შინაგანი სნეულებანი.
სპეციალურად კუჭის და ნაწლავების სნეულებათა გამოკვლევა და მათი მკურნალობა. ღებულობს 5—6 ს. სანაპირო ქუჩა № 7 (ყ. ნაბერეჟნაია) მურის ხიდთან. ტელ. № 15—03
25—1

კბილის ტექნიკოსის წოდების მისაღებად გამოცდები შესდგება კბილის ტექნიკოსთა კურსებზე მხოლოდ ამა წლის ივნისში კურსების პროგრამით, რომლის შეძენა შეიძლება კურსებზე (პლეხანოვის პროსპ. № 126) იანვარში გამოცდები არ შესდგება. დაწვრილებითი პირობები გამოქვეყნებული იქნება ა. წ. მაისში.

კბილის ტექნიკოსთა კურსების გამგე პროფ.
13—1 ბ. მ. მუხაძე

ჩვენ ნიკოლოზ პავლესძე კიკნაძემ და დიმიტრი ვეზიროვმა 1927 წლის 15 სექტემბერში [illegible] ვექილობა არშაკ [illegible] ტერ-ოვანესიანცს აღნიშნული ვექილობა შემოწმებული იყო მეორე სახელმწიფო სანოტარო კანტორაში იმავე რიცხვს რეესტრით № 2339.

დღეის რიცხვიდან ხსენებულ ვექილობას ვაცხადებთ გაუქმებულად. 1039

დაიკარგა სიღარიბის და პირადობის მოწმობა ვანო რევაზისძე სავანელის სახელზე, ჩ. გ. 1049

დაიკარგა განათლების კავშირის წიგნაკი № 15521 დარეჯან გიორგის ასული რონინაშვილის სახელზე, ჩ. გ. 1030

დაიკარგა ფეიქართა პროფკავშირის საწევრო წიგნაკი № 2479 ანდრო ვალოდის ძე ოსიპოვის სახელზე, ჩ. გ. ნ. 457

დაიკარგა შრომის ბირჟიდან მოცემული უმუშევრობის წიგნაკი № 2673 თამარ ალექსანდრეს ასული კომიოვის სახელზე, ჩ. გ. 1031

დაიკარგა კავშირის საწევრო № 14 | 13751 და სანგარიშო № 708 წიგნაკები შალვა სანაიას სახელზე, ჩ. გ. 1040

დაიკარგა საშუალო სწავლის დამთავრების მოწმობა № 25 მიღებული მე-5-ტე შრომის სკოლიდან ვარლამ ეპიფანესძე წულაძის, სახელზე, ჩ. გ. 1036

დაიკარგა პირადობის მოწმობა № 49 ფორმა № 4 გაცემული ნაქალ სამხედრო მაგიდიდან დიმიტრი მარშავას სახელზე, ჩ. გ. 1043

დაიკარგა ინვალიდობის მოწმობა № 2521 ფარნაოზ დავითისძე ყიფიანის სახელზე, ჩ. გ. 1043

დაიკარგა პირადობის მოწმობა № 968 დიომიდე იორდანესძე კოკაიას სახელზე, ჩ. გ. 1043

დაიკარგა სამხედრო სააღრიცხვო ბარათი, № 559 ბარნაბა იოსების ძე დანელიას სახელზე, ჩ. გ. 1043

პოლიგრაფტრესტის მე-5 სტამბა, კამოს ქ. № 65